

9. 265

სსს. ბანათრების სახარეო კომისარიატის  
ყოველთვიური პარაგობიური უფრნაზი.

წე. VI

ახალ

სამდისაკან

№ 6  
მარტი  
1929

## ხელისმომზღვრთა საქურადღებოდ.

ამ წლიდან ურნალის ახალი საგამომცემლო წელი დაიწყება 1 ოქტომბრიდან. ხელისმოწერა მიღება თქომიშჩრიდან თქომიშჩრა-მდე. ამას გარდა წინანდელი 4 ფორმის (64 გვ.) ნაცვლად გამოვა ყოველფიურად კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, როგორც „და-უსწრებელი კურსების“ მასალა. ამის გამო ურნალი ამ წლი-დან ელირება წელიწადში (12 ნოემბრი დამატებით) 5 მანეთი წინან-დელი 4 მან. ნაცვლად.

ერთ წელზე ნაკლები ვადით ურნალის გამოწერა არ შეიძლება.

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ მახალის ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

ურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე სკო-ლის მასწავლებლებს ერთად გამოიწერონ ურნალი.

წარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის წინ იყოს განალებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწვრილებით აღნიშნონ ხოლმე ფულის გადმოსაგზავნ ბლანკებს, ურნალის რამდენ კომპლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ ურნალი. ვთხოვთ გა-მოწერისას სრული თანხა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირობის მი-ხედვით.

სარედაქციო კოლეგია.

ს.ს.ს. ბანათობის სახარეო კომისარიატის  
უმვერტვილი აკებაზობიური უფრნაზი

წეს VI

# ახალ სკოლისაცნ

4877

№ 6  
მარტი

1929



0303060

ଲୋକ ପାନୀରୁ ଜ୍ଞାନିବୁ



କରିବାରେବୁ

ნ. პრუსკაიას 60 წლის იუბილეს გამო.



### ნ. პ. პრუსკაია და განსახოვა

ნადეჟდა კონსტანტინეს ასული დიდი ჭინაალმდევია მისი პი-  
როვნების ყოველგვარი პატივისცემისა მისი დაბადებიდან სამოკი-  
შლის შესრულების გამო.

მაგრამ როგორ შეიძლება მასების შეჩერება, რომლებსაც ბუნებრივად სურთ ამის გამო თავისი მხურვალე სიმპატიის გამოხატვა?

ასეთ სიმპატიის მრავალი მიზეზი აქვთ. ნადევდა კონსტანტინეს ასული — ძველი გვარდიის ბოლშევიკის საუკეთესო ნიმუშია. იგი ჩეგნი პარტიის მთელ ისტორიისთვის დაკავშირებული. იგი იყო ილიჩის უებრო თანაშემწე მის თანდათან მოზარდ ბუმბერაზულ მუშაობაში: თავიდანვე და პეტერბურგის პერიოდშიც, გადასახლების დროსაც, ერიგრაციაშიც ცხრაას ხუთ წლამდე, რევოლუციონურ ბრძოლაშიც პირველი რევოლუციის დრეებში, ახალ ემიგრაციაშიც, მეორე ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლუციაშიც, შემდგომ სახლმწიფო და საზოგადო მშენებლობაშიც.

მაგრამ მასების სიმპატიაში ნაღეულა კონსტანტინეს ასულისა-დმი ჭრაუკანასკნელ როლს თამაშობს მისი მუშაობა განსახურმში.

თებერვლის 25 განსახუმის კოლეგიას სხდომა ჰქონდა „გეოფიზიკა-ს ქარხანაში და სრულიად მოულოდნელად მოწყობით თბილი, მეგობრული სცენა ნადევდა კონსტანტინეს ასულის პატივისცემისა, როგორც ულიდესი მუშავისა განათლების დარღვევი.

უნდა აღვითოროთ, რომ ნ. ქ. კრუპსეაის როლი განსახურმის გზაზე უზარმაზარია. ეს უდავოდ პირველი როლია.

ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის მთავარი სკოლულის  
შემდგომში დროის სკოლის ზოგადი მიმართულება, ნადევდა კონსტან-  
ტინეს ასულის პედაგოგიური აზრების საფუძველზეა იგებული.

მთლიანი შრომის პოლიტიკური სკოლა, რომლის ჩეალიზაციაც  
წარსულ ათეულ წელში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ხელახლა  
იკავებს ადგილს, როგორც ჩვენი კულტურული მშენებლობის ცენტრა-  
ლური. პანქტი, ამჟამად უკვე მისი თანდათანობითი, მაგრამ სრული  
განხს რეკილების რეალური შესაძლებლობის პირობებში.

დიახ, იგი 60 წლისაა, მაგრამ სრულიადაც არ შესუსტებულა მისი ყურადღება სინამდვილისადმი, მისი აზრის ნაყოფიერება და შემოქმედება. განსახუმი ამჟამად მუდამ საზრდოობს ნადევდა კონტანტინეს ასულის ინტენსიური მუშაობით.

ახლა კოლეგიამ მიანდო ნადევდა კონსტანტინეს ასულს დამუშავება ძნელი და საპასუხისმგებლო ამოცანისა — განსახუმის და მისი ამოცანების ანტირელიგიური მუშაობის გეგმისა ჩვენი მუშაობის ყველა მიმართულებით.

ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ ნადევდა კონსტანტინეს ასული, რომელმაც ასე გაბედულად გაანაყოფიერა ჩვენი სკოლის მუშაობა, ამდენადვე ხაზის მიმცემ მუშაქს წარმოადგენს მთავპოლიტგანისათვისაც იმ ფართო მუშაობაში, რომელსაც ეს უკანასკნელი აწარმოებს ქალაქის, განსაკუთვებით კი სოფლის მოზრდილი მოსახლეობის კულტურული დონის ასამალლებლად.

ნადევდა კონსტანტინეს ასული ყველა დარგში იჩენს გასაოცარ ალოს, რეალობის გრძნობას და მასთან ერთად წარმოადგენს კლასობრივი, ნამდვილი ლენინური ხაზის შეუძრექელ დამცველს.

როგორც ნამდვილი რევოლუციონერი, ნადევდა კონსტანტინეს ასული მებრძოლი ადამიანი, იცის თავისი იდეებისა და მათი განხორციელებისათვის ბრძოლა როგორც ჩვენს მტრებთან, ისე ჩვენი საბჭოთა ქვეყნის სხვა უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელ მეცნიერებთან, ბოლოს, თვით განსახუმის მუშაკებთან, თუ კი მათი აზრი შემცდარად მიაჩინა.

როგორც ნამდვილი სოციალისტი, ნადევდა კონსტანტინეს ასული ჩინებული ამხანაგია. მისი ფართო საზოგადოებრიობა, მისი თბილი ყურადღება თვითოვეულისადმი, განსაკუთრებით მშრომელი ადამიანისადმი, იზიდავს მასთან მოზრდილებსა და ბავშებს. მუშებსა და მუშა-ქალებს, გლეხებსა და გლეხ-ქალებს, მასწავლებლებს, მოსაწავლეებს, პიონერებს. მას წერილებს უგზავნის სოფლელი ბიჭიც და უთავშესაფარო ბავშებიც, გლეხები ათას კილომეტრებს ქვეითად გამოივლიან ხოლმე, რომ ინახულონ იგი და ებასონ. როგორც ილიჩი, ისიც მიუხედავად თავისი დიდი მუშაობისა, არასოდეს არა სწყვეტს კავშირს მასებთან.

განსახუმი ნადევდა კონსტანტინეს ასულს სთვლის თავის უფროს ხელმძღვანელად და მისი იუბილეს დღეს უთველის მას მომავლის იმედითა და წარსული მუშაობისათვის მაღლობით აღსავს მხურ-

## განათლების კომისარიატის დეპარტა ამს. პრუპეტაციას<sup>1)</sup>.

თქვენი შინაარსიანი ცხოვრების 60 წლის შესრულების დღეს საბჭოთა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი და განათლების მუშავნი მხურვალე სალამს გიძლვნიან თქვენ, მსოფლიო კომუნიზმისათვის ბრძოლაში ამს: ლენინის ლირსეულ მეგობარსა და თანამებრძოლს, მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმეში გამობრძებელილ წინაშძლოლს. პროლეტარიატის რევოლუციონურ ბრძოლაში უშუალო და აქტიური მონაწილეობის მაღება, ღრმა მარქსისტული და პედაგოგიური ერუდიცია, ნაყოფიერი მუშაობა სოციალისტური აღმშენებლობის და მასების აღზრდისა და გარდაქმნის ფრონტზე თქვენში გამოსახულია ღრმა აზრისა და შემოქმედებითი პრაქტიკის მთლიანობით. მხურვალედ გისურვებთ კიდევ მრავალი წლის გახმავლობაში შეგრჩენოდესთ თქვენი დიდი ენერგია ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის და ახალი კულტურის შემქმნელის უმნიშვნელოვანეს სადარაჯოზე.

განათლების სახალხო კომისრის  
მოადგილე მარიამ ორახელაშვილი.

## სოულის გეურეობის მოსავლიანობის გადიდება და სკოლის მონაწილეობა ამ საჭმეში.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და მისი აღმშენებლობითი მუშაობის გალრმავების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს მსხვილი მრეწველობის განვითარება წარმოადგენს, ამის გარეშე შეუძლებელია იმ დიდი ამოცანების განხორციელება, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ისახავს.

მაგრამ ქალაქის მრეწველობის პარალელურად აუცილებლად საჭიროა სასოფლო მეურნეობის განვითარებაც, რადგან ეს უკანასკნელი ის აუზია, საიდანაც მსხვილი მრეწველობა უნდა იკვებებოდეს, საიდანაც უნდა იღებდეს საჭირო ნედლ გადასამუშავებელ მასალას. საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი ინტერესები თხოულობს, რომ მისი წარმოება რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული იმპერიალისტური ქვეყნებისაგან — მან თავისი ძალ-

<sup>1)</sup> ამს. კრუპსკაიას იუბილეს აღსანიშნავად განსახომს განზრაბული აქვს მთელი რიგი წერილების მოწოდება კრუპსკაიას ცოლვაწეობის ყველა მხარეების ჟესახებ.

ლონითა და შესაძლებლობით უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეცნიერო მოთხოვნილებანი.

მრეწველობის დარგში ჩვენ დიდი მიხწევები გვაქვს, — ამ მიმართულებით ჩვენი შესაძლებლობა დღითი-დღე იზრდება; საგრძნობი ტემპით წინ მიდის, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით, სოფლის მეურნეობაც, მაგრამ, ერთის მხრივ, არახელსაყრელმა ტენდეციებმა, რომელთაც იჩინეს თავი სოფლის მეურნეობაში ამ ბოლო დროს და, მეორე მხრივ, უკანასკნელი წლების არასასურველმა მეტეოროლოგიურმა მოვლენებმა (ნაადრევი ყინვები, გვალვა და სხვა), რომელებმაც გადაიარეს ხორბლეულის მომწოდებელ მთავარ რაიონებზე, საგრძნობად შეამცირეს საერთოდ სასოფლო მეურნეობის პროდუქცია და კერძოდ პურეულის მოსავლიანობა; ამ მდგომარეობის გამოსწორებას პარტიამ განსაკუთრებული ხაზი გაუსვა და საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა და-სახა სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებანი — „ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარებასთან და მიმდინარე წლისთვის მთავრობის მიერ დასახულ კაპიტალურ ზაბანდებათა ზრდის უზრუნველყოფასთან ერთად, საჭიროა ზომების მიღება, რომ გაძლიერდეს სოფლის მეურნეობა საერთოდ, მარცვლეულის მეურნეობა კერძოდ და სასურსათო პურეულის წარმოება განსაკუთრებით; საჭიროა ყოველმხრივ განვითარდეს სოფლის საწარმოო ძალები, უფრო მეტად შეიზღუდოს მისი ექსპლოატაციურული კაპიტალისტური ელემენტები, შეიქმნას საბჭოთა მეურნეობანი, ყოველნაირად ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ფორმებს (კოლექტიური მეურნეობანი, კომუნები, ნადები და სხვა) და ყოველნაირად გაძლიერდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების სამეურნეო სტიმული“.

ეს მოკლე ამონაწერი ც. კ. პლენუმის რეზოლუციიდან სავსებით გარკვეულად მიუთითებს ხელისუფლებას, თუ რა ღონისძიებებია საჭირო, რომ ახლო მომავალში გადიდდეს სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობა.

ამ დირექტივების მიხედვით საბჭოთა კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის უკანასკნელ მე-4 სესიაზე და-ადგინა და ყველა ქვემდგომ საბჭოთა ორგანოს დაავალა მიიღონ ყოველგვარი ზომა, რომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობა  $30 - 35\%$  გადიდდეს.

თუ წინა წლების მოსავლიანობას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ხორბლეულის მოსავლიანობა 1894—1914 წლამდე (20 წლის განმავლობაში) საშუალოდ თითოეულ 5 წელს მხოლოდ  $6,25\%$ , იზრ-

დებოდა. ამ ზრდასთან შედარებით ჩვენი ამოცანა მოსავლიანობის გადიდებას 5-ჯერ უფრო აჩქარებული ტემპით მოითხოვს. მაგრამ, რაღაც 5 წლის განმავლობაში მოსალოდნელია როგორც კარგი, აგრეთვე უფრო განმავლიანი წლები, ამიტომ უახლოესი 5 წლის განმავლობაში მოსავლიანობის  $35^{\circ}/_0$ -ით გადიდებისათვის საჭიროა ყოველწლიურად მუშაობის ისეთი ორგანიზაცია და საშუალებანი, რომ მოსავლიანობამ ყოველწლიურად იმატოს არა ნაკლებ  $7-8^{\circ}/_0$ -სა.

დასმული გადაუდებელი ამოცანის 5 წლის განმავლობაში ცხოვრებაში გატარება არც ისე აღვილია და ამიტომ მისი განხორციელება მოითხოვს პარტიულ, საბჭოთა კომპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მხრივ ენერგიის განსაკუთრებულ დაჭიმვას დაყოველგვარ ხელმისაწვდომ საშუალებათა გამოყენებას.

ამ საშუალებათა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს სოციალისტური პოზიციების განმტკიცებას სოფლის მეურნეობაში—შეზღუდოს სოფლის კაპიტალისტურ-ექსპლოატატორული ელემენტები, ლარიბი და საშუალო გლეხეკაცობა ფართოდ ჩაებას კოლმეურნეობაში, გაიზარდოს და განმტკიცდეს საბჭოთა მეურნეობა და, ბოლოს, ხელი შეეწყოს ლარიბ და საშუალო გლეხეკაცობის ინდივიდუალური მეურნეობის წინსვლას, რისთვისაც ყოველი ლონისძიება უნდა იქნას მიღებული, რომ სოფლის მეურნეობაში სულ ახლო მომავალში შეტანილ და გამოყენებულ იქნას უმარტივესი და გლეხეკაცობისათვის ხელმისაწვდომი აგრიკულტურული ლონისძიებანი, როგორიცაა: წმინდა ხარისხის თესლის თესვა, სათესი მასალის გაწმენდა, რიგში თესვა, მავნებლებთან ბრძოლა, მიწის წესიერი განოყიერება და სხვა.

ყველა ამ ლონისძიების გამოყენებას გლეხეკაცი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ მას ექნება ელემენტარული სასოფლო-სამეურნეო ცოდნა, თუ სახელმწიფო მისცემს სოფელს ისეთ სპეციალისტებს, რომელიც შესძლებენ გატარონ საჭირო ტექნიკური რევოლუცია სოფლად და ხელი შეუწყონ მის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

ამ უძნელესი და უდიდესი საქმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩვენი საგანმანათლებლო დაწესებულება როგორც სიტყვით, ისე საქმით ჩაეტმება ამ მუშაობაში, რაღაც არცერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ ჰყავს ისეთი მრავალრიცხვანი, გლეხეკაცობაში გაფანტული და გლეხეკაცობის წილთან ახლო მდგრომი არმია, როგორიცაა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა და მასწავლებლობა. ამ არმიის რიცხვი რამდენიმე ასიათასს უდრის, და ყველა წევრმა რომ მცირე წვლილიც კი შეიტანოს ამ

დიდ საქმეში, ბოლოს დიდ თვალსაჩინო შედეგს მივიღებთ. ამიტომ არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, არცერთი განათლების მუშაკი, არცერთი მოწაფე არ უნდა დარჩეს ამ საქმის გარეშე. ყველამ თავის ძალ-ლონის შესაფერი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დიდსა და გადაუდებელ მუშაობაში.

მოსავლიანობის გაღიღების საქმის უახლოეს პერიოდად ითვლება საგაზაფხულო თევსის კამპანიის ჩატარება, რომელსაც კონკრეტულ ამოცანად აქვს დასახული ნათესთა არის  $70\%$ -ით გაღიღება და  $30\%$ -ით მოსავლიანობის რაოდენობის აწევა. ამ მუშაობაში სკოლები ა შემდეგი მონაწილეობა უნდა მიიღონ:

### პირველი საფეხურის შრომის სკოლები.

1. სკოლა იქსტის კამპანიის ჩატარებელ ადგილობრივ კომისიასთან შეთანხმებით ადგენს თავისი მუშაობის გეგმას—გეგმაში მტკიცედ უნდა იყოს გათვალისწინებული რაონი, რომელსაც სკოლამ უნდა გაუწიოს დახმარება, და დასახული იქნეს მხოლოდ ის, რის განხორციელებაც სკოლას ნამდვილად შეუძლია.

2. სკოლა ხმარობს ყოველ ლონისძიებას, რომ მიწის ნაკვეთი, რომელიც მას აქვს გადაკემული, უცილებლად დამუშავდეს და დაითესოს. დამუშავება ისე უნდა მოხდეს, რომ გამოყენებული იყოს ყველა ხელმისაწვდომი აგრო-ტექნიკური ლონისძიება (ნიადაგის დროზე დამუშავება, წესიერად და შესაფერი ნაკელით განოყიერება, რაიონისათვის შესაფერი კულტურების შერჩევა, თესლის სამეურნეო გარებისანობის გამორკვევა, დროზე და მწყრივში თევსია და სხვა).

ამ საქმეში სკოლამ ადგილობრივი ძალები (აგრო-ტექნიკურის, სოფლის ახალგაზრდობის სკოლის, საცდელი მინდვრის, საბჭოთა მაც მულის და რაიონის აგრონომი) უნდა დაიხმაროს.

3. სკოლის კოლექტივი ყველა თავის წევრს; როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებელს, ავალებს, რომ მან თავის ოჯახში დაუმუშავებელი არ დასტოოს მიწის არცერთი კვალიც კი და დამუშავების დროს გადაიტანოს და გამოიყენოს ყველა ის აგრო-ტექნიკური ლონისძიება, რომელიც მეორე მუხლშია მოხსენებული, რათა სკოლისა და მისი კოლექტივის ყველა წევრის მამული გლეხკაცობისათვის საჩვენებელი გახდეს.

4. სკოლის კოლექტივი როგორც თავის წევრებს, ისე მოსახლეობის ულარიბეს ნაწილს, ქვრივებს და წითელარმიელთა ოჯახებს

ებმარება ხენისა და თესვის საქმეში (ნახნავის გაწმენდა, სათესლე მასალის შერჩევა-გაწმენდა, მოწამვლა და სხვა ამგვარი).

5. სკოლა იწვევს მოსახლეობის კრებებს, სადაც სკოლის მასწავლებლობა და უფროსი ჯგუფის მოწაფეობა აკეთებენ მოხსენებას თესვის კამპანიის მნიშვნელობაზე და აწვდიან მას ზოგიერთ უმარტივეს აგრძელებულ ლონისძიებათა შესახებ ცნობებს (მიწის მოხვის და გაპატიების დრო და წესი, სათესლე მასალის გაწმენდა და შერჩევა, თესლის მოწამვა, მწკრივში თესვა და სხვა).

6. 4-წლედის მასწავლებლობა აგრო-ტექნიკუმის და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების აგრონომ-მასწავლებელთა დახმარებით განიხილავს 4-წლედის პროგრამებში შეტანილ საბუნებისმეტყველო მასალას (მაგალითად: ნიადაგი და პისი შემაღენელი ნაწილები, მიწის მოვლის, გაპატიების და დამუშავების წესები, თესლის აღნაგობა, მისი შერჩევა და ოღონცენტრის პირობები, დათესვა, მყნობა და დარგვა) და არკვევს, თუ რომელი საბუნებისმეტყველო მასალის დამუშავება რა მიღომით და რა სახით უნდა დაუკავშირდეს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებას და მოწაფეთა უშუალო პრაქტიკული მონაწილეობა როგორ იქნება გამოყენებული, როგორც მეთოდი და ხერხი აღებული საბუნებისმეტყველო მასალის დამუშავებისათვის.

## II. სოფლის ახალგაზრდობის სკოლები, აგრო-ტექნიკუმები და მეორე საფეხურის შრომის სკოლები.

1. სკოლა თესვის კამპანიის ჩატარებელ აღვილობრივ კომისიასა, პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებთან შეთანხმებით ადგენს თავის სამუშაო გეგმას, სადაც კონკრეტულად ითვალისწინებს თავის სამოქმედო რაიონს და დახმარების იმ სახეებს, რომელიც მას შეუძლია გაუწიოს მოსახლეობას ხენა-თესვის პერიოდში.

2: სკოლა (განსაკუთრებით სოფლის ახალგაზრდობის სკოლა და აგრო-ტექნიკუმი) იღებს ყოველგვარ ზომას, რომ მთლიანდ დაამუშაოს თავისი მიწის ნაკვეთი და დამუშავების დროს გამოიყენოს ყველა ხელმისაწვდომი აგრი-კულტურული ლონისძიება (თავის დროზე და შესაფერისად მიწის მოხვანა, წესიერი გაპატიება, თესლის გაწმენდა, კულტურათა შერჩევა, თესლის ოღონცენტრის უნარიანობის გამორკვევა, სათესლე მასალის მოწამვლა, მწკრივში თესვა და სხვა), რათა სკოლის მუშაობა და მამული საჩვენებელი გახდეს მოსახლეობისათვის.

3. სკოლა ყველა თავის წევრს (როგორც მოწაფეს, ისე მასწავლებელს) ვალდებულს ხდის თავის ოჯახში გადაიტანოს და გამოიყენოს ყველა ის აგრი-კულტურული ღონისძიება, რომელიც სკოლაშია გატარებული და თავისი მამული, როგორც სკოლის მამული, მოსახლეობისათვის საჩვენებლად გახადოს.

4. სკოლის კოლექტივი იყოფა რაზმებად, რომელნიც პარტიკულად და უშუალოდ შეველიან ულარიბეს გლეხეაცობას, ქვრივ-ობლებს და წითელარმიელთა ოჯახებს თესვის კამპანიის განმავლობაში (სათესლე მასალის გაწმენდა მანქანით, სათესლე მასალის აღმოცენების უნარიანობის გამორკვევა, სათესლე მასალის მოწამლვა, მწერივად თესვა, რთული სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენება, პრძოლა მავნებლებთან და სხვა).

5. მთელი კამპანიის განმავლობაში სკოლების, კლუბების და ქო-სამეცითხველოების შენობებში მორიგეობს მასწავლებელთა და უფროსი ჯგუფების მოწაფეთაგან (სოფლის ახალგაზრდობის სკოლების და აგრო-ტექნიკუმების) შემდგარი საკონსულტაციო ბიურო, რომელიც აძლევს მოსახლეობას ყველა წამოჭრილ აგრო-საკითხზე ახსნა-განმარტებას და პრაქტიკულ მითითებებს.

6. სკოლა უშუალო პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა სახის კოლექტიური მეურნეობების ჩამოყალიბებაში, სადაც შესაძლებელია თვითონაც შედის წევრად და მით როგორც იდეურად, ისე პრაქტიკულად უახლოვდება ჩვენი სასოფლო მეურნეობის ახალ ფორმას; არსებულ კოლ-მეურნეობებს კი ემზარება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში.

7. სკოლა დახმარებას უწევს თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიას და მიწათმოქმედების ადგილობრივ ორგანოებს, რომ მთლიანად და რაციონალურად იყოს გამოყენებული რაიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები (ტრაქტორები, ტრიერები და სხვა იარაღები დაიტვირთოს მთელი  $100\%$ -ით და სახმარად პირველ რიგში ულარიბეს გლეხეაცობას მიეცეს) და მიზანშეწონილად იყოს განაწილებული ხელისუფლების მიერ მიმდინარე პერიოდში გაცემული სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

8. სკოლა პრაქტიკულ დახმარებას უწევს თესვის კამპანიის ჩამტარებელ ადგილობრივ კომისიას, რომ რაციონალურად და სწორად იყოს განაწილებული ხელისუფლების მიერ გაცემული წმინდახარისხოვანი სათესლე მასალა.

9. მოსავლიანობის გადიდებისათვის მიღებულ საშუალებათა შორის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს მარცვლე-

ული კულტურების კონტრაქტაცია. ამ ხელშეკრულების (კონტრაქტაცია) ძალით პურეულის მწარმოებელთა სასოფლო-სამეურნეო კომპერაციასა და უმარტივეს საწარმოო გაერთიანებათა (მთესველთა ამხანაგობები) შორის მყარდება საქმიანი ურთიერთობა და გლეხური მეურნეობა შედეგად იღებს მთელ რიგ სამეურნეო და კომერციულ შეღავათს და უპირატესობას როგორც პურის მოყვანის, ისე ბაზარზე გასატანი პურის რეალიზაციის ღროს (ავანსი ფულის სახით, საუკეთესო ხარისხის, თესლის მიღება, უსასყიდლო ყოველგვარი აგროტექნიკური დახმარება, მოსავლის რეალიზაციის ღროს მეტი ფასის მიღება სახელმწიფო ფასებთან შედარებით და სხვა). სკოლამ ფართო აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გასწიოს—განუმარტოს მშრომელ გლეხთა ფართო მასას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლონისძიებას საერთოდ სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის და კერძოდ ხელშეკრულების დამდებთათვის და ეცადოს რაც შეიძლება მეტი გლეხობა ჩააბას ამ საქმეში.

10. არა ნაკლები უურადლება უნდა მიაქციოს სკოლამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს. იმ შესწორებეს, რომელიც 1929 წლის 8 თებერვალს შეიტანა საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსავლიანობის გაუიდების საქმისათვის. ამიტომ სკოლა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ამ ახალი კანონის მოსახლეთა შორის პოპულარიზაციას, მუხლობრივ უნდა განუმარტოს გლეხებისას და ნათლად დაანახოს ის შეღავათები, რომელსაც კანონი ანიჭებს მას. თვით გადასახადის აკრეფის ღროს კი სკოლა უშუალოდ უნდა ჩაეგას ამ საქმეში და დაეხმაროს ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ მთელი სისწორით იყოს გადასახადი აწერილი და აკრეფილი.

11. სკოლა მთელი კაპანიის განმაფლობაში გლეხთა ფართო შესისათვის აწყობს საუბრებს, უშვებს კედლის გაზეთებს, ავრცელებს პლაკატებს, რომელთა საშუალებით ნათელყოფს მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელობას და არკვევს საჭირო და გლეხთათვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა აგრი-კულტურულ ღონისძიებას.

12. სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და აგრო-ტექნიკურმები იღებენ ყოველგვარ ზომას, რომ თავისი მიწის ნაკვეთების საშუალებით მომავალი სამეურნეო წლისათვის დამზადონ (თუნდაც მცირე რაოდ დენობით) ღარიბ მოსახლეობას შორის გასავრცელებლად. მაღალი ხარისხის ხორბლეული სათესლე მასალა.

ყველა ამ ზემოთჩამოთვლილ ლონისძიების ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლის მთელი კოლექტივი მთელი შეგნებით და სურვილით მოჰკიდებს ხელს ამ მუშაობას. ჩვენი სკოლის წინა წლების მუშაობა გვაძლევს იმის საბუთს, რომ იგი წელსაც გაამართლებს ჩვენს მოლოდინს და იმედს.

დიმ. გურგენიძე.

## პარიზის კომუნის პედაგოგიური იდეები.

18 მარტისათვის.

სასწავლო დაწესებულებანი, განთავისუფლებული ექლესიისა და სახელმწიფო გავლენისაგან, ყველასათვის უფასო გახდა. ამრიგად, სასკოლო განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომი შეიქნა, მეცნიერება განთავისუფლდა იმ ბორკილებისაგან, რომელიც დადგებული ჰქონდა „მასზე კლასობრივ შეხედულებებს და მთავრობას“ (კ. მარქსი).

აი როგორ აფასებდა კ. მარქსი პარიზის კომუნის მოლვაწეობას სახალხო განათლების დარგში.

მართლაც, პარიზის კომუნამ თავისი არსებობის პირველ დღებშივე თავის სამოქმედო პროგრამაში შეიტანა საყოველთაო, უფასო და სავალდებულო განათლების მოთხოვნა. ეს მოთხოვნა ნათლად იყო წამოყენებული საარჩევნო კრებებზე და განაწესებში შევიდა ამორჩეულთა სახელმძღვანელოდ. ამაზე ლაპარაკობდა პრესაც ცალკე პუბლიცისტებისა და კომუნის მებრძოლთა პირით.

კომუნამ ყურადღება მიაქცია არა მარტო განათლების საქმეს, არამედ მის შინაარსსაც, რომელიც კომუნის მიზნებს შეუფარდა. ამ მხრივ საინტერესოა ცირკულარი, გაგზავნილი კომუნის თვალსაჩინო წევრის, იაკობინელის უ. კლემანის მიერ მე-17 ოლქის სკოლების მიმართ: „დღეიდან ჩვენს სკოლებში არ უნდა ექნეს ადგილი რელიგიური შინაარსის სურათებს, წიგნებს და ქანდაკებებს. დაფარეთ შავი ან თეთრი საღებავით რელიგიური ხასიათის წარწერები და შესცვალეთ ისინი საკაკონბრიო დევიზებით, როგორიც არის: თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, შრომა, სამართლიანობა, რესპუბლიკა. მოსპერა აგრეთვე დაუყოვნებლივ საღმოო სჯულის სწავლება და საეკლესიო გალობა. უახლოეს დღეებში გამოვგზავნით თქვენს განკარგულებაში კარგ წიგნთა სერიას. ერთი სიტყვით, უნდა გესმოდეთ, რომ მოტყუებისა და უმეტრების მეფობა დასრულდა, ჩვენ უნდა გავავრცელოთ სინათლე ჭეშმარიტებისა და ვასწავლოთ სხვებს მისი სიყვარული. ლოცვა, თავისთავად იგრლისხმება, გაუქმებულია. ჩვენ მას

შევცვლით ზნეობრივი აღზრდისათვის უფრო სასარგებლო გაკვეთილებით".

12 მაისს გამოქვეყნდა კომუნის განკარგულება, რომლის თანახმად სკოლების შენობებიდან გაძევებულ იქნა ყოველგვარი რელიგიური ემბლემა. კომუნა, იბრძვის რა საერო სკოლისათვის, საზოგადოებაში აწარმოებს სასტიკ ანტირელიგიურ პროპაგანდას. გაჯანსალებულ იქნა სამკითხველოები საავადმყოფოებთან და შრომის დაომის ინვალიდების საერთო საცხოვრებლებთან.

კომუნა შეეცადა განეხორციელებია ცხოვრებაში შრომის სკოლის იდეა — როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის. კომუნის აზრით, განათლება უნდა ყოფილიყო არა ვიწრო პროფესიონალური, არამედ ფართე საერთო განვითარების მიმცემი. სახალხო განათლების ხელმძღვანელთა აზრით, რევოლუციას თავისი სოციალისტური ხასიათის განმტკიცება შეეძლო ყოველმხრივი განათლებით, რომელიც, ერთის მხრივ, იქნებოდა ჭეშმარიტი საფუძველი სოციალისტური თანასწორობის, ხოლო, მეორეს მხრივ, გაუადვილებდა ყოველმოქალაქეს — აერჩია თავისათვის შესაუერისი პროფესია.

ხოლო სანამ ძირითადი რეფორმის პროექტი საბოლოოდ დამუშავდებოდა, სახალხო განათლების ორგანოები იძულებულენ ქალაქის რაიონებს სასწავლო წესით გაეხსნათ პროფესიონალური სკოლები, სადაც ახალგაზრდობა (ვაჟები და ქალები) ხელობასთან ერთად შიიღებდა მეცნიერულ და ლიტერატურულ განათლებას.

აღზრდისა და სწავლების პრინციპის აგება საწარმოო შრომის საფუძველზე წარმოდგენილი ჰქონდათ კომუნის ხელმძღვანელებს, მაგრამ მისი გარკვეული ფორმაში ჩამოყალიბება პოლიტექნიკური სკოლის სახით მეცნიერული სოციალიზმის მამათავარს კ. მარქსს უკუთვნის:

კომუნას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია სკოლის კავშირი პოლიტიკასთან და საერთოდ ცხოვრებასთან. კომუნამ დასვა საკითხი სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა გახსნის აუცილებლობის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ კომუნამ იარსება მხოლოდ 72 დღე და ამ ხნის განმავლობაში მის საშინელ პირობებში შეუძლებელი იყო. გარკვეული სისტემის შემუშავება სახალხო განათლების დარღმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც შესძლო ორი დიდი პრობლემის დაყენება: 1) განათლების მეცნიერული შინაარსი და 2) შრომის აღიარება აღზრდისა და განათლების ბაზად.

ამრიგად, პარიზის კომუნამ თავისი ხანმოკლე არსებობის დროს წამოაყენა და გადაუდებლად სცნო შემდეგი საკითხები:

1. საყოველთაო, სავალდებულო, ყველასთვის მისაწვდომი და ყველა კლასისთვის მთლიანი განათლება.

2. საერო სკოლა, რომელიც თავის მუშაობას თანამედროვე მეცნიერებაზე აშენებს.

3. პროფესიონალური და ინტეგრალური სკოლა ორივე სქესის ბავშებისათვის, სადაც სწავლება დაკავშირებულია წარმოებითი შრომის პროცესებთან.

4. სასკოლო ასაკამდე აღზრდა.

5. სკოლის კავშირი ცხოვრებისთან და პოლიტიკასთან.

ეს საკითხები, როგორც ზემოთ ვთქვით, წამოაყენა, მაგრამ ვერ გადასჭრა კომუნამ საერთო მიზეზების გამო.

პარიზის კომუნა სტიქიურად დაიწყო. ჩევოლუცია მოხდა ყოველგვარი ხელმძღვანელობის გარეშე, არავითარი ღონისძიება არ ყოფილა მიღებული წინასწარ, არცერთი გეგმა არ შემუშავებულა საფუძვლიანად.

თავისი ფორმით კომუნა არ იყო მხოლოდ მუშათა კლასის ბატონობის ორგანიზაცია. მას საფუძვლად ედო საყოველთაო კენჭის ყრა, განურჩევლად კლასებისა. მან იარსება 72 დღე. მისი უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ ქალაქ პარიზის ტერიტორიაზე, რომელიც გარემოცვაში იმყოფებოდა და რომელსაც განაგებდა მთავრობა, სხვადასხვა პარტიებისაგან შემდგარი. მიუხედავად ამისა, პარიზის კომუნის მოლვაწეობა საერთოდ, და კერძოდ პედაგოგიკის დარგში დიდია.

„კომუნის საქმე—ეს არის სოციალური ჩევოლუციის საქმე, ეს არის მშრომელთა სრული პოლიტიკური და ეკონომიკური განთავისუფლების საქმე; ეს არის მთელი მსოფლიო პროლეტარიატის საქმე, და ამ მნიშვნელობით იგი უკვდავია“ (ლენინი).

#### დ. ფირცხალავა

### მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლას კლასობრივი ხასიათი აქვს. აზროვნები განვითარების დროს, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. ქვეყნის სამეცნიერო განვითარების პირობები, განსაკუთრებით სახალხო მეცნიერების რეკონსტრუქციის ეპოქაში, ქმნიან იმ სინერგებს, რომელთა დაძლევა ისტორიულად აუცილებელია სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების თვალსაზრისით.

მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლას კლასობრივი ხასიათი აქვს. მას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს როგორც თეორიული საკითხების გადაჭრის დროს, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. ქვეყნის სამეცნიერო განვითარების პირობები, განსაკუთრებით სახალხო მეცნიერების რეკონსტრუქციის ეპოქაში, ქმნიან იმ სინერგებს, რომელთა დაძლევა ისტორიულად აუცილებელია სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების თვალსაზრისით.

„კაპიტალიზმიდან კომუნიზმში გადასვლა მთელ ისტორიულ ეპოქას წარმომადგენს. სანამ ის არ დასრულებულა, ექსპლოატატორებს აუცილებლად ჩატარა რესტავრაციის იმედი და ეს იმედი რესტავრაციისათვის ზრუნვად იქცევა. ექსპლოატატორ კაპიტალისტებისაკენ ილტვის წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასები, რომელთა ქანაობისა და მერყეობის შესახებ პოტმობს ყველა ქვეყნის ათეულო წლების ისტორიული გამოცდილება,“ სწერდა ამხ. ლენინი.

საბჭოთა კავშირში პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. დაემხმ კაპიტალისტური წესი წამებისა და მითვისების, მოხდა მსხვილი ფაბრიკა-ქარხების, ბანკებისა და ტრესტების განსაზოგადოება, მაგრამ კაპიტალისტური მეურნეობის ფესვები სავსებით აღმოფხვრილი არ არის. საკითხი „ვინ ვის აჯობებს“ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ჩამოყალიბება იმ ეკონომიურ საფუძვლებზე ხდება, რომელიც ჯერ კიდევ ქვეყნას სამეურნეო განვითარების ფარგლებში მარხია. ბრძოლა სოციალისტური სექტორის გაფართოებისათვის კლასობრივად მტრულად განწყობილ ფეხებში თავის მხრივ წინააღმდეგობას იწვევს, რაც იდეოლოგიაშიც მეღლავნდება. ამ საწინააღმდეგო იდეოლოგიით შეიარაღებული კლასის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს პრძოლას პროლეტარული იდეოლოგიის განმტკიცებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ განვითარების პირველ საფეხურზე იმყოფება და მკაცრი შემოტევების დაძლევა-გადალახვა უზდება. ხშირად წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგიის დამცველად გამოდიან ისეთი პირები, რომელთაც შესაძლებელია თავისი ინდივიდუალური მდგომარეობითა და განათლებით არაფერი საერთო. არ ჰქონდეს წვრილ ბურჟუაზიისთვის, მაგრამ ეს ფაქტიურ მდგომარეობას მაინც არ სცვლის.

სრულებითაც არ არის საჭირო, რომ „დემოკრატიულ იდეათა უცელა წარმომადგენელი მედუქნები, ან კიდევ მედუქნეთა თაყვანისა-მცემელები იყვნენ“—წერდა მარქსი. თავისი განვითარებითა და ინდივიდუალური მდგომარეობით შესაძლებელია ისინი ისევე დაშორებული იყვნენ მედუქნებისაგან, როგორც კა დედამიწისაგან. წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებად ისინი ხდებიან იმიტომ, რომ მათი აზრი არ სცილდება წვრილი ბურჟუაზიის სასიცოცხლო გარემოცვის ფარგლებს, და ამიტომაც ისინი თეორიულად შიდიან იმავე გადაწყვეტილება-ამოცანებამდე, რომელთანაც წვრილი ბურჟუა მიღის

პრაქტიკულად თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მატერიალისტური ინტერესების მიხედვით”<sup>1)</sup>.

ეს კლასიკური ფორმულა, რომელიც მარქსმა მოგვცა წვრილ-ბურუჟაზიული იდეოლოგიის ზოგიერთი წარმომადგენლების დასახასიათებლად, გამოგვადგება იმ პირთა პოლიტიკური ბუნების ნათელ-ყოფისათვის, რომლებიც შესაძლებელია გვარწმუნებდენ იმაში, რომ მათ თავისი მდგომარეობით არაფერი საერთო არ აქვთ მემარჯვენე გადახრებთან, ან კიდევ წვრილ-ბურუჟაზიული იდეოლოგიის დაცვის საქმესთან.

ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც დღეს საფუძვლად ედება მემარჯვენე გადახრას იდეოლოგიურ ფრონტზე,—ეს არის საკითხი, თუ როგორი ტემპით უნდა ვითარდებოდეს ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრია. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენ სახელმწიფოთა სისტემაში გვიხვდება ცხოვრება, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ საერთაშორისო ბაზარი ჩვენი მეურნეობის განვითარების საქმეში გარკვეულ როლს თამაშობს. რამდენადც კაპიტალისტური სახელმწიფოები დაინტერესებული არიან ხელი შეგვიშალონ სოციალისტური მეურნეობის განვითარების დარგში ეკონომიკური ბლოკადის გზით, იმდენად ჩვენი ქვეყნის წინაშე რადიკალურად ისმება საკითხი—თავი დავახწიოთ საგარეო ბაზრის მშრალებლობას და გარკვეული ხაზი ავილოთ აგრძარულ-ინდუსტრიალური ქვეყნის ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გარდაქმნის შესახებ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესი მთავარი და გადაუდებელი საკითხია, რადგანაც მრეწველობის სუსტად განვითარება მოასწავებს პროლეტარიატის სისუსტეს, ხოლო პროლეტარიატის სისუსტე კი არის მისი ინტერესების გამომხატველი პარტიის სისუსტე. ვისაც ეს ჭეშმარიტება არ შეუგნია, ვინც იმას ფიქრობს, რომ ჩვენ მეტი გა-საქანი უნდა მივცეთ კერძო კაპიტალის და სოფლის ბობოლების განვითარების საქმეს, ნაკლები ყურადღება მიგაქციოთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას,—ის ფაქტიურად იმის მომხრეა, რომ გავაფართოვოთ ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და მით გავაძლიეროთ კაპიტალისტური მეურნეობის რესტავრაციის საქმე ჩვენს ქვეყანაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში დღეს უკვე გარკვეულად მოგვეპოება ამ ორთოდოქსალური თვალსაზრისით მიულებელ, პროლეტა-



აიატის სასიცოცხლო ძალების წინააღმდეგ მიმართულ დებულებათა დამცველი პირები. ეკონომისტების ერთი კადრი კონდრატიევის, მა-კაროვის და ვაინშტეინის ხელმძღვანელობით ყოველგვარი მიჩქმალ-ვის გარეშე ილაშქრებენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ. ეს ხალხი მეტ მნიშვნელობას ანიჭებს სოფლის მეურნეობის კაპიტა-ლისტური გზით განვითარების საქმეს, რაც ლოლიკურად ეწინა-აღმდეგება ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის. პრობლე-მის დადგებითად გადაჭრას. ასე, მაგალითად, ეკონომისტ ბაზაროვის აზრით, სოფლის მეურნეობის მოწესრიგება და მისი გეგმიანდ გან-ვითარება შეუძლებელია, რადგანაც ის ემორჩილება მხოლოდ ბაზ-რის სტიქიური ოეგულიატორის კანონებს და ამდენადვე ხელი უნდა ავილოთ სასოფლო მეურნეობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის შედგენაზე. თუ, ერთის მხრივ, ბურჟუაზიულ და ნახევრად-ნაროლნი-კულ იდეათა გამომხატველი პროფესორები ეჭვის თვალით უცქერი-ან საერთოდ ინდუსტრიის განვითარების საქმეს გარდამავალი ეკო-ნომიკის პირობებში, შოთავებიან ისეთი პირები ჩვენი პარტიის რი-გებში, რომლებიც იმასვე ამტკიცებენ, რასაც ბურჟუაზიული პრო-ფესორები, მაგრამ სხვა მიღომით, საკითხის სხვაგვარი გაშუქებით. ამ ეკონომისტების აზრით (ფრუმჟინი) ინდუსტრიის განვითარების დღევანდელ პირობებში ერთმანეთს ეწინააღმდეგება მოთხოვნილე-ბათა და კუმაყოფილება და შესაძლებლობის ფარგლები. იმისათვის, რომ პროპორცია დავამყაროთ მოთხოვნილებასა და შესაძლებლობას შორის, საჭიროა შევასუსტოთ ინდუსტრიალიზაციის ტემპი—ასეთია ეკონომიური ფილოსოფიის ძირითადი აზრი, რომელსაც ანვითარებენ მემარჯვენე მიმდინარეობის წარმომადგენლები.

„მომავლის აგურებით არ შეიძლება შენობის აშენება“<sup>1)</sup>—სწერს ფრუმჟინი. რა არის საჭირო, ფრუმჟინის აზრით, იმისათვის, რომ ეს მდგომარეობა გამოვასწოროთ? საჭიროა შევასუსტოთ მძიმე ინდუს-ტრიის განვითარების ტემპი და გაუაძლიეროთ მსუბუქი ინდუსტრია,— მოკლედ ასეთია ფრუმჟინის ეკონომიური დასკვნები.

ამრიგად მემარჯვენები ილაშქრებენ ქვეყნის ინდუსტრიალი-ზაციის ტემპის წინააღმდეგ, ეწინააღმდეგებიან კოლმეურნეობათა გა-ფართოებას და საშუალო გლეხობის დაცვის ფარდის ქვეშ მოითხო-ვენ ინდივიდუალური სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პროგრესი-ული ხასიათის შეცვლას, რაც ლოლიკურად გულისხმობს კულაკების ეკონომიური ინტერესების დაცვას.

<sup>1)</sup> „Торгово-промышленная газета“, № 246, 1928 წ., ფრუმჟინის წე-რილი.

მემარჯვენეთა შეხედულებანი ნაწილობრივად მუშათა რიგებ-შიც პოულობს თავის გამოხმაურებას. ასე, მაგალითად, რკინისგზის სახელოსნოს ერთ-ერთი მუშა ტაშქენტის ოლქში აყენებს „თეორიას-„საბჭოთა“ და „იმპერიალისტური“ კულაკის შესახებ. მისი განცხა-დებით, კულაკი, რომელიც წარმოიშვა საბჭოთა მეურნეობის პირო-ბებში, იძლევა პურს საგანგებო ზომების მოხსნის შემდეგ, ხოლო „იმ-პერიალისტური“ კულაკი კი ჯიუტობსო. „ცოტათი შევჩერდეთ საბ-ჭოთა და კოლმეურნეობათა გაფართოების დარგში, არ არის კულა-კის ისეთი შევიწროება საჭირო, კოლმეურნეობას ოდესლაც ექნება პუ-რი, ხოლო კულაკს კი ის ღლეს აქვს — აცხადებს ჩიტინსკის ოლქის პარტ-კონფერენციაზე მუშა-დელეგატი. „საჭირო არ არის ამოდენა თან-ხის ღნეპროსტროისათვის გადადება მაშინ, როდესაც გლეხობას-თან დამოკიდებულება ფუჭდება“, ან კიდევ „უახლოეს წლებში სხვა-დასხვა მიზეზის გამო ღარიბი გლეხკაცობა ვერ იქნება ქვეყნის ეკო-ნომიური დასაყრდენი. ჩვენთვის აუცილებელია კურსი ავილოთ მო-სახლეობის უფრო შეძლებულ ფენგბზე“ და სხვა. ეს სიტყვები მოწ-მობს იმას, რომ წვრილ-ბურუუაზიული განწყობილება იჭრება ნაკლე-ბად შეგნებულ და კლასობრივი თვალსაზრისით ჩამორჩენილ მუშათა რიგებში. წვრილი წარმოება წვრილ-ბურუუაზიული იდეოლოგიისა და წვრილ-ბურუუაზიული ელემენტების განვითარების საფუძველია; „ყოველი მხრიდან წვრილ-ბურუუაზიული სტიქით გარშემოერტყმი-ან პროლეტარიატს, წვრილ-ბურუუაზიული სულისკვეთებით სწამლა-ვენ მას, რყენიან, იწვევენ პროლეტარიატში წვრილ-ბურუუაზიულ უხასიათობას, დაქაქსულობის ინდივიდუალიზმის რეცივიდებს, გატა-ცებიდან სასოწარკვეთილებამდე გადასვლას“<sup>1)</sup> — სწერდა ამბ. ლენინი. ასეთია მოკლედ ის წინნამდვრები, რომლებიც საფუძვლად ედება მარქსისა და ლენინის მოძღვრების რევიზიას აღზრდისა და განათ-ლების შესახებ.

მარქსმა, ეყრდნობოდა რა ოუნისა და საფრანგეთის დიდი მა-ტერიალისტების შეხედულებას აღზრდის შესახებ, ამ შეხედულებათა ძირითადი საფუძვლების კრიტიკის გზით მოვცა ჩამოყალიბებული აზრი, თუ როგორი უნდა იყოს სკოლის სახე სოციალისტურ საზო-გადოებაში. მარქსისა და ენგელსის პედაგოგიური იდეები მსხვილი ინდუსტრიის განვითარების პირობებში აღმოცენდა, ამიტომ ამ იდე-ათა ავტორებს საფრანგეთის და კერძოდ ინგლისის ეკონომიკის გან-

1) 6. ლენინი „მემარცხენების საყმაწვილო სენი“. \*

ვითარების მაგალითზე შეეძლოთ მოეცათ გარკვეული აზრი პოლიტექნიკური და პროფესიონალური განათლების შესახებ.

პირველი საკითხი, რომელიც დღეს ზოგიერთი მემარჯვენე პედაგოგისათვის სადაოდ ითვლება, არის საკითხი პოლიტექნიკური სკოლის შესახებ. ამ საკითხის გარშემო შექმნილ აზრთა სხვადასხვაობას შორის უნდა აღინიშნოს:

ა) გასტევის შეხედულება კვალიფიციურ მუშათა კადრის მომზადების შესახებ;

ბ) პროფესორ პინკევიჩის მტკიცება, ვითომც მარქსი და ენგელსი ისევე აყენებდენ და სწყვეტდენ პრობლემას პოლიტექნიზმის შესახებ, როგორც ანარქისტი რობერი და კროპოტკინი.

გ) მესამე შეხედულების თვალსაზრისით ჩვენ იმდენი ტიპის პოლიტექნიკური სკოლა შეგვიძლია გვქონდეს, რამდენი სამეურნეო განვითარების ფორმაც მოგვეპოვება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში.

აზრთა სხვადასხვაობა პოლიტექნიზმისა და მონოტექნიზმის შესახებ და ბრძოლა პოლიტექნიკური სკოლის დაცვისათვის ძველი საკითხია, და თუ ზოგიერთი პედაგოგი ამ საკითხს დღესაც აყენებს, როგორც სადაც საკითხს, ეს აიხსნება იმ საერთო მიზეზებით, რომელიც ზემოთ აღნიშნეთ.

ნ. გ. კაზანსკი თავის წერილში: „პოლიტექნიკური განათლების საკითხის შესახებ“ იმ დასკვნამდე მიღის, რომ მარქსი ვითომც სრულიად არ ყოფილა პოლიტექნიკური სკოლის მომხრე და ნაცვლად პოლიტექნიკური სკოლისა პროფესიონალურ სკოლას აყენებდა. ამიტომ, კაზანსკის აზრით, უმჯობესია პოლიტექნიზმის ტერმინის მაგივრად „ტექნიკური განათლება გვეხმარა.“ როგორც ქვემოთ დავინახავთ, კაზანსკის ასეთი შეხედულება მიმართულია იქითკენ, რომ დასაბუთებულ იქნას გასტევის თეორია მუშათა კადრის მომზადების შესახებ პოლიტექნიკური სკოლის გარეშე, როგორიცაა საფაბრიკო-საქარხნო სკოლები განათლების სახალხო სისტემაში. კაზანსკი თავის შეხედულებას იმით ასაბუთებს, რომ მარქსი, მისი აზრით, არ ხმარობდა სიტყვას „polytechnische“, არამედ თავისი აზრის გამოსახატავად ის მიმართავდა შემდეგ სიტყვებს, როგორიცაა „ტექნოლოგიური“ (technologische) და „ტექნიკური“ (technische). საინტერესოა ვიცოდეთ, შეეფერება თუ არა ეს სინამდვილეს; მართლაც, მარქსის ნაწერებში ვხვდებით თუ არა პოლიტექნიკური სკოლის ისეთ გაეგბას, რომელიც საფუძვლად ედება დღეს ჩვენს პრაქტიკულ საქმიანობას?

ამის დასამტკიცებლად შესაძლებელია მოვიყვანოთ მაგალითი. მართალია, კაპიტალის პირველი ტომის 1898 წლის რუსულ თარგმანში ჩვენ ვხვდებით სიტყვას „ტექნიკური“ „პოლიტექნიკური“ მაგივრად, მაგრამ ეს სწორი არ არის. ამას ამტკიცებს სხვათა შორის ისც, რომ გერმანულ დრედანში ჩვენ გვხვდება სიტყვა „პოლიტექნიკური“ და არა „ტექნიკური“. რუსული თარგმანის ეს შეცდომა გამოსწორებულია ბაზაროვისა და სტეპანოვის მიერ, სადაც ჩვენ პოლიტექნიკური სკოლის შესახებ ვკითხულობთ:

„მსხვილი მრეწველობის ნიაღაგზე ბუნებრივად აღმოცენებულ გარდაქმნითი პროცესის ერთ გამოვლინებად ითვლება პოლიტექნიკური და აგრონომიული სკოლები“<sup>1)</sup> (ხაზი ჩვენია, შ. ს.). იმ მიზნით, რომ თავიდან ავიშოროთ კაზანსკის, პინკევიჩის და გასტიევის რევიზიონისტული შეხედულებანი პოლიტექნიკური სკოლის შესახებ, საჭიროა ვიცოდეთ; რას გულისხმობდა მარქსი პოლიტექნიკური სკოლის სახით.

პირველი ინტერნაციონალის უენევის კონგრესისათვის შედგენილ რეზოლუციაში მარქსი წერდა:

„განათლებაში ჩვენ უნდა ვგულისხმობდეთ სამ რამეს: პირველი—სულიერი განათლება, მეორე—ფიზიკური აღზრდა, რომელსაც იძლევა ტანკარჯიშობის სკოლები და სამხედრო დაწესებულებანი; მესამე—პოლიტექნიკური აღზრდა, რომელიც უნდა აცნობდეს ყველა წარმოებითი პროცესის ზოგად მეცნიერულ საფუძვლებს და ამავე დროს ასწავლიდეს ბავშვა და მოზარდს ყველა წარმოების მარტივი ხელსაწყოების პრაქტიკულ გამოყენებას.“ ამ დებულებაში სავსებით გასაგებად არის მოცემული, თუ როგორ უნდა გვესმოდეს პოლიტექნიკური და პროფესიონალური განათლება. მარქსი და ენგელსი იბრძოდენ წვრილბურუუზიული თეორეტიკოსების (პრუდონი და რობენი) წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებენ იმას, რომ ვითომც პროფესია მუდმივი და უცვლელი კატეგორია იყოს. მარქსი პროფესიას ისტორიულ კატეგორიად სთვლიდა და ამიტომ აყენებდა აქტუალურად საკითხს პოლიტექნიკური განათლების შესახებ.

მძიმე ინდუსტრიის ზრდა-განვითარებასთან ერთად, რომელიც მიმდინარეობს საწარმოო საშუალებათა ავტომატიზაციის გზით, მივიყვართ შრომის ტექნიკური განაწილების მოსპობამდე, რასაც შე-

<sup>1)</sup> ამ თარგმანის გერმანული ტექსტი ასეთია: „Eine auf Grundlage der grossen Industrie naturwüchsige entwickelte Moment dieses Uniwalzungsprocesses sind polytechnische und agronomische Schulen“—კაპიტალი 2890 წ. გვ. 453.

დეგად უნდა მოყვეს სამუშაო ძალის დეპროფესიონალიზაცია. კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში ეს პროცესი თავის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ვიწრო სპეციალიზაციის წინაღმდეგობად იქცევა, რომლის მოწესრიგებაც სოციალისტური საზოგადოების გადაუდებელ ამოცანად არის დასახული. თუ კაპიტალისტური წარმოება მოითხოვს სამუშაო ძალა (ადამიანის სახით) მანქანის უბრალო დამატებად გადააქციოს, ეს მდგომარეობა მაშინ ისპობა, როდესაც ახალი საწარმოო საშუალებანი მუშის წინაშე ახალ ამოცანას აყენებენ, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ ის უფრო მეტად ინტელექტუალური უნდა მუშაობოდეს. ვიდრე ფიზიკურად. ამდენადევ ისმება საკითხი ინდივიდის ყოველმხრივი განვითარების შესახებ. თავის წიგნში „ფილოსოფიის სილატაკე“ მარქსი ჩვენ გვისურათებს იმას, თუ როგორი სიძლიერით ვითარდება შრომის დეპრატურის გაფართოების პირობებში.

ამ დებულების ჭეშმარიტებას დღეს ბურჟუაზიული ქვეყნების პედაგოგებიც აღიარებენ.

შტუდგარტის უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტის პრივატოცენტრი გიშე ილაშქრებს ვიწრო სპეციალიზაციის წინაღმდეგ. გერმანული, ურნალი, „პიროვნება და ტექნიკური შემოქმედება“ აღნიშნავს იმას, რომ შრომის უაღრესი განაწილება საშუალებას არ აძლევს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ინჟინრებს შემოქმედებითი უნარი გამოიჩინონ თავის დარგში. ასეთსავე აზრს გამოსთვამენ ვიწრო პროფესიონალურ განათლებაზე მაიერი, ბოჭინდერი, დეგენი და სხვები.

კაპიტალისტურ გერმანიას და მის ტექნიკურ ინტელიგენციას უკვე აწლებს პროფესიონალური განათლების ის შედეგები, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარებამ გამოიწვია ავტომატიზაციის ზრდასთან ერთად. შეუძლია თუ არა გერმანიის სკოლებს დასძლიოს ეს წინააღმდეგობა? ცხადია, არ შეუძლია. არ შეუძლია, ვინაიდან ეს წინააღმდეგობა ზედნაშენია შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობის საფუძველზე აღმოცენებული უკუღმართობის, რომელიც სოციალისტურმა საზოგადოებამ უნდა გადაჭრას.

ამერიკელი მრეწველებისა და ინჟინრების აზრით:

„ბნელი გონება რთული მანქანების გვერდით საშიშროებაში იმყოფება, მაგრამ რთული მანქანებიც საშიშროებაშია ბნელი გონების გამო, რომელიც მას მართავს. მანქანების გავლენა დღითიდღე

იზრდება, ის ძლიერი კუნთების ნაცვლად ძლიერ ინტელექტს მოითხოვს".

თუ ასეთ მოთხოვნას უყენებს კაპიტალისტური წარმოება ამერიკელ მუშას, ცხადია, ეს მოთხოვნა უფრო ძლიერდება ჩვენს პირობებში, სადაც მუშათა კლასი ქვეყნის ხელმძღვანელის როლში გამოდის. ეს კეშმარიტება არ აქვს შეგნებული შრომის ცენტრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელ გასტევს, რომელიც რეაქციონურ და ოვეიზიონისტურ შეხედულებებს ანვითარებს კვალიფიკაციური მუშათა კადრის მომზადების შესახებ. საუბედუროდ, გასტევის თეორიას, როგორც გარკვეულ პლათონორმას, მუშათა ახალგაზრდობის შრომის სოციალისტური კანონმდებლობის წინააღმდეგ მიმართულს, მხარს უჭირენ სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენლები.

გასტევის თეორიის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ ის უმთავრეს ყურადღებას აქცევს რაც შეიძლება ნაკლები ღროის და თანხის დახარჯვით მეტი შედეგის მიღებას, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით. ის წინააღმდეგია საფაბრიკო-საქარხნო სკოლების და. აყენებს თეზისებს იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი 3—6 თვის განმავლობაში მუშათა კვალიფიკაციური კადრის მომზადება. არც ერთი სიტყვა პოლიტექნიკურ განათლებაზე, სულიერ აღზრდაზე და სხეულებრივი განვითარების შესახებ გასტევის თეორიაში არ არის, რადგანაც ეს შეუძლებელია, იმ მცირე ღროს განმავლობაში, რომელსაც გასტევი აწესებს წარმოებისათვის საჭირო მუშათა კადრების მომზადებისათვის.

გასტევი მოზარდი ახალგაზრდობის წარმოებაში მონაწილეობის წინააღმდეგია, რითაც ის ფაქტიურად თეორიულ სწავლებას წარმოებით საფუძვლებს აცლის, მოითხოვს მოზარდთა ჯავშნის მოსპობას, წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ახალგაზრდობის ხელფასის შემცირებას, მუშების შვილების ნაცვლად წარმოებაში, მისი აზრით, გაერთიანებულ უნდა იქნას გლეხური ახალგაზრდობა, საფაბრიკო-საქარხნო სკოლა მიაჩნია ტექნიკური ჩამორჩენილობის დამცველად. და სოციალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ აღმართულ დაწესებულებად.

ვითომდა სოციალისტური რაციონალიზაციის გატარებისათვის გასტევი, როგორც ვხედავთ, მიმართავს მემარცხენე ფრაზებს, მაგრამ ის, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა გავიგოთ როგორც სოციალისტური რაციონალიზაციის და კომუნისტური აღზრდის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებანი.

ბრძოლა გასტევის თეორიის წინააღმდეგ წარმოადგენს ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან პედაგოგიურ ფრონტზე, რომლის გამარჯვებაც მარქსისა და ლენინის პედაგოგიურ იდეათა გაყალბება იქნებოდა, რადგანაც მარქსისტული პედაგოგიკა გვასწავლის, რომ თეორიული სწავლებისა და წარმოებითი აღზრდის ერთმანეთისაგან დაშორება შეუძლებელია. და ამ დებულების წინააღმდეგ მებრძოლ ხალხს მივყავართ კერძენშტეინერის პროფესიონალისტური აღზრდის თეორიამდე.

ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ მარქსისა და ლენინის შეხედულებანი წარმოებაში ბავშების მონაწილეობის შესახებ.

„დღევანდელი მრეწველობის ტენდენცია — წერდა მარქსი, — გააერთიანონ ორივე სქესის ბავშები და მოზარდი ახალგაზრდობა საზოგადოებრივი წარმოების აღმშენებლობაში ჩვენ პროგრესიულად, კეთილისმყოფელად და სამართლიან ზომად მიგვაჩნია, მიუხედავათ იმ ყოვლად მიუღებელ საშუალებათა და ფორმისა, რომელშიც ეს ტენდენცია ხორციელდება კაპიტალის ბატონობის დროს.

რაციონალურად მოწყობილ საზოგადოებაში გამოუკლებლივ ყველა ბავში 9 წლის შემდეგ მწარმოებელი მუშაკი უნდა გახდეს. გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან, ჩვენ ვლაპარაკობთ, რომ არც მშობლებს და არც დამქირავებლებს, საზოგადოებამ ნება არ უნდა მისცეს ისარგებლონ ბავშებისა და მოზარდი ახალგაზრდობის შრომით, თუ დაკული არ იქნება პირობა მათი წარმოებითი შრომის განათლებასთან დაკავშირების შესახებ“ (პირველი ინტერნაციონალის ენერვის კონგრესის რეზოლუციიდან).

„არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოების იდეალი იმის გარეშე, თუ ახალი თაობის წარმოებითი შრომა შეერთებული არ იქნება განათლებასთან“ — გვასწავლიდა ლენინი.

შეადარეთ ეს ორი დებულება გასტევის დებულებებს და განსხვავება, რომელსაც რევიზიონისტული ხასიათი აქვს, ყველასათვის გასაგები გახდება. ჩვენ მიზანს შეადგენს არა მარტო სიტყვით, არა მედ საქმითაც ვებრძოლოთ ამგვარ ტენდენციებს პედაგოგიურ აზროვნებაში, ვამხილოთ ამ ტენდეციების რეაქციონური ხასიათი და მოვუწოდოთ განათლების დარგში მომუშავე პირებს გააძლიერონ ბრძოლა ამ ტენდენციის წინააღმდეგ. პოლიტექნიკური სკოლის კრიტიკით გასტევი და კაზანსკი მის უარყოფამდე მივიდენ, ხოლო პოლიტექნიკური სკოლის უარყოფა ნიშნავს მარქსისტული პედაგოგის ძირითადი საფუძვლების მოშლას.

პოლიტექნიკური სკოლის უარყოფამდე პროფესორი პინკევიჩი სულ სხვა გზით მიდის, საკითხის დასაბუთებაში ის ფორმალურად განსხვავდება ზემოთმოყვანილი პირებისაგან, მაგრამ ფაქტიურ მდგომარეობას ეს სრულებითაც არ სცვლის.

პინკევიჩის აზრით, მარქსისა და ანარქისტ რობენს შორის პოლიტექნიკური სკოლის საკითხში არავითარი განსხვავება არ არსებობს. ასეთი მტკიცება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ცნობილია, რომ მარქსი სასტრიკად ილაშქრებდა რობენის ინტეგრალური აღზრდის თეორიის წინააღმდეგ, რომელიც უპირატესობას ახალგაზრდობის პროფესიონალურ განათლებას ანიჭებს. რობენი მოითხოვდა, რომ მოქალაქეს მხოლოდ ერთი ხელობა სცოდნოდა და ისიც ზედმიწვნით, მაშინ, როდესაც მარქსი გვასწავლიდა მოზარდის ყოველმხრივი ანუ პოლიტექნიკური განათლების შესახებ. წვრილ ბურჯუაზიას პროფესია ისტორიულ კატეგორიად არ მიაჩნია, და გასაგებია, როდესაც მათი იდეოლოგებიც მას (პროფესიას) მეტაფიზიკური თვალსაზრისით განიხილავენ. ამ საკითხის ირგვლივ მარქსი სასტიკად ილაშქრებდა პრუდონის, ხოლო ენგელი კი ლიურანგის წინააღმდეგ. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, პოლიტექნიკური სკოლის საკითხში მარქსი და რობენი აუცილებლად განსხვავდებიან, და თუ პინკევიჩი ყოველი შემთხვევისათვის ცდილობს მათ შერიგებას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო დიდი ავტორიტეტის ფარდის ქვეშ დაფაროს თავისი წვრილ-ბურჯუაზიული ზრახვები.

პინკევიჩის ასეთი განზრახვა, ცხადია, გამოხმაურებას პოულობს მხოლოდ ისეთ პედაგოგებს შორის, რომლებიც მიდიან იმ დასკვნამ-დე, რომ ჩვენს პირობებში ვითომც შეუძლებელი იყოს პოლიტექნიკური სკოლის ორგანიზაცია.

მართალია, ამ დარგში ჯერჯერობით სიძნელეები აუცილებლად მოგვეპოება, მაგრამ წარმოებისა და ტექნის განვითარების დღევან-დელ პირობებში, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპით განისაზღვრება, ჩვენ ფართო გასაქანი გვეძლევი, რომ პრობლემა პოლიტექნიკური სკოლის შესახებ პრაქტიკულად გადავჭრათ. საფა-ბრიკო საქართველო და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მშენებლობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ სავსებით ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენ მოგვეპოება საკმაო წარმოებითი საფუძველი იმისა-თვის, რომ პოლიტექნიკური სკოლის პრობლემა გადავჭრათ. ვის შეუძლია დღეს უარყოს ეს ჭეშმარიტება, გაილაშქროს საფაბრიკო-საქართველო სკოლების, როგორც ნამდვილი პოლიტექნიკური მარქსის-ტული სკოლების წინააღმდეგ? ცხადია, მხოლოდ იმათ, ვინც გასტე-

ვის სკოლას ეკუთვნის და გასტევთან ერთად მოითხოვს პოლიტექნიკური სკოლების პროფსკოლებად გადაქცევას.

ასეთია, მოკლედ, მემარჯვენების შეხედულებათა კონცეპცია დღევანდელ პედაგოგიურ აზროვნებაში ზემოთმოყვანილი ცენტრალური პრობლემების შესახებ.

მეორე საკითხი, რომელიც დღეს დავას იწვევს, არის საკითხი იმის შესახებ, გვჭირდება თუ არა მარქსისტული პედაგოგიკის საფუძვლიანი დამუშავება.

მეცნიერული პედაგოგიკის სისტემის გამომუშავებამდე დღემდე მუშაობდა მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული პედაგოგიკის ინსტიტუტი, სადაც მომუშავეთა შორის (კალაწინიკოვი, პინკევაჩი) ერთიანი პოზიცია არ არსებობს; ამავე საკითხზე მუშაობს აღმოსავლეთის პედაგოგიური ინსტიტუტი (ყაზანში) და სასკოლო მუშაობის მეთოდების ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტებს შორის ცალკე საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ თუ წინად ეს წინააღმდეგობანი მხოლოდ მოჩვენებითი იყო, დღეს უკვე რეალობად გადაიქცა და საფუძვლები ეყრდნა იმ თეორიებს, რომელიც მიმართულია მარქსისტული პედაგოგიკის წინააღმდეგ.

მარქსისტული პედაგოგიკის თეორიის ჩამოყალიბების საკითხის შესახებ ზოგიერთი პრაქტიკული მომუშავე, რომელსაც ვერ შეუგნია რევოლუციონური თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთდამოკიდებულება, ფიქრობს, რომ საჭირო არ არის მარქსისტული პედაგოგიკის თეორიის ჩამოყალიბება მაშინ, როდესაც უკვე მოგვეპოვება სამეცნიერო პედაგოგიური სექციის პროგრამები, შრომის სკოლის დებულება, თეზისები ბავშთა თვითმართველობის შესახებ და სხვა. ამავე საკითხზე ბურუუაზიული თეორიებით გატაცებული პედაგოგები ლაპარაკობენ, რომ ჩვენ უკვე გვაქვს ჩამოყალიბებული მარქსისტული პედაგოგიური თეორია. ფაქტიურად ეს პედაგოგები თავის წიგნებს პედაგოგიკის შესახებ ავსებენ ბურუუაზიული პედაგოგების გადაუმუშავებელი ციტატებით, რომელსაც თეორიული ხასიათი აქვს, და ამ თეორიით ცდილობენ მარქსისტული პედაგოგიკის თეორიის შევსებას.

მარქსისტული პედაგოგიკის საკითხების დამუშავებას დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გადახრების თავიდან აშორების მიზნით, რომელიც შემჩნეულია პედაგოგიურ აზროვნებაში. აღზრდის საკითხი სოციალისტური საზოგადოების მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა; მას უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა რეკონსტრუქციის ეპოქაში წარმოშობილ სიძნელეებთან დაკავშირებით.

ბით. თეორიულად აღზრდა—ხანგრძლივი, გეგმიანი და ორგანიზაცია-ქმნილი პროცესი, მაგრამ პრაქტიკაში ამ პროცესს გეგმიანობასთან ერთად სტიქიური ხასიათიც აქვს. აღზრდის საქმეში ჩვენ დახმა-ბერას გვიწევს პარტია, საბჭოები და პროფესიონალები, მაგრამ ჯერ-ჯერობით პედაგოგიური პროცესის გეგმიანობის დარგში ძალიან ცოტარამ არის გაკეთებული, ის მტკიცე კავშირი, რომელიც უნდა დამყარდეს განათლების, მიწათმოქმედების და სახალხო ჯანმრთე-ლობის კომისარიატებს შორის აღზრდისა და განათლების საკითხების გადაჭრის დარგში, ჯერ კიდევ ჩანასახის სახით ასებობს და სა-ქმაოდ დიდი მუშაობაა საჭირო იმისთვის, რომ ეს ხარვეზი თავიდან ავიცილოთ. ორგანიზაციული და სტიქიური ხასიათის პედაგოგიურ პროცესია შორის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა, წი-ნააღმდეგობათა შესწავლა აუცილებელია იმისათვის, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა აკაციინოთ ქუჩის, ოჯახისა და ყოფა-ცხოვრების უარყოფით გავლენას და დავაყენოთ ის პროლეტარული იდეოლო-გიის გავლენის ქვეშ. ვისაც ეს არ შეუგნია, ვინც ილაშქრებს გა-რემოზე ზეგავლენის მოწესრიგების წინააღმდეგ და პროფესორ კა-ლაშნიკოვთან ერთად ამტკიცებს იმას, რომ პედაგოგიკას საქმე უნდა ქონდეს მხოლოდ მიზანდასახულ ზედმოქმედებასთან და, ამ დებულე-ბის დამტკიცებას ფიქრობს მარქსის, პლეხანოვისა და ლენინის სი-ტყვებით, ცხადია, იმავე ხასიათის შეცდომაში ვარდება, რაც პროფ. პინკევიჩის მოუვიდა პოლიტექნიკური სკოლის საკითხის გადაჭრის დროს. ჩვენ ვლაპარაკობთ შეცდომის შესახებ, რაღვანაც მარქსის-ტული პედაგოგიკის ძირითადი საფუძვლების წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებასთან ამ საკითხში ჯერჯერობით ჩვენ საქმე არ გვაქვს, მაგრამ ეს საკითხს სავსებით არ ამოსწურავს, რაღვანაც აქ შესაძლე-ბელია შეცდომა კი არ იყოს, არამედ შეგნებული დასკვნები, მარ-ქსისტული პედაგოგიკის წინააღმდეგ მიმართული.

სადაც საკითხთა ჯგუფს ეკუთვნის აღმზრდელობითი მომენტე-ბის როლის საკითხი. მოიპოებიან ისეთი პედაგოგები, რომლებიც უარყოფენ ახალგაზრდობის მიერ ბუნებასა და საზოგადოებაზე ზედ-მოქმედების. პროცესში ცოდნა ჩვევათა მიღების შესაძლებლობის დიდ პედაგოგიურ ღირებულებას. მათი აზრით, ზედმოქმდებითი პროცესი უნდა იწყებოდეს მაშინ, როდესაც პირველი პერიოდი ცოდნა-ჩვევის მიღებისა უკვე დასრულებულია.

საბჭოთა შრომის სკოლა ხაზგასმით აღნიშნავს პიონერთა ორ განიზაციის, მოწაფეთა თეორიმართველობის და სხვადასხვა სახის ნე-ბარყოფლობით საზოგადოებათა ჩამოყალიბების მნიშვნელობას ახალი

ადამიანის ყოფაქცევის გამომუშავების დარგში; მაგრამ, საუბედუროდ, მოიპოვებიან ისეთი „მარქსისტი“ პედაგოგები და ფსიქოლოგები, რომლებიც თავის გამოკვლევებში იძლევიან დასჯის რეფლექსოლოგიურ დასაბუთებას და მის პრაქტიკულად გამოყენების მიზანშეწონილებას.

აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა და იწვევს საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის საკითხი. იქ საკითხის შესახებ, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ საზოგადოებრივ - სასარგებლო მუშაობად, სამგვარი აზრი არსებობს: ა) ჯერ ცოდნა-ჩვევანი და შემდეგ საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა, ბ) ცოდნა-ჩვევათა შიწოდება და სკოლის შენობის მორჩევა არის საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა და გ) საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის დროს ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა მივაჭრიოთ ბავშთა წრეს და ამით უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მუშაობაც. მოიპოვებიან ისეთი სკოლებიც, რომლებიც აშკარად ილაშქრებენ ყოველგვარი საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის წინააღმდეგ და თავის სკოლის კედლებში იკეტებიან. ამ მხრივ საქართველოში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. განა ცოტაა ისეთი სკოლა, რომლებიც შეგნებულად არ ატარებენ რაიმე საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას, სადაც ჩამოყალიბებული არ არის მშობელთა დამხმარე კომიტეტი, მოუწესრიგებულია სწორი დამოკიდებულება პიონერთა კოლექტივთან და კომკავშირის უჯრედთან?

ყველაზე უფრო საჭირობოროტო საკითხი მოწაფეთა სოციალური შერჩევაა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მეორე საფეხურის სკოლების მოწაფეთა სოციალური შემადგენლობა დამაქმაყოფილებელი არ არის, რომ აქ მთლიანად არ ტარდება სწორი კლსობრივი ხაზი, რის გამოც ძალიან მცირეა მუშებისა და გლეხების ბავშთა პროცენტი. რით აიხსნება ეს გარემოება, თუ არა უყურადლებობით, ან კიდევ ზოგიერთ შემთხვევაში არა მარტო შეცდომით, არამედ შეგნებული ნაბიჯით, რომელსაც მივყავართ საბჭოთა სკოლის წვრილ-ბურუუზიულ სკოლებად გარდაქმნაშდე. ზემოთმოყვანილი ფაქტები, რომლებიც საფუძლად ედება მემარჯვენე გადახრას პედაგოგიურ აზროვნებაში, გარკვეულ პრაქტიკულ ამოცანებს იყენებს პარტიისა და კერძოთ განათლების კომისარიატის წინაშე. ბრძოლა მემარჯვენე გადახრასთან და მასთან შემრიგებელ განწყობილებასთან განათლების ფრონტზე მომუშავეთა ძირითად ამოცანად უნდა გადაიქცეს, უმთავრესად პრაქტიკული საქმიანობის საკითხების გადაჭრის დროს. ჩვენ უნდა ვეცადოთ ხელი შევუწყოთ ისეთი ძალების მომზადების

საქმეს, რომლებიც თავისი შეგნებით და ტექნიკური ცოდნით სათავეში ჩაუდგებიან და გააფართოებენ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საქმეს.

### შ. სიხარულიძე

## ანტირელიგიზრი აღზრდა ჩვენს სკოლებში.

„ჩვენი პროპაგანდა წარმოუდგენელია ისე,  
თუ ათეიზმის პროპაგანდაცარ გავწიეთ“.

### ლენინი.

საბჭოთა შრომის სკოლა კლასიურია, როგორც ყოველი სკოლა დღემდე არსებული ჩვენში და უცხოეთში. ჩვენსა და უცხოეთს შორის ის განსხვავებაა, რომ უცხოეთის სკოლა ბურჟუაზიულ ინტერესებს ემსახურება, ჩვენი კი პროლეტარიატის ინტერესებს. სკოლა მართველი კლასის ხელში მჭრელი იარაღია, რომლის საშუალებით ის ებრძეის მოწინააღმდეგე კლასს და მის შეხედულებებს.

რამდენიც გინდა ეცადოს ბურჟუაზია სკოლა პოლიტიკის გარეშე გამოაცხადოს, ის თვალებს ვერავის აუხვევს და აშკარაა მისი პოლიტიკაც ამ მხრივ. მას სურს გულუბრყვილობით და უცოდველი აღამიანის პოზით მოატყუოს მშრომელები, მაგრამ მგლის ქურქში გახვეულ ცხვარს ყველა იცნობს.

ბურჟუაზიისათვის მშრომელთა წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის საშუალებას—რელიგიას დიდი მნიშვნელობა აქვს. ბედნიერების მოლოდინში ითმენს მშრომელი სააქაო ტანჯვას. მშრომელთა უმრავლესობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში აკლია ცოდნა, აკლია კრიტიკის უნარი ან ბრძოლისათვის სითამამე, რომ დაასკვნას: თუ მართლაც აქ, წუთისოფელში სიმდიდრე და ნეტარება ნიშნავს იქ სამუდამო მწუხარებას და ტანჯვას, ბურჟუაზია რად არ აიღებს ხელს წუთიერ ბედნიერებაზე და არ შეუდგება მუდმივი ნეტარებისათვის მზადებას. ბურჟუაზია ურცხვად ატყუებს მშრომელებს, პატარაობიდანვე მათ გონებას ათრობს რელიგიის ბანგით, უშხამავს აზროვნებას მის ტიციზმით, ყველაფერს ღვთის განგებით ხსნის და ყვლეფავს თავის სასარგებლოდ.

ამრიგია, რელიგია არ არის უვნებელი რამ, როგორც ბევრსა ჰგონია, არამედ ექსპლოატაციის უდიდესი იარაღია. ამით აიხსნება

ის გარემოება, რომ ბურუუაზიულ ქვეყნებში სამღვდელოების მეთაურები სამოთხის და ჯოჯოხეთის საქმეებს კი არ აწესრიგებენ, აშკარა სააქაო პოლიტიკურ საქმეებს სათავეში უდგანან და მუშათა კლასის დასაპყრობად და გასაყვლეფად კანონებს სწორენ. ასევე ფაშისტურ იტალიაში, სადაც რომის პაპი უგვირგვინო მცირეს როლში გამოდის, ასევე „დემოკრატიულ“ ინგლისში, სადაც კენტერბერიის ეპისკოპოსი დაპყრობილი ახალშენების გაძვალტყავებულ მშომელებს ჩემბერლენ-თან ერთად „შეწევნითა ღვთისათა“ აწილებს და სულს ართმევს. ასევე სხვა ბურუუაზიულ ქვეყნებში, ასევე იყო ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ოქტომბრის რევოლუციამდე, მაგრამ ასე არ არის საბედნიეროდ ეხლა.

რელიგია უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია და ყალბი პათოსით გამოთქმული სიტყვები, რომელიც ჩვენ ხშირად გვესმის: „რელიგია სინიდისის საკითხია და ამიტომ ხელუხლებელი უნდა იყოსო“, ნიღაბამოფარებული „გულუბრყვილობა“ ან გზააბნეულის ბოლდა. ლენინი წერდა: „ანტირელიგიური პროპაგაზდა მის ძირითად ამოცანას უნდა დაექვემდებაროს: ექსპლოატატორების წინააღმდეგ ექსპლოატაციაქმნილი მასების კლასობრივი ბრძოლის გაფართოებას“.

დაინგრა ჩვენში ღეოდალების, ბურუუების და ეპისკოპოსების მიერ ნაშენი ხუხულა—იმპერია, განთვისუფლდა მუშათა კლასი და სამართლიანად მიმართა თავისი რისხევა რელიგიის წინააღმდეგ. მაგრამ მაგარიც ის არის, რომ საუკნეებით ნაწვეთი შხამი გუბეებად გადაიქცა და საზოგადოების ქვედა ფენებში ფესვებ-გადგმულ სარწმუნოებას ერთის დაკვრით ნიკოლოზ მეორესავით ტახტიდან ვერ გადაისვრი. მყვლეფელებმა კარგად იცოდენ რასაც შვრებოდენ: ცეცხლითა და მახვილით აერცელებდენ რა საარწმუნოებას, გლეხობას უვიცობაში, ტალახსა და ჭუჭუში აღრჩობდენ, რომ ცოდნას, სწავლას შხამის საწინააღმდეგო შრატი არ დაემზადებინა და საიქიოს მაგიერ მშრომელს პირი სააქაოსკენ არ ეწნა. სხვა მაგალითი რაღად გვინდა: საეპარქიო და საზოგადოდ სასულიერო სასწავლებლებში ბუნებისმეტყველებას სრულიად არ ასწავლიდენ მაშინ, როდესაც საღვთო სჯულს და ღვთის მსახურებას უნდებოდა მუშაობის სამი მეოთხედი. ადვილი არ არის ქრისტიანული ფანატიზმით მოწამლული ხალხის „მორჯულება“. რელიგიის საწინააღმდეგო ბრძოლა დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, დიდ მოთმინებას, დიდ ენერგიას, მაგრამ ეს ერთი წუთითაც არ ნიშნავს იმას, თითქო ჩვენ ამიტომ ამაზე ხელი უნდა ავილოთ ან შევანელოთ ბრძოლის ტემპი.

პროლეტარიატისთვის ოელიგია არა თუ საჭირო არ არის, მისთვის ის მავნეა იმდენად, რამდენად მისი მსოფლმხედველობა — მატერიალისტური შემეცნება, ძირფესვიანად ეწინააღმდეგება მისტიკიზმს, ზებუნებრივ გაგებას და ცრუმორწმუნეობას. სკოლა, რომელიც ზრდის მშრომელთა შვილებს, უნდა ემსახურებოდეს მგაროველი კლასის — პროლეტარიატის ინტერესებს. პროლეტარიატის თვისი საქუთარი მსოფლმხედველობა აქვს და ცხადია, მას სურს თანამედროვე ახალგაზრდობა აღიზარდოს მებრძოლ ადამიანებად.

რა არის საჭირო, რომ ბრძოლა პროლეტარიატის სასარგებლოდ წარიმართოს და მატყუარა მტერი დავამარცხოთ? უეჭველია, ლრმადა საფუძვლიანი ცოდნა. ამგვარ ცოდნას უნდა იძლეოდეს ჩვენი სკოლა, პირველი საფეხურიდან უმაღლეს სასწავლებლამდე. არ არის საქმიანისი ვთქვათ დეკლარატიულად: „ლმერთი არ არის“, ან ხატებიდავწევათ, ბავშებს ჯვრები ჩამოვგლიჯოთ. საჭიროა, მეცნიერული შუშაობა, დასაბუთებული მსჯელობა და ფაქტებით რელიგიის საწინააღმდეგოდ გამოსვლა. სკოლაში მუშაობის დროს საკმარის საშუალება და მასალა გვაქვს იმისთვის, რომ დავამტკიცოთ რელიგიის უნიადაგობა. როგორ არის ამ მხრივ საქმე ჩვენ სკოლებში? ცხადია, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ჩვენ ხშირად ვმუშაობთ „შემთხვევიდან შემთხვევამდე.“ მივადექით ქრონოლოგიურად „შობას“. ავტეხთ განგაშს, „აბა, დაიწყეთ ანტირელიგიური პროპაგანდა“ რაღაცა შეგაკონტიწებთ, სწრაფად გამოუშებთ გაზეთს, ჩავატარებთ იწსცენირობას, გავმართავთ დისპუტს და მორჩა! „აღდგომამდე“ თავისუფალი ვართ.

ვფიქრობთ, ეს ყოვლად დაუშვებელი ღონისძიებაა! ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს არა ანტირელიგიურ იღზრდასთან, არამედ სახელდახელო პროპაგანდასთან. კამპანიები შეიძლება იყოს თესვის, სესხის გავრცელების და სხვა, შაგრან, როგორ შეიძლება სკოლაში, აღზრდის საკითხებში ჩვენ კამპანიებით დავკმაყოფილდეთ? კამპანიები კიდევ არაფერი, მაგრამ ჩვენ ხშირად გვიხდება მოვისმინოთ ზოგიერთი მოქალაქისგან: — რა საჭიროა ანტირელიგიური პროპაგანდა, ბავშებმა ღმერთზე არაფერი იციან და ამით თქვენ მათ მიმართულებას აძლევთ მორწმუნენი გახდენ. — საჭიროები მსჯელობა! გამოის, რომ ბავშებმა არაფერი იციან ღმერთზე, თითქო ისინი არ ცხოვრობდენ იმ ოჯახში, სადაც ხშირად ხედავენ „შობა“ — „აღდგომისათვის“ სამზადისს, თითქო ბავში არ დადიოდეს იმ ქსებში, სადაც კელეპტრებით გაჩაღებული ეკლესიებია, თითქო მას ყურები დახშული აქვს და არ ესმის ზარების წკარუნი, თითქო ვერ ხედავს, თუმ-

ცა იშვიათად, მიცვალებულის გასვენებას მღვდლით ან სასაფლაოზე ჯვრებს და სხვას. ასეთი მსჯელობა თვალების ახვევაა!.. ჩვენს სინამდვილეში ბავშს არ შეუძლია არ იცოდეს ლმერთი, რაღან ეს ლმერთი ჯერ კიდევ საკმაოდ „არსებობს“. ჩვენი მიზანია არა ურელი-გიო აღზრდა, არამედ ანტირელიგიური, რაღან შემცდარია ის აზრი, რომ ჩვენი ბავშები ყოველგვარი რელიგიის გარეშე იზრდებიან. ადა-მიანს წრე ზრდის, წრე კი ჩვენში ჯერჯერობით საკმაოდ რელი-გიურია.

ერთმა მასწავლებელმა, რომ დაემტკიცებია, თითქო ბავშებს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ ლმერთზე, მითხრა:—დღეს ერთი მოწაფე მომვარდა და მეუბნება: „მასწავლებელი, მე დღეს ლმერთი ვნახეო. გამოირკვა, რომ ბავშს შემოსილი ეპისკოპოსი უნახავს“; ასეთმა საბუთმა გამაჟვირვა, მასწავლებელს უხაროდა, რომ ბავში ლმერთს ვერ „იცნობს“ და ეპისკოპოსში აურია. თითქო ჩვენთვის სულ ერთი არ იყოს, ბავში ლმერთს კაცად წარმოიდგენს, მხეცად, თუ სხვა რამედ. მაგარი ის არის, რომ ბავშმა იცის ლმერთის „არსებობა“ და მის წარმოდგენაში ის როგორ გადატყდება, ეს აღარ გვაინტერესებს. ჩვენ ყოველგვარ ლმერთს ბრძოლას ვუცხადებთ, იქნება ის „ებრაულების იეგოვა, მუსლიმანების ალახი, თუ ჭრისტიანების „მამა ღმერთი, ერთი, მაგრამ სამპიროვანი“. თავის მოტყუილებას გვერდი აფუაროთ და აშკარად ვთქვათ, რომ ბავში ლმერთს „იცნობს“ სკოლიდან თუ არა, ოჯახიდან, ქუჩიდან მაინც.

კოუპსკაია ამბობს: „სკოლა გავლენას ახდენს ბავშების მსოფლი-შხედველობაზე, მაგრამ უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს გარემოცული წრე“. აქედან დასკვნა: მანამ, სანამ ჟაზოგადოება არ დაივაწყებს ლმერთებს, ჩვენ დაზღვნული არა ვართ, რომ ჩვენი ბავშები ლმერთების „გარეშე“ გაიზრდებიან და ჩვენც მზად უნდა ვიყოთ ლმერთებთან საბრძოლველად. სკოლამ არა თუ მხოლოდ ბავშები უნდა აღზრდას, არამედ თავის მუშაობის ასპარეზი გადიტანოს მოსახლეობაშიც და ლექციებით, კინოებით და სხვა მხატვრული ხერხებით ზეგავლენა მოახდინოს რაიონის მოსახლეობაზე. მთავარი სამუშაო კი უნდა დაეკისროს იმ ახალგაზრდობას, რომელიც სკოლაში ლრმად ითვისებს ანტირელიგიურ ცოდნას, რომ შემდეგ ოჯახში გადაიტანოს.

ასრულებს თუ არა ჩვენი სკოლა ამ დიდ ამოცანას? ჩვენ ვფიქრობთ, არა, ვერ ასრულებს, ან ცუდად ასრულებს. ჯერ ერთი, როგორც ზევით ვთქვით, ანტირელიგიურ აღზრდას აქვს კამპანიური ხასიათი და არა სისტემატიური. პროგრამებშიც მისი ადგილი მეტად მიჩქმა-

ლულია და მის (პროგრამების) შეთვისებას მიზნად ათეისტის შექმა არა აქვს. მეორე, ჩვენი სახელმძღვანელოები ამ მხრივ ნაკლებად უპა-სუხებენ ჩვენს მოთხოვნილებას. ჯერჯერობით სახელმძღვანელოებში საკმაოდ ხშირად გვხვდება რელიგიური ხასიათის მასალები (იხ. ამხ. 3. აფხაძის წერილები „კომუნისტში“), რომელიც ბავშვს ძალაუნე-ბურად რელიგიისკენ აქნევინებს პირს მაშინ, როდესაც ამხ. კრუპს-კაია სწერს: ძალიან დიდი მუშაობა ჩატარდა სახელმძღვანელოები-დან რელიგიური სულით გაულენთილი ლექსების, მოთხრობების გან-დევნისათვის. ჩვენში ამ მხრივ, საქმე ჯერ საკმაოდ მოიკოჭლებს და დიდ ყურადღებას მოითხოვს. მესამე და მთავარი არის თვით ჰასწავ-ლებლის საკითხი. შეუძლებელია ადამიანს ის მოსთხოვო, რაც თვი-ოთონ არ აქვს. თუ მასწავლებელი მორწმუნება ან მსოფლმხედველობით არამატერიალისტია, ცხადია, მას ანტირელიგიური პიროვნების აღზრდა არ შეეძლება. მასწავლებელი უეპველად უნდა იყოს ათეის-ტი და მატერიალისტი. რელიგიოზურობის მხრივ ჩვენ საქმე გვაქვს მას-წავლებელთა ორ კატეგორიასთან: პირველი—რელიგიური, იდეალის-ტი და, მაშასადამე, მარქსიზმის უეპველი მტერი და მეორე, გაუ-თვითცნობიერებელი პიროვნება, რომელსაც გარკვეული მსოფლმხე-დველობა არ გააჩნია. პირველი, აშკარაა, ჩვენს სკოლაში ვერ იმუ-შავებს და თუ მაინც მუშაობს მატერიალური მოსაზრებით, ის ხელს უშლის შრომის სკოლის წინსვლას. მისი გასწორების იმედი დაკარ-გულია, ის ჩვენს სკოლას უნდა მოშორდეს. მეორენი უნდა გადიხარ-მონ და მარქსისტული მსოფლმხედველობით ალიჭურეონ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევით მარქსისტულ მსოფლმხედველობით. ლე-ნინი სწერდა: „ცატა რამ როდი კეთდება იმისთვის, რომ ძველი მას-წავლებლობა დავძრაოთ თავისი აღგილიდან, ახალი ამოცანების შეს-რულებაში ჩავაბათ, დავაინტერესოთ პედაგოგიკის საკითხების ახა-ლი დაყენებით, დავაინტერესოთ ისეთი საკითხით, როგორიც არის სარწმუნოების საკითხიო“. ეს იწერებოდა რამდენიმე წლის წინ; და საბედნიეროდ, ჩვენში მორწმუნე მასწავლებელთა რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ თუ დღემდე ამ მხრივ ზოგიერთი მასწავლებლები არა თუ არ გამოსწორებულან, არამედ გამოსწორების იმედსაც არ იძლევიან, ვფიქრობთ, ახალგაზრდობის აღზრდას ისინი დიდ ზიანს მოუტანენ.

სკოლაში დისკიპლინების მუშაობა ისე უნდა იყოს წარმარ-თული, რომ ყველგან და ყოველთვის აშკარად ჩანდეს მსოფლ-მხედველობის საკითხი. რასაკეირველია, სწორია ის შეხედულება, რომ საზოგადოებათმეცნიერების მასწავლებელი მსოფლმხედველო-ახალ სკოლისკენ.

ბით უეჭველად მარქსისტ-ლენინელი უნდა იყოს, მაგრამ ეს არ კმარა. არცერთ მასწავლებელს არ შეუძლია გულდამშევიდებით განაცხადოს, მე ვასწავლი მათებატიკას ან ფიზიკას და ჩემი საქმე არ არის მსოფლმხედველობის საკითხებზე თავის მტრევაო. ეს იქნებოდა მეტად მავნე ნეიტრალური პოზიცია, რომელიც ჩენი აღზრდის საქმეს დიდ ზიანს მოუტანდა. რაც შეეხება ბუნებისმეტყველს და ლიტერატურის მასწავლებელს, აქ საქმე უნდა გვექნეს უსათუოდ მსოფლმხედველობით გამართულ მარქსისტან. ბუნებისმეტყველება, რომელსაც ევალება გამოამჟღავნოს რელიგიის მატყუარობა და ურყევი კანონებით დაამტკიციას მისი სიყალტე, მთლიანად უნდა ემსახურებოდეს კარგად შეიარაღებულ, მეცნიერულად წელგამართული ათეისტის შექმნას. ზოოლოგიის, ბოტანიკის და ანატომიის ცოდნისა და მოწაფეში მსოფლმხედველობის განმტკიცების საკითხის დაუკავშირებლობა, როგორც ეს აქამდე ხშირად იყო, ყოვლად მიუღებელია. რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ ბავშებს საგნების ცოდნა არ მივცეთ, პირიქით, ცოდნას, ჩვევებს, დისკიპლინების შეთვისებას უდიდესი ყურადღება უნდა მივაქციოთ, მაგრამ არა განყენებულად, არა „საგანი საგნისთვის“, არამედ იმ მოვლენათა ასახსნელად და მსოფლმხედველობის გამოსაჭედად, ურომლისოდ პიროვნება მისტიკიზმის და რელიგიური რუტინის მონად იქცევა. დისკიპლინები, საგნები საშუალებაა მიზნის მისაღწევად, მიზანი კი ცხოვრების შესწავლაა იმ გაგებით და შემეცნებით, როგორც ამას კეშმარიტი მსოფლმხედველობა-მარქსიზმი გვიმტკიცებს. კომუკავშირის მე-VIII საკავშირო ყრილობაზე კრუპსკაიამ სამართლიანად განაცხადა: „ცხადია, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სკოლა ბავშებს ცოდნას აძლევდეს. სწორედ ამიტომაც დადიან ისინი სკოლაში. მაგრამ ამხანაგებო, შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ სწავლების ლოზუნგი ხშირად იმ მხრივ არის გამოყენებული, რომ იფიტება იმის შინაარსი, რასაც ასწავლიან. მაგ., შეუმჩნევლად იწყება ჩვენს სკოლაში რელიგიასთან ბრძოლის გაქრობა. მუშათა კლასის ბრძოლის გაშუქებით საკითხები თანდათან ქრება, რომ სწორ ლოზუნგს: „მეტი ყურადღება სწავლას“, იყენებენ, როგორც ლოზუნგს „მოდი ვისწავლოთ მხოლოდ გრამატიკა, მხოლოდ აზითმეტიკა... შინაარსი კი, კომუნისტური შინაარსი—ეს გარეშე საქმეა“.

რუსეთის სინამდვილეში იდეოლოგიური მტრების რელიგიური თავდასხმა უფრო მკაცრი და აშკარაა, ვიდრე ჩვენში. ეს გასაგებიც არის იმ ისტორიული პირობებით და კულტურული წარწერით, რომელიც ჩვენ და რუსეთს ერთმანეთისგან გვანსხვავებდა, მაგრამ ერთ-

წუთს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენშიაც საქმაოდ დიდი ასპარეზი აქვს რელეგიური სულისკეთებით გაულენთილ გრერს. გააფთორებული ბრძოლა ეხლა სწორედ იდეოლოგიურ ფრონტზე სწარმოებს და ბარი-კადებს იქით დარაზმული მტერი ახალგაზრდობის გადაბირებას რელი-გის საშუალებით ფიქრობს.

ჩვენიში ეს საკოთხი ჯერ კიდევ კარგად არ არის დამუშავე-ბული. არ ვიცით, თუ რა მდგომარეობაა სკოლებში რელიგიური გან-წყობილების სფეროში. არ ვიცით, რადგან არ ჩაგვიტარებია არც ანკეტური დაკითხვა, არც პერსონალური შესწავლა, არც სხვა სახის მუშაობა, რომ გამოგვერკვია, მართლაც ისე კარგად არის საქმე, რომ შეგვიძლია რუსეთში დაწყებულ რელიგიურ თავდასხმა-მოვერიებას გულდამშვიდებით ვუცქიროთ, თუ შინაც არ გვაქვს რიგიანად საქმე.

რუსეთმა კლასობრივ მტერს ნიღაბი ახალა, განგაში ასტეხა, და პრესის და სათანადო ორგანოების სახით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა, ჩვენში კი ჯერ-ჯერობით კამპანიებით ვემა-ყოფილდებით და „შემთხვევიდან შემთხვევამდე“ გულდამშვიდებით განვაგრძობთ ყოველდღიურ მუშაობას. ჩვენის ლრმა რწმენით, თავი უნდა დავანებოთ ჩვენებითი ხასიათის მუშაობას, ზერელე, წყალ-წყა-ლა პროპაგანდას, ობივატელურ გულდამშვიდებას და გადავიდეთ უფრო ლრმა და საფუძვლიან საქმიანობაზე. ამისათვის საჭიროა:

1. სკოლაში სწარმოებდეს სისტემატური, პროგრამულად და-მუშავებული ანტირელიგიური აღზრდა, რომლითაც გაულენთილი იქ-ნება არა ერთი რომელიმე საგანი, არამედ ყველა გამოუკლებლივ.

2. სრულიად მოისპოს რაიმე იმედების დამყარება ურელიგიო აღზრდაზე, რადგან ბავში ტრიალობს და იზრდება ისეთ წერეში, სა-დაც რელიგია ჯერ კიდევ საქმაოდ ძლიერია. ბავშმა უნდა იცოდეს რაჩე ემყარება რელიგიური ცრუმორწნუნეობა და შეგნებით შევიდეს რელიგიის უარყოფამდე.

3. სკოლამ უნდა შესძლოს ანტირელიგიური ელემენტების შე-ტანა მოსახლეობაში, რომ ამით საყრდენი გამოაცალოს რელიგიურ განწყობილებას მასაში.

4. ეხლავე შევუდგეთ ჩვენი სკოლების რელიგიური სახის გამორ-კვევას ანონიმური ანკეტებით, კითხვა-პასუხებით, დისპუტით, და სხვ.

4. ყველა დასახული ამოცანის გადაჭრა. დიდ პასუხისმგებლო-ბას აკისრებს საბჭოთა მასწავლებელს. ამიტომ კავშირის ხაზით შეი-ძლება უკვე მასწავლებელს მოეთხოვოს კავშირის წევრებისათვის ყოველგვარი რელიგიის გარეშე დგომა. ჩვენი ლრმა რწმენით, საქარ-თველოს მასწავლებელთა უდიდესი ნაწილი ყოველგვარი რელიგიის

გარეშე დგას და მათი საშუალებით უნდა მოხდეს მასწავლებელთა ჯახახის ჩელიგიური წევრებისაგან გაწმენდა, რადგან მორწმუნე მას-წავლებელი უდიდესი საფრთხეა ჩენი სკოლისთვის.

6. ახალგაზრდათა ორგანიზაციებს, პიონერებს და კომკავშირს — მართებსთ დიდი სიფრთხილე, რომ მათ რიგებში არ იყონ რელიგიურად განწყობილი წევრები. საბჭოთა მასწავლებელთან ერთად მათ უნდა შესძლონ უდიდესი ამოცანის გადაჭრა — კლასობრივი მტრის დამარცხება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს მომავალში სახალხო განათლების საკითხების გადასაწყვეტად მოწვეული პარტიათბირი სკოლის მხარეს დიდ ყურადღებას მიაქცევს და ადგილებს სათანადო მითითებებს მიაწოდებ.

#### 6. ძიძიგური:

**რა აძლევებს გუობლიური ენის და ლიტერატურის  
ცეკვლებას და როგორი დახმარებას საჭირო.**

ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“ ის ფურცლებზე რამდენიმე წერილი არის მოთავსებული, სადაც აღნიშნულია, რომ ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება ჩვენს სკოლებში ვერ არის ხეირიანად დაყენებული, რომ ჩვენმა ახალთაობაზ არ იცის წელგამართული წერა-კითხვა.

ეს მართალია.

მაგრამ, როგორც ყოველ მოვლენას, ისე ამ გარემოებასაც აქვს თავისი ღრმა მიზეზები. ეს მიზეზები შემდეგია:

1) იმ მასალის ირგვლივ, რომლის დამუშავება უხდება ქართული ენის მასწავლებელს, არცერთი კრიტიკული ნაწარმოები არ მოიპოვება (რომ ის დაიხმაროს მასწავლებელმა მუშაობის სწორად წარმოებისათვის). მასწავლებელს უხდება საკუთარი შეხედულებით, საკუთარი დასკვნებით უხელმძღვანელოს მოწაფეებს ამა თუ იმ ნაწარმოების გარჩევა-შეფასების დროს. ამიტომ რამდენიც მასწავლებელია, იმდენივე თავისებური მიღვომა არის. მეტისმეტ სიჭრელეს აქვს ადგილი. ასეთ პირობებში ადვილი შესაძლებელია მნიშვნელოვანი რამ უყურადღებოდ დარჩეს და დეტალი კი ვრცლად იქნას გაშუქებული.

2) თემის შესწავლის დაწყების წინ საჭიროა სოციოლოგიური ხასიათის საუბრის ჩატარება მასწავლებლის მიერ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მუშაობის სრულქმნისათვის.

აქაც ყოველი მასწავლებელი თავისებურად აშუქებს საკითხს, რადგან ამ საკითხის შესასწავლად ის ვერ პოულობს საჭირო ლიტერატურას.

3) ფორმალი გრამატიკის შესწავლისათვის სათანადო სახელმძღვანელო არ არის. ეს (ფორმალი გრამატიკა) ხომ ახალი საქმეა და, როგორც ასეთი, მეტ სიძნელეს შეიცავს.

4) ჩვენი ენისა და ლიტერატურის სწავლებისათვის საჭირო მეთოდური ლიტერატურა ნაკლებად მოიპოვება.

5) ამას ებატება ისიც, რომ სახელმძღვანელოები ვერ აქმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნილებას. ზოგ სახელმძღვანელოებში სანახევროდაც არ მოიპოვება ის მასალა, რომელსაც პროგრამა მოითხოვს, ალბათ იმიტომ, რომ ამ სახელმძღვანელოების გამოცემამ დაუსწრო პროგრამების გამოცემას.

ყველაფერი ეს, ერთად შეჯამებული, საუკეთესო პირობაა იმისა, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ჩვენს სკოლებში მოიკოჭლებდეს. როგორ შეიძლება ამ ნაკლის გამოსწორება, როგორი დახმარებაა საჭირო?

1) რაკი პროგრამა თემატიურად არის დალაგებული, კარგი იქნება, რომ ახალ სახელმძღვანელოშიც მასალა თემატიურად იქნას და ლაგებული და ყოველ თემას წაემძღვაროს რამდენიმე მთავარი კითხვა, რას მასწავლებელს საშუალებას მისცემს (თემის შესწავლის დაწყების წინ) სოციალ-ეკონომიკური შინაარსის საუბრის ფარგლები მოძებნოს და ამა თუ იმ უკიდურესობაში არ გადაიჩენოს.

შეიძლება ითქვას:

ყოველი სკოლის (ერთნაირი ტიპის სკოლების) მოწაფეობის გონიერივი პორიზონტი ხომ ერთნაირი არ არის, რომ წინასწარ მოცემული კითხვები საერთო და სავალდებულოდ მივიღოთო?

ცხადია, რომ ყოველი მასწავლებელი ისე დაამუშავებს მასალას, როგორც ეს შეეფერება მისი მოწაფეების ცოდნის დონეს, მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც კარგია, რომ დასაყრდნობი წერტილი, მუშაობის დასაწყისი და გეზი ყოველი მასწავლებლისთვის ერთი იქნება, რაც დიდად შეუწყობს ხელს სხვადასხვა სკოლების მოწაფეების ცოდნის დონე ერთხანეთს დაუახლოედეს, ერთი სკოლა მეორეს არ ჩამორჩეს, ეს კი მნიშვნელოვანი საქმეა.

2) ყოველი ნაწარმოების—მოთხრობის, პოემის, თუ ლექსის—ბოლოს ისეთი კითხვები უნდა იქნას დასმული, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება სისწორით მიაგნოს ნაწარმოების დედა აზრს და მთავარი გმირების ფრიად მნიშვნელოვან თვისებებს, რომლის შესწავლა-გაცნობა მოწაფეთათვის აუცილებელია.

თუმცა ასეთი კითხვები ეხლანდელს სახელმძღვანელოებშიც არის (ვგულისხმოა მე-V, VI და VII ჯგ. ქართული ენის სახელმძღვანელოებს), მაგრამ ეს საქმარისი არ არის ზემოაღნიშნულ პირობებში მომუშავე მასწავლებელთათვის.

აგრეთვე საჭიროა, სახელმძღვანელოები ცოტათი მაინც გაიაფდეს, თორემ ლარიბი მოწაფისთვის ძნელია 3-3 მანეთიანი წიგნების შეძენა.

დაეინტერესდი გამეგო, რამდენ მოწაფეს ქონდა ყველა საჭირო სახელმძღვანელო. გამოვარევიე, რომ ჩვენს სკოლაში (აბაშის 10-წლები) მე-V, VI და VII ჯგუფების 322 მოწაფეში ყველა საგნის სახელმძღვანელოები, რომელიც კი მოაპოვება ბაზარზე გასასყიდად, 67 მოწაფეს აქვს. ეს მაშინ, როდესაც აბაშის რაიონი არც ისე ლარიბი კუთხეა.

მართალია, ამის მიზეზი ერთის მხრივ სახელმძღვანელოების სიცირეა, მაგრამ არის მეორე მხარეც.

გლეხი ასე ეუბნება თავის შეილს; „შეილო, მითხარი, რომელ საგანში უფრო გიჭირს, იმ წიგნს გიყიდი, ეგებ, ორ-სამ თევზი ახალი წიგნი მოგთხოვეს. შენი წიგნები გაისად შენ ძმას რომ გამოადგებოდეს, რომ ვიდალო, მაინც გიყიდი, მაგრამ რაცხა ჭირს შენ წიგნებს ისეთი, რომ სხვას აღარ არგია!“

მართალია თუ არა ამის მთქმელი, ეს მკითხველმა განსაჯოს!

ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა გამოიცეს ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც პროგრამას საგენერით უპასუხებენ, თორემ უწიგნოდ (უდედნოდ) მშობლიური ლიტერატურისა და ენის შესწავლა ჩვენი ახალთაობის გონიერის განვითარებისა, გრძნობისა და ესთეტიკური აღზრდის საქმეში თვის დიად მისიას ლირსეულად ვერ შეასრულებდს.

**მერი ადამია**

აბაშის 10-წლების მასწავლებელი.

## სასოფლო-სამეურნეო განათლება.

საქართველო — სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა. ეს აზრი საყო-  
ველთაოდ არის განმტკიცებული.

საქართველო მომავალში ინდუსტრიის ქვეყანაა, შეიძლება არა  
ნაკლებ, ვინემ სასოფლო-სამეურნეო, მაგრამ დღეს და ჯერ-ჯერო-  
ბით სასოფლო მეურნეობას ჩვენს ეკონომიკაში პირველხარისხოვანი  
მნიშვნელობა აქვს.

1926 წ. ცნობებით პურეულის კულტურებს საქართვე-  
ლოში ეკავათ 660.800 დეს., მოსავალი უდრიდა 45 მილ. ფუთს, აქედან  
27,5 მილ. ფუთს სიმინდი შეადგენდა. ჩვენს მემინდვრეობაში გამო-  
ჟენებული რომ ყოფილიყო მიწის დამუშავების ისეთი ტეხნიკა და  
წესები, როგორიც დასაშუალებითი მილებული, საშუალო მოსავალი-  
უაზრდებოდა  $2\frac{1}{2}$ -ჯერ, ე. ი. 45 მილ. ფუთის მაგივრად 100 მილ.  
ფუთ პურეულს მივიღებდით.

მიწის დამუშავების გაუმჯობესება, გაუმჯობესება თესლეულისა,  
მიწის განვითარებისა, მავნებლებთან ბრძოლა, აგრო-მომუშავეების  
კადრის გაზრდა, რომელთა საშუალებითაც შეიძლება სასოფლო მეურ-  
ნეობის დაკვემდებარება კულტურული ზემოქმედებისათვის — ყოველივე  
ეს ის პირობები დასაშუალებებია, რასაც ძალუბს განავითაროს ჩვე-  
ნი სასოფლო მეურნეობა და მაქსიმალური შემოსავალი მოვცეს.

მემინდვრეობას გარდა საქართველოში უკვე არის და შეიძლე-  
ბა განვითარდეს სასოფლო მეურნეობის ყველა სახე:

ა) შევენა ხეობა-მელვინეობა (ვენახებს უკავია 34.000  
დეს., 20 წლის შინ 60.000 დეს. ეკავა) მშვენიერი ხარისხის ლვინობით.  
ვენახების მიერ დაკავებული მიწის რაოდენობას თუ ავიყვანთ 80-100  
ათას ჰექტარამდე და წარმოების გაუმჯობესებულ საშუალებებს შე-  
მოვილებთ, მელვინეობის პროდუქცია, მისი ნარჩენების უტილიზაციით,  
შეიძლება ავიყვანოთ 70-80 მილ. მანეთამდე.

ბ) მეხილეობა და ციტრუსოვანთა (მანდარინი, ლიმო-  
ნი, ფორთოხალი) კულტურა. მექანიზმით მეხილეობას უკავია 7.000  
დეს. ეს რაოდენობა შეიძლება გადიდეს 5-6-ჯერ და მეტადაც.

მეხილეობისა და მებოსტნეობის უარყოფით მხარეს ჩვენში წარ-  
მოადგენს ხილისა და ბოსტნეულის მოსავლის არარაციონალური გა-  
მოყენება; არ არის ნაყოფთსახმობები, გავრცელებული არ არის მუ-  
რაბის, თათარის და სხვ. დამზადება.

საბალონო განათლების გავრცელება, სპეციალისტების სათანა-  
დო კადრის არსებობა მეტად დააჭინაურებს ჩვენში მეხილეობისა და

მებოსტნეობის საქმეს, მით უმეტეს, რომ ჩვენში სწრაფად ვითარდება მაცივარების მშენებლობა, სამაცივარო ტრანსპორტი და საკონსერვო საქმე.

გ) ჩაის კულტურა. ამ მიმართულებით პერსპექტივები მეტად დიდია. ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმით გათვალისწინებულია ჩაის პლანტაციების მოედნის აყვანა 7-დან 40 ათას ჰექტარამდე.

(დ) მეთამბაქონბა სამკურნალო მცენარეთა (რიცინუსი, ევკალიპტუსი, ბელადონა, ვალერიანი) კულტურა, ტენიკურ მცენარეთა (ჭარხალი, კანაფი, ბამბა და სხვ.) კულტურა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა და მასთან დაკავშირებით სარძეო მეურნეობა, ბოლოს. მეტყევეობა — ეს სასოფლო მეურნეობის ის დარგებია, რომებმაც საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში უდიდესი როლი უნდა შეისრულონ.

ჩვენი საქონლის ჯიშების გაუმჯობესება და შათი წესიერი მოვლა, სატყეო მეურნეობის წესიერი დაყენება აურაცხელ სარგებლობას მოვცემდა...

მაგრამ ჩვენი სასოფლო მეურნეობა ძლიერ ზარალობს აგრძელურული ჩამორჩენილობის გამო. ეს კიდევ არაფერი: სასოფლო მეურნეობის მცირე პროდუქცია დიდ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი საქარხნო მრეწველობის განვითარებისათვის. რაც ძლიერ შეფერხდება, თუ მისთვის უზრუნველყოფილი არ იქნება ნედლეულის ბაზა.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მაქსიმალური გაზრდა ჩვენი მეურნეობის უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანაა.

ჩვენი საქარხნო მრეწველობა სწრაფი ტემპით ვითარდება, ხდება მისი რეკონსტრუქცია, მრეწველობის მხრით იზრდება მოთხოვნა სასოფლო მეურნეობისადმი, როგორც პურის, ჭარხლის, კარიოოფილის და მოხმარების სხვა საგნების, აგრეთვე ყოველგვარი ნედლეულის — ტყავის, მატყლის, აბრეშუმის, ცხიმების და სხვ. მიმწოდებლისადმი.

მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობას შორის იზრდება დისპროპორცია, რასაც რაც შეიძლება მაღე უნდა მოელოს ბოლო.

ნედლეულის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელია წვრილ ლარიბ მეურნეობათა გაერთიანება ძლიერ სას.-სამ. კოოპერატივებში, კოლმეურნეობაში, კომუნალურ მეურნეობებში, საჭიროა რაც შეიძლება მაღე შეიქმნეს მსხვილი სოციალისტური სასოფლო მეურნეობა, რომელსაც შეეძლება დაექვემდებაროს აგრიკულ-ტურულ ონისძიებებს: შემოილოს მეურნეობაში ტრაქტორები, მან-

ქანები, გააუზღობესოს თესლეული, მოაწყოს მავნებლებთან ბრძოლა, გაანიყითროს მიწა, შექმნას ჯიშიანი სანერგები, გადავიდეს ბალა-ხების თესვაზე, მრავალმინდვრიანობაზე და სხვ.

ამ უზარმაზარი მუშაობის შესრულება, ცხადია, შეუძლებელია, თუ მასში მონაწილეობას არ მიიღებენ სათანადო სამეცნიერო დაწე-სებულებანი, თუ არ იქნება საცდელი მინდრები, თუ არ იქნება სა-თანადო კადრი სპეციალისტ აგრონომებისა, ტექნიკოსებისა, ოსტა-ტებისა, კვალიფიციური მუშებისა.

ცდების საქმის მიღწევათა შესატანად საჭოფლო მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რა თქმა უნდა, გამოფენებს, პოსულარუ-ლი ლიტერატურის გამოცემას, ლექციების კითხვას სასოფლო-სამე-ურნეო დარგიდან, სასოფლო-სამეურნეო ბაასების მოწყობის, სას.-სამეურნეო ექსკურსიებს და სხვ.

მაგრამ უმთავრესია სკოლა, ისეთი სკოლა, რომელმაც უნდა მოამზადოს სპეციალისტები ამ დარგში.

მაგრამ რა საშუალებებია, რა დაწესებულებებია საჭირო აუცი-ლებელი კადრების მოსამზადებლად?

1. უმაღლესი სკოლა, რომელიც იძლევა აგრონომებს, კვლევა-ძიების მეთოდიკის დარგში საფუძვლიანი მომზადებით იღჭურვილ აგრონომებს, კოლეგიურ მეურნეობათა და სახალხო მამულების ორ-განიზატორ აგრონომებს, აგრონომებს, რომელიც მუშაობენ აგრო-ნომიული ცდების საქმის განვითარებაზე, სასოფლო მეურნეობის სხვა-დასხვა დარგის საკითხების დაყენება-გადაწყვეტაზე, აგრონომებს—სასოფლო მეურნეობის მეურნალებს, რომელმაც იციან სასოფლო მეურნეობის ცხოვრების ნორმალური გზიდან ყოველივე გადახვევის სათანადოდ გამოჯანსაღება.

2. საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლა (სას.-სამ. ტეხნიკუმები), რომელიც ამზადებს მუშაქებს უკვე შოწყობილ მეურნეობათა ცალკე დარგების ხელმძღვანელობისათვის, უკვე მოწ-ყობილ წარმოებათა ინსტრუქტაჟისათვის, მემინდვრეობის, მესაქონ-ლეობის, მებალეობის, მევნენახეობის, მელვინეობის, მიწათმოწყობის, ტექნიკურ მოწყობის ტეხნიკოსებს (იგულისხმება, რომ სას.-სამ. ტეხნიკუ-მებთან მოწყობილი უნდა იყოს სამაგალითო მეურნეობა, რაიონული მნიშვნელობის საკადელი დაწესებულებანი, სარემონტო სახელოსნოე ბი და სხვ.).

3. დაბალი სას.-სამ. სკოლა ფიწრო სპეციალობისა, რომელიც იძლევა სას.-სამეურნეო საქმის ოსტატებს: მებალეებს, მებოსტნეებს, მეხილეებს, მელვინეებს, მეტყვევებს და სხვ.

4. „ზამთრის“ სკოლები შეურნეობაში მომუშავე მოზრდილი ვლეხებისათვის.

ზამთრის სკოლები აქმაყოფილებს განსაზღვრული სას.-სამეურნეო რაიონის მოხოვნებს; მათში ისწავლება დედა-ენა, ანგარიში, ბუნების მეტყველება, საზოგადოებათ მეცნიერება და სპეციალური კურსები—სასოფლო მეურნეობის საჭირბო როტო საკითხები (მაგნებლებთან ბრძოლა, ბრძოლა მინდვრების დანაგვიანების წინააღმდეგ, თესლის შერჩევა, ჯიშიანი საქონელი და მისი მოვლა, მიწის განოყივრება, რაციონალური მეფრინველება, მელორეობა და სხვ.).

მეცადინეობა ამ სკოლებში სწარმოებს მინდვრის მუშაობათაგან თავისუფალ პერიოდში—ზამთრის 2-3 თვეს.

„ზამთრის“ სკოლები ჩვენში არ არის. საჭირო კია ვიფიქროთ მათი, როგორც მუდმივი დაწესებულების, ორგანიზაციის შესახებ, თუნდაც „მოძრავი“ ხასიათის მიცემით, ე. ი. ამ წელს—ისინი შეიძლება იყოს მაზრის ერთ რაიონში (თემში), მეორე წელს—მეორეში.

კვალიური ციური მუშების რა კადრი სჭირდება რესპუბლიკას უასლოესი ხუთი წლისათვის, გვაქვს თუ არა დაწესებულებანი, რომელიც მათ ამზადებენ, და რა მდგომარეობაშია ეს დაწესებულებანი.

უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვჭირდება აგრონომები, რომელთა მოსამაზადებლადაც სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი.

საჭირო რაოდენობა აგრონომებისა ხუთი წლისათვის საკმაოდ ზუსტად არის ნავარაუდები: მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისათვის—400, განათლების სახალხო კომისარიატისათვის—90, სას.-სამეურნეო კომპერაციისა და კოლმეურნეობათათვის—150. მაშასადამე, სულ—640 კაცი. სას.-სამეურნეო ფაკულტეტს ყოველწლიურად შეუძლია 100—120 კაცის გამოშვება, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მოხოვნილება საესებით იქნება დაკავშირდილებული.

საჭიროა აღნიშვნოთ, რომ მეტად საგრძნობია ბეითლების ნაკლებობა. ჩვენ არა გვაქვს არც საბეითლო ფაკულტეტი და არც საბეითლო ტეხნიკუმი.

ჯერჯერობით ამ დარგის სპეციალისტების მომზადების მხრივ ვკმაყოფილდებით მოსწავლეების გაგზავნით რ. ს. ფ. ს. რ. სათანადო სასწავლებლებში, ხოლო გასულ შემოდგომაზე 30 კაცი მივლიუნებულ იქნა ამიერკავკასიის საბეითლო ინსტიტუტში (ერევანში).

მაგრამ ეს საქმეს ვერ გამოასწორებს. საჭიროა ვიზრულოთ სახელმწიფო უნივერსიტეტის სას.-სამ. ფაკულტეტთან სათანადო განუფილების მოწყობისა და აგრეთვე საბეითლო ტეხნიკუმის დაარსების შესახებ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სას.-სამეურნეო ფაკულტეტი საერთოდ დამაკაყოფილებლად არის დაყენებული: გარდა ფიზიკის, ქიმიის, ბოტანიკის, ენტომოლოგიის, ნიაღაგთმცოდნეობის და სხვა კაბინეტებისა, არის მელვინეობის ლაბორატორია, შინაური ცხოველების ძოშენება-გენეტიკის კაბინეტი, ზოოტეხნიკური სადგური, სას.-სამ. მანქანების გამოსაცდელი სადგური და სატყეო მუზეუმი. გადაუდებლად არის ოლიარებული, ნიაღაგთმცოდნეობის და სუბტროპიკულ მცენარეთა და ახალ კულტურათა შემსწავლელი ინსტიტუტის მოწყობა, მემცენარეობის კაბინეტისა და ლაბორატორიის მოწყობა და სხვ.

საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების დარგში გვაქვს:  
სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმები:

ტფილისში—სამიწათმომწყობო, ქუთაისში—მებალეობა-მელვინეობისა, ბაკურციხეში—მელვინეობისა, გორში—მებალეობა-მებოსტნეობისა, ამბროლაურში — მიწათმოქმედება-მელვინეობისა, კულაშში—წვრილი მესაქონლეობისა, გორაბერევეულში—მებალეობა-სუბტროპ., სენაჟში—მიწათმოქმედებისა სუბტროპ. განხრით, ზუგდიდში—მიწათმოქმედებისა. სუბტროპ. განხრით, ყვარელში—მეტყევებისა, აჭარისტანში—მებალეობისა.

ამ ტეხნიკუმებში მოწაფეები ირიცხება სულ 4912.

მოთხოვნა ტეხნიკოსებისა—1500 კაცი.

ტეხნიკუმებს ყოველწლიურად შეუძლიათ მოცემა 250-280 კაცისა, ისე რომ 5 წლის შემდეგ მოთხოვნილება მთლად იქნება დაფარული.

შესაძლებელი რომ გახდეს ტეხნიკოსების საჭირო კადრის მომზადება ჩაის საქმისათვის, რომელიც თანდათან ვითარდება, განზრახულია მომავალი სასწავლო წლიდან აჭარისტანის ტეხნიკუმის გადაკეთება სუბტროპიკულად და მისი გადაქცევა საერთო-რესპუბლიკურად.

ამას გარდა სუბტროპიკული განხრებია გურიის, სენაკის და ზუგდიდის ტეხნიკუმებში. ამნაირად, ჩაის საქმისათვის ტეხნიკოსების მოთხოვნილება დაფარული იქნება.

სას.-სამეურნეო ტეხნიკუმები საზოგადო-სუსტად არიან დაყენებული: მათ არა აქვთ სათანადო შენობები, არა აქვთ სათანადო მოწყობილობა—კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები, ხოლო ზოგიერთ ტეხნიკუმს არა აქვს მიწის საკმაო ნაჭრები.

სას.-სამეურნეო ტეხნიკუმების პროდუქციის ასაწევად საჭიროა მათი უზრუნველყოფა შენობებით და ინტერნატებით, კაბინეტებით, ლაბორატორიებით, მუზეუმებით, საჭიროა მოეწყოს მათთან ჯიშია-

ნი საქონლისა და ფრინველების საშენებლები, სას.-სამ. მანქანების შემკეთებელი სახელოსნოები, სამჭედლოები და სხვ.

საჭიროა გამოიცეს სპეციალური სახელმძღვანელოები.

რაც შეეხება და ბალ სასოფლო სამეურნეო განათლებას, ასეთი სკოლები ამჟამად ათია; ტერიტორიალურად ისინი მოთავსებულია კახეთის, ტფილისის, შორაპნის, ქუთაისის და სენაკის მაზრებში.

ვინაიდან სწრაფად მიმღინარეობს განვითარება საზოგადოდ სასოფლო მეურნეობისა და კერძოდ კოლმეურნეობათა მშენებლობისა, რაც, ეჭვს გარეშეა, მოითხოვს კვალიფიციური მუშა ძალის (მეხილეების, მებალეების, მებოსტნეების, ყველის დამამზადებლების, პლანტაციების ტატორ-ინსტრუქტორების და სხვ.) დიდ კადრს, ასეთი სკოლების ქსელი საჭიროა გაფართოვდეს.

უახლოესი ხუთი წლისათვის განზრახულია ასეთი სკოლების რიცხვის აყვანა ოცამდე, მაგრამ ასეთი ქსელიც ვერ გაართმევს თავს წინმდგომ ამოცანას.

მაგრამ, ცხადია, საქმე მარტო რაოდენობა არ არის. თუ სათანადო წინამდლერები არ იქნება, უშვობესია არცერთი ახალი სკოლა არ იქნეს გახსნილი.

უშვობესია ვიზრუნოთ საქმის დაყენების გაუმჯობესების შესახებ უკვე არსებულ სკოლებში, რომელთა უმრავლესობასაც არა აქვს არც სათანადო შენობა და არც მოწყობილობა.

უნდა მივიღოთ გადამწყვეტი ზომები, რომ ამ სკოლებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, მივცეთ ნორმალურ პირობებში მუშაობის შესაძლებლობა: უნდა მივცეთ მათ შენობები, მოწყობილობა, ცოცხალი და უსულო ინვენტარი, მოვაწყოთ საერთო საცხოვრებელი ბინები, საქმაოდ უზრუნველვყოთ მოსწავლეები ნიერობად; უამისოდ ულარიბესი ელემენტი მოკლებული იქნება შესაძლებლობას ისარგებლოს ამ სკოლებით. სხვანაირად კარგ მუშაკებს ჩვენ ვერ მივიღებთ. ხოლო ისინი, ვიმეორებთ, მეტად საჭირონი არიან.

ამ სკოლების ქსელის შენახვასა და გაფართოვებაში უახლოესი და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დაინტერესებულმა სამეურნეო ორგანოებმა, კავშირებმა, ტრესტებმა, კომპერაციამ, ადგილობრივმა აღმასკომებმა.

ყველამ უნდა გააცხოველოს მუშაობა—აბრეშუმის ტრესტმაჟტყის ტრესტმა, საქართველოს ჩაიმ, სოფლის კავშირმა, ცეკავშირმა, „ზაქსელსოიუზმა“, მიწა-ტყის კავშირმა და ყველამ...

საერთო ძალლონით უნდა შევქმნათ ის, რასაც მოითხოვს აღმშენებლობის ინტერესები, მშრომელი მასების ინტერესები.

## სოფლის ახალგაზრდობის სკოლების და აგრო- ტექნიკურების აგროცოგ-მასწავლებელთა კონფე- რენციის ანგარიში.

განათლების სახალხო კომისარიატმა, მოსავლიანობის გადიდების საქმეში სკოლების მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით, 16 მარტს მოიწვია სოფლის ახალგაზრდობის სკოლების და აგროტექნიკურების აგრონომ-მასწავლებელთა კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში შემდეგი საკითხები იყო დასმული:

1. მოსავლიანობის გადიდების კამპანია და განათლების მუშავი,
2. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და სკოლა,
3. სკოლების პროგრამების საბუნების მეტყველო მასალა, და მოსავლიანობის გადიდება,
4. საგაზაფხულო თესვის კამპანია და სკოლა,
5. მიწათმოქმედების ადგილობრივი ორგანოები და მათი კონტაქტი სკოლებთან მოსავლიანობის გადიდების საქმეში,
6. კომედიურის ადგილობრივი ორგანიზაციები და მათი კავშირი სკოლებთან მოსავლიანობის გადიდების საკითხში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამ. მარიამ ორახელაშვილმა. მომხსენებელი შეჩერდა პარტიის და ხელისუფლების პარტიული მეურნეობის რეკონსტრუქცია ამჟამად მთავარ ამოცანად ითვლება,—სთქვა მან,— ეს რეკონსტრუქცია მარტო საწარმოო ძალების განვითრებაში არ გამოიხატება, —არამედ საჭიროა სოფლის მთლიანად ახალ გზებზე გადაყვანა და პირველ რიგში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. განათლების მუშავმა და სკოლამ სკოლის მუშაობა უა პროგრამები ამ ამოცანებს უნდა შეუფარდოს და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას.“

შემდეგ მომხსენებელი შეეხო სოფლის მოსახლეობის დიფერენციაციას და აღნიშნა, რომ ეს დიფერენციაცია ჩვენში სულ სხვა-გვარი გზით ვითარდება, ვიდრე ბურუუჯიულ ქვეყნებში.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა კულაკურ მეურნეობებს ზრდის საშუალებებს უსპობს და ხელს უწყობს ღარიბი გლეხობის განვითარებას. მიუხედავად ამისა, კულაკური ელემენტები მაინც ახერხებენ ღარიბი გლეხობის ექსპლოატაციას და ხშირად ღარიბ გლეხობას თავის გავლენის ქვეშ აქცევენ.

კულაკი მიწის ნაკვეთის ხარჯზე ამჟამად არ იზრდება, რადგან მიწის ყიდვის საშუალება მას მოსპობილი აქვს, სამაგიროდ ის ახერხებს გაზარდოს საჭარმო საშუალებები და დაქირავებული შრომით ისარგებლოს. ამიტომ საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ პირობებს, რომლითაც კულაკი ახერხებს თავისი მეურნეობის ზრდას და ღარიბი გლეხობის ექსპლოატაციას, აღვრიცხოთ ეს პირობები და ვიბრძოლოთ მის წინააღმდეგ.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება სოფლად მანქანა-იარაღების რაციონალურად გამოყენებაზე. სკოლამ თვალყური უნდა ადევნოს ამ ინვენტარის 100%, დატვირთვას და მის გამოყენებას კოლექტიურ და ულარიბეს გლეხთა მეურნეობებში.

მოსავლიანობის გასაღიდებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას.

სადღეისოდ მთავარი ყურადღება პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას უნდა მივაქციოთ. სკოლებმა მთელი წლის აგრონომიული მუშაობის გეგმა უნდა გამოიმუშავონ და ხელი შეუწყონ ულარიბესი გლეხობისათვის ხელმისაწვდომ ყველა მარტივი და აგრიკულტურული ღონისძიებების მოსახლეობაში გადატანას და გავრცელებას. უპირველეს ყოვლისა სკოლის მიწის ნაკვეთი შთლიანად და სანიმუშოდ უნდა დამუშავდეს.

აგროტექნიკუმების და სოფლის ახალგაზრდათა სკოლების მიწის ნაკვეთმა მაქსიმალური ეფექტი უნდა მოგვცეს.

სკოლამ თვალყური უნდა ადევნოს აგრეთვე მოწაფეთა მშობლების მეურნეობებს. მიწის ნაკვეთი, რომელიც მოწაფებს გამოყოფილი აქვთ ოჯახში, გლეხობისათვის სანიმუშო უნდა გახდეს.

საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით სკოლამ უნდა იზრუნოს სათესლე მოსალის შერჩევაზე. ყოველმა სკოლამ, მომავლისთვის მაინც, თავისი მიწის ნაკვეთდან უნდა მიიღოს გარგისი თესლი მოსახლეობაში გასავრცელებლად. შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე.

სოფლად ხშირია ცრუკოლექტივების არსებობის შემთხვევები. სკოლამ ბრძოლა უადა გამოუცხადოს კოლმშენებლობის დამახინჯებას, იზრუნოს ნამდვილი კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად და არსებული კოლექტივების გასამტკიცებლად. სკოლის კოლექტივი, როგორც რჩევა-დარიგებით, აგრეთვე ფიზიკურად უნდა დაეხმაროს კოლმეურნეობებს. ყოველმხრით უნდა გეცადოთ, რომ კოლმეურნეობებში საგრძნობლად ავსწიოთ მოსავლიანობა და ამით დავაინტერესოთ და-



ଏହିଦ୍ୱାରା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

რიბი და საშუალო გლეხობა კოლმეურნეობებში გასაერთიანებლად. მოსავლიანობის გადიდება, რა თქმა უნდა, მარტო ხორბლეული პრო-დუქციის ზრდას არ გულისხმობს — ჯეროვანი ყურადღება უნდა მი-ვაკვით სხვა სასოფლო-სამეურნეო დარგების განვითარებასაც, გან-საკუთრებით საექსპორტო საქონლის ზრდას.

შემდეგ მომხსენებული ჩერდება სასოფლო-სამეურნეო გადასა-ზადის ახალ კანონზე და მაუთითებს კონფერენციას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანონში შეტანილ ცვლილებებს მოსავლიანობის გადიდებისათვის. სკოლის კოლექტივმა ხელი უნდა შეუწყოს მოსახლე-ობაში ამ კანონის პოპულარიზაციას და თვალყური ადევნოს გადასა-ზადების სწორად განაწილებას.

სასკოლო მუშაობის დაკავშირებას სოფლის მეურნეობასთან დი-დი მნიშვნელობა აქვს. შრომის სკოლისათვის საწარმოო ბაზის გამო-ნახვა აუცილებელია. სოფლად ეს ბაზა უკვე გამონახულია. თუ სას-კოლო მუშაობას სოფლად მოსავლიანობის გადიდების საქმეს და სა-ერთოდ სასოფლო მეურნეობის საკითხებს დავუკავშირებთ, სკოლის საერთო მუშაობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. ამით, გარდა იმ ამოცანებისა, რომლებიც წამოყენებულია პარტიის და ხელისუფლების შეირ, სკოლის მუშაობის ღირებულებას თანდათანობით გავზრდით და სკოლას მოსახლეობასთან დავაახლოვებთ.

დასასრულს მომხსენებელმა მოუწოდა კონფერენციას ადგილებზე დაბრუნების შემდეგ გააცნონ დანარჩენ მასწავლებლებს კონფერენ-ციის დადგენილებანი.

მეორე საკითხის შესახებ (სოფლის მეურნეობის კოლექტივიზა-ცია და სკოლა მოხსენება გააკეთა ამ). შ. სიხარულიძემ).

მომხსენებელმა პირველად გაარკვია შეხედულებები სასოფლო-მეურნეობის განვითარებაზე.

ის შეეხო პარტიის პოლიტიკას ამ საკითხში.

მომხსენებელმა აღნიშნა ბურუუზიული ეკონომისტების მოსაზ-რებანი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე — თითქმ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ხელს უშლიდეს მოსავლიანობის ზრდას, და ციფრობრივი მასალით დაამტკიცა, რომ პირიქით, წერილი დაქსა-ქსული გლეხური მეურნეობა აფერხებს საწარმოო ძალების განვი-თარებას და სასოფლო მეურნეობის ზრდას.

სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის გარეშე წარმოუდგენელია.

ამ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელი უხევბა სოფლის მოსახლეობის დიფერენციალის და კონფერენციას კიდევ აგონებს ლენინის ცნობილ ფორმულას სოფლის სხვადასხვა სოციალური ფენებისადმი დამოკიდებულების შესახებ. მომხსენებელი ფართე ეხება სოფლის მოსახლეობის დიფერენციალის პროცესს და ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობის შრომის ნაყოფიერებას, შემდეგ გადადის ხორბლეული კულტურების პროდუქციის შემცირებაზე, აღნიშნავს ამ შემცირების მიზეზებს და მომავალ ამოცანებს მოსავლიანობის გადიდების საქმეში. მოსავლიანობის გადიდებისათვის საჭიროა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გადაყვანა. ეს ამოცანა გვიკარნახებს განსაკუთრებული ყურადღება მივაჭვიოთ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას და მათ განმტკიცებას. ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა ნაკლებად რენტაბელურია. ციფრები გვიჩვენებს, რომ განზოგადოებულ მეურნეობებში შრომის და კაპიტალის პროდუქცია თანდათანობით იზრდება. სკოლამ და ფპირველებსად სკოლის აგრონომმა ხელი უნდა შეუწყოს პარტიის და ხელისუფლების ამ ამოცანების გადაწყვეტას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კონტრაქტაციის საკითხს და განმარტავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას სასოფლო მეურნეობის გეგმიანად განვითარებისათვის, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის კავშირის საქმეში და კერძოდ მოსავლიანობის ზრდის საკითხში. მომხსენებელს მრავალი შეკითხვა მისცეს.

საპასუხო სიტყვაში ამს. შ. ხიხარულიძე განსაკუთრებით შეჩერდა სოფლად სოციალისტური სექტორის პროდუქციის ზრდაზე და იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომლებიც სკოლებმა უნდა გაატარონ კოლმეურნეობათა გასამტკიცებლად.

მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა ბევრმა მიიღო.

ამს. ხ. ქარუბიძე (ბაქურციხის სამ. ტექნიკუმი) აღნიშნა, რომ თუ თესვის კამპანიას ჯეროვან ყურადღებას მივაჭვევთ, საჭირო იქნება სკოლებში დროებით ყოველგვარი თეორიული მუშაობის შეწყვეტა.

ამს. ბერძენიშვილი (კულაშის აგროტექნიკუმი) შეჩერდა ზოგიერთ სიძნელეებზე, რომლებსაც იწვევს პრაქტიკული მუშაობა.

ამს. დ. გურგენიძე მოკლედ ჩერდება წამოჭრილ პრაქტიკულ საკითხებზე. მისი აზრით, ძნელია განსაზღვრა, რამდენი დრო უნდა მოანდომოს სკოლამ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობას. პრაქტიკულ მუშაობაში მარტო აგრონომი კი არ უნდა იღებდეს.

ახალ სკოლისაკენ.

მონაწილეობას, არამედ მთელი სკოლა, რომ ეს მუშაობა გამოყენებული იყოს საპროგრამო მასალის დამუშავების სახეებად.

მესამე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამს. 6. კეცხოველი.

მომხსენებელი პირი ეცნობა მოსავლიანობის გადიდების პრობლემას და ამბობს, რომ მთელი სასკოლო მუშაობა მოსავლიანობის გადიდების საქმეს უნდა შევიტარდოთ. ამ შემთხვევაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ბუნებისმეტყველებას, ყოველგვარი საბუნებისა-მეტყველო ცდა უნდა გამოვიყენოთ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის, შემდეგ მომხსენებელი თანამიმდევრობით არკვევს, თუ რომელი საბუნებისმეტყველო მასალა როგორ უნდა დამუშავდეს, რომ ხელი შევუწყოთ საერთოდ მოსავლიანობის გადიდებას და კერძოდ საგაზაფხულო თესვის კამპანიას. მომხსენებელი ვრცლად ეცნობა აგრეთვე იმ აგრიკულტურულ ლონისძიებებს, რომელიც უნდა შეიტანოს ამა თუ იმ სკოლამ თავის სამოქმედო რაიონში (დეტალურად ეს საკითხი გაშუქებულია წიგნში „მოსავლიანობის გადიდება და სკოლა“).

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დოკუმენტით დ. გედევანიშვილმა, გ. შატბერაშვილმა (ტიბაანის სოფა. სკოლა), ნებააძემ (ჭყალუაშის სოფ. ა. სკოლა) და გოგიჩაიშვილმა (ტფილისის სასოფ.-სამეურნეო სკოლა).

მოკლათენი უმთავრესად ეხებოდენ საცდელი სადგურების მუშაობას და ახალი კულტურების საკითხს.

საბოლოო სიტყვაში ამს. 6. კეცხოველმა აღნიშნა, რომ სკოლა ახალი კულტურების შემოტანას ფრთხილად უნდა მოეკიდოს და ფართო ექსპერიმენტზე ხელი აიღოს. ყოველგვარი კულტურა უპირველესად აღგილობრივ პირობებში უნდა გამოვცადოთ და შემდეგ გავავრცელოთ. სკოლა უმეტეს შემთხვევაში აღგილობრივ ჯიშებზე უნდა დაემყაროს. პიპოთეტიურ მოსაზრებებს არ უნდა გავყეთ და ამჟამად გამოკლილი აგრიკულტურული ლონისძიებებით უნდა ვისარგებლოთ.

მეოთხე საკითხზე (საგაზაფხულო თესვის კამპანია და სკოლა) მოხსენება გააკეთა ამს. გურგენიძეშ.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ თუმცა კონფერენცია დაგვიანებით არის მოწვევული, აღგილებზე ინტენსიური მუშაობით სკოლებს მიმდინარე თესვის კამპანიასთან დაკავშირებით კიდევ ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ, მით უმეტეს, რომ მოსავლიანობის გადიდების საკითხს ჩვენ მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიით არ ვწყვეტ, არამედ სკოლების მუშაობას უფარდებთ 5 წლიან გეგმას მოსავლიანობის გადიდების საქმეში. პარტიის და ხელისუფლების მიერ წამო-

ყენებული საკითხები გვიკარნახებს რამდენიმე კორექტივი შევიტანოთ სასკოლო მუშაობაში. მომხსენებლის აზრით, მუშაობის მეთოდი და ფორმები, რომლებიც მიღებულია სოფ. ახალ. სკოლებში, უნდა გამოიყენონ აგროტექნიკუმებმაც და საზოგადოებრივ მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ.

რამოდენიმედ სოფ. ახალ. სკოლებსაც ეტყობათ მუშაობის შენელება. ზოგადი განმარტების შემდეგ მომხსენებელი გადადის მოხსენების ძირითად საკითხზე.

პირველად აღნიშნავს, რომ სასოფლო მეურნეობა უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე მრეწველობა და არკვევს ამის მიზეზებს, პარტიის და ხელისუფლების დირექტივების თანახმად, 5 წლის განმავლობაში მოსავლიანობა უნდა გავაღიდოთ  $30\text{--}35\%$ , მხოლოდ მიმღინარე წელს საჭიროა ნათესი არის  $7\%$  გადიდება და მოსავლიანობის  $3\%$  გაზრდა.

— ჩვენი სკოლების მუშაობა უმთავრესად 3 ხაზით უნდა მიღიოდეს, — ამბობს მომხსენებელი: სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. სოფლის ახალგაზრ. სკოლებს სკოლის მამულის ნორმა შეფარდებული აქვთ ბავშების ძალ-ლონესთან, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ფორმები კი თეორიული საკითხების დამუშავებას უკავშირდება. ასევე არ შეიძლება ითქვას აგროტექნიკუმებზე. მათ მიწის დიდ ნაკვეთს მოჰკიდეს ხელი, რომელიც ხშირად დაქირავებული შრომით მუშავდება. ამ ნაკვეთზე საბუნების მეტყველო ცდების დაყემებას ნაკლები ყურადღება ექცევა. მომხსენებლის აზრით, არაა სწორი, რომ I და II კურსზე აგრონო-მიულ პრაქტიკას მეცნიერულ მუშაობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. შემდეგ მომხსენებელი ეხება. სკოლის კავშირს მიწათმოქმედების ორგანოებთან. მიწათმოქმედების კომისარიატს ჯერჯერობით ჩვენი სკოლები არ გამოუყენებია. სკოლები ადგილზე ამ ორგანოების დასაყრდენ პუნქტად უნდა გადაიქცეს. მომხსენებელი არკვევს სკოლის კავშირს ოჯახთან და აღნიშნავს, რომ ბევრ სკოლას მოწაფეების ოჯახებში მიწის ნაკვეთი კიდევ არ აქვს გამოყოფილი, ხშირად ეს ნაკვეთი ცუდადა დაყენებული. ყველა სკოლამ უპირველეს ყოვლისა. ბავშისოჯახში უნდა გაატაროს საჭირო აგრიკულტურული ღონისძიებანი და მოწაფეების მშობლები სკოლას დაუახლოეონს.

შემდეგ მომხსენებელი გადადის სკოლის საზოგადოებრივ მუშაობაზე. საზოგადოებრივი მუშაობის დროს მთავარი ხაზი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე უნდა ავიღოთ. სოფ. ახ. სკოლების პროგრამების დამუშავების დროს კურსი ინდივიდუალურ გლეხურ შეურნეობაზე გვქონდა აღებული, მაგრამ კოლექტიური მეურნეობის საკითხები მაინც არ ყოფილა უყურადღებოდ დატოვებული. პარტიის

და ხელისუფლების საღლეისო ამოცანები სოფლად გვიკარნახებს, არამც თუ გავაღრმავოთ სკოლების კოლმუშაობა, არამედ მთელი სასკოლო მუშაობა კოლმუშენებლობის საკითხებს შევუფარდოთ, ყოველ-მხრით ვიზრუნოთ არსებული კოლექტივების განსამტკიცებლად და მოვაძარადოთ პირობები ღარიბი და საშუალო გლეხობის კოლექტი-ვებში გასაერთოანებლად.

სოფ. ა. სკოლებმა განსაკუთებული ყურადღება უნდა მიაქციონ კურსდამთავრებულებს შორის მუშაობას. ხშირად ეს კურსდამთავრებულები სოფლად არ იცდიან, უმთავრესად იმიტომ, რომ სკოლა მათ ვერ აძლევს საქმაო პრაქტიკულ აგრონომიულ ცოდნას და კოლმეურნეობებში მუშაობის ჩვევებს.

აღსანიშნავია, რომ სადაც კოლმუშენებლობა და კოოპერაციის მუშაობა მტკიცე საფუძველზეა დაყრდნობილი, იქ კურსდამთავრებულებმა შესძლეს თავისი ცოდნის გამოყენება და კიდევ ჩატოვალობრივ საქმიანობაში. ეს გარემოებაც გვავლებს აქედანვე ჩავაბათ მოწაფეები კოლმეურნეობაში და კოოპერაციაში, მივსცეთ მათ საამისო პრაქტიკული და თეორიული ცოდნა და ყოველ მხრით ხელი შეუწყოთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას.

საერთოდ ღონისძიებებიდან საჭიროა:

- 1 სკოლების უზრუნველყოფა მიწის ნაკვეთით.
- 2 სკოლებში უღარიბესი გლეხობის და მოჯამაგირეობის ჩაბმა.
- 3 უკანასკნელთათვის ინტერნატის მოწყობა.
- 4 პროგრამებში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და კოოპერაციის საკითხების ვალრმავება და კოლმეურნეობებში მოწაფეების ჩაბმა.

სკოლის აგრონომები კარგად უნდა გაეცნონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხებს, დაუახლოეონ სკოლა რაიონში არსებულ კოლმეურნეობებს და გაიზარდონ ის თავის მუშაობის ობიექტად. აგროტექნიკუმის და სოფ. ა. სკოლის მოწაფეებს კოლმეურნეობებში მუშაობა აუცილებელ სტაჟად უნდა გაუუხადოთ.

მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია აგრეთვე კარგად დაყენებულ კოლმეურნეობებში აგრონომების მივლინება. სოფლის ა. სკოლებმა და აგროტექნიკუმებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ 4-წლედიან და ხელი შეუწყონ 4-წლედის მასწავლებელთა აგრონომიულ გადამზადებას.

მართალია, სკოლები მატერიალურად არ არის უზრუნველყოფილი, რაც საგრძნობლად აფერხებს სკოლების მუშაობას, მაგრამ მთელ

დღოს პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ამ საკითხის მოგვარებას. თავის მხრით განათლების კომისარიატიც შეეცდება უზრუნველყოს სკოლები სასწავლო ხელსაწყობით და ინვენტარით.

განსაკუთრებით საჭიროა მიწათმოქმედების ორგანოებმა და სასოფლო-სამეურნეო ბანკებმა ისეთივე დახმარება გაუწიონ სოფ. ახ. სკოლებს და აგროტექნიკუმებს, როგორსაც კოლმეურნეობებს უწევენ.

შემდეგ მომხსენებელი აყენებს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გაატაროს სკოლამ. საგაზაფხულო თესვის კამპანიას. თან დაკავშირებით (ღონისძიებები წარმოდგენილი იყო წერილობით და საფუძვლად დაედო კონფერენციის რეზოლუციას).

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს დოც. გედევანიშვილმა, რაშიშვილმა, კობალაძემ, შარაშიძემ, ლოლუამ, აკრტასში, ბაციკაძემ, ცერცვაძემ, ბერულავამ, შ. სიხარულიძემ და პროფ. განათლებიდან--ვ. კანდელაკმა. მოქამათენი უმთავრესად იწონებდენ ყველა წამოყენებულ პრაქტიკულ ღონისძიებებს, მხოლოდ აღნიშნავდნ სახსრების სიმცირეს, სათანადო მანქანა-იარაღების უქონლობას და ტექნიკური ხასიათის სხვა დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის. სკოლებს გაატარონ საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებით მომხსენებლის მიერ აღნიშნული პრაქტიკული ღონისძიებანი.

საბოლოო სიტყვაში ამხ. დ. გურგენიძემ შემდეგი აღნიშნა:

სკოლების მონაწილეობას საგაზაფხულო თესვის კამპანიაში და საერთოდ მოსავლიანობის გაღიდების საქმეში სამგები სამგები მნიშვნელობა აქვს: საგანმანათლებლო და სახელმწიფოებრივ-აღმშენებლობითი. ამ მუშაობით სკოლა ხელს უწყობს პარტიის და ხელისუფლების მიერ წამოყენებული ამოკანების შესრულებას და აჯანსაღებს თვით სასოფლო მუშაობასაც.

შემდეგ საკითხზე მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების კომისარიატის წარმომადგენელმა დიმ. გედევანიშვილმა.

მომხსენებელი ჩერდება ზოგიერთ პრაქტიკულ ღონისძიებაზე, რაც უნდა გაატარონ სკოლებმა მიმდინარე თესვის კამპანიასთან დაკავშირებით. სასოფლო-სამეურნეო სკოლების რიცხვი საქართველოში თანდათანობით იზრდება. იმ სკოლებში ამეამად 300 აგრონომი მუშაობს. აგრონომი და სამეურნეო სკოლა სოფელში თანდათანობით ფეხს იკიდებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის. სკოლა უმთავრესად თავის

რაიონს უნდა ემსახურებოდეს. მაზრებში და სოფლად უკვე ჩამოყალიბებულია. თესვის კამპანიის ჩამტარებელი კომისიები. სკოლა და სკოლის აგრონომი უნდა დაუახლოვდენ ამ კომისიას, მისცენ მას შესაფერი აგრონომიული რჩევა-დარჩივება, შეარჩევინონ საღი თესლი და რაციონალურად გაანაწილებინონ მოსახლეობაში სათესლე მასალა.

შემდეგ მომხსენებელმა მიუთითა კონფერენციას იმ მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებებზე, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ მოსავლიანობის გასაღილებლად.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ნ. კეცხოველმა და ბერულავამ, რომლებიც აღნიშნავდენ მიწათმოქმედების ორგანოების მუშაობის ზოგიერთ დეფექტებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ ამ ორგანოებსა და სკოლებს შორის კონტაქტის მოუგვარებლობას.

უკანასკნელ საკითხზე მოხსენება გააკეთა კომკავშირის ცეკას წარმომადგენელმა ამხ. შ. შიქელოვმა.

მომხსენებელმა პირველად განმარტა მოსავლიანობის გაღიღების საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობა და შეეხმ მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის კავშირი. კომკავშირი მოსავლიანობის გასაღიღებლად აცხადებს ცველა წევრის მობილიზაციას და პირველ რიგში აწყობს ლაშქრობას.

ხშირად კომკავშირები ვერ ახერხებენ პრაქტიკული ნაბიჯების გადაღვას, რადგან მათ საქმაო აგრონომიული ცოდნა არ აქვთ, ამიტომ კომკავშირი აყენებს აგრონომებთან კავშირის საკითხს. აგრონომმა პრაქტიკულად უნდა აჩვენოს კომკავშირელს. გაუმჯობესებული წესებით მეურნეობის წარმოება.

მიმღინარე თვის კამპანიასთან დაკავშირებით კომკავშირელები შემდეგ ამოცანებს ვუსაბავთ:

ა) კომკავშირის ღია კრებებზე დასვან საკითხი მოსავლიანობის გაღიღების შესახებ. მომხსენებლად გამოიყენონ აგრონომი და გამოიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად, უმაღლეს ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე.

ბ) მეურნე-კომკავშირელებმა სანიმუშოდ უნდა დააყენონ თავის მეურნეობა და მიმღინარე წელს  $15\%$  მაინც უნდა გააღიღონ მოსავლიანობა.

გ) ურადლება უნდა მიაქციონ სათესლე მასალის შერჩევას და განაწილებას.

დ) სასოფლო-სამეურნეო სკოლების და აგრონომების დახმარებით მომუშავე უჯრედებმა უნდა აიღონ შეფობა მახლობელ სოფლებზე.

ე) კომკავშირის ინიციატივით მოწვეულ უნდა იქნას უპარტიო ახალგაზრდობის კრებები, სადაც მოსავლიანობის გადიდების საკითხზე მოხსენებით გამოვლენ აგრონომები და კომკავშირის წარმომადგენლები.

ვ) კომკავშირის ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ დიასახლისებს შორის მუშაობას. მოიწვიონ მათი კრებები და საკითხიდ დასვან მოსავლიანობის გადიდება.

ყველა ამ საკითხის განხორციელებაში კომკავშირის აღგილობრივ ორგანიზაციებს უნდი დაეხმარონ სკოლა და აგრონომი.

არა ნაკლები ყურადღება უნდა მივაჭრიოთ მოსახლეობაში კულტურულ მუშაობას კედლის გაზითებს, მოძრავ კინოებს, წარმოდგენებს, გასამართლებებს და აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ექს-ტურსიებს კარგად დაყენებულ მეურნეობებში.

კომკავშირის განზრაბული აქვს აგრეთვე ქალაქიდან სოფლად მოაწყოს მუშების შრომითი ლაშქრობა მანქანა-იარალების შესაკეთებლად; აგრონომის რჩევა-დარიგებებს აქაც დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში დაინტერესებული კომკავშირის ორგანიზაცია აწყობს შეჯიბრს. სხვადასხვა ორგანიზაციები იწვევენ ერთმანეთს. კომკავშირის ორგანიზაციამ სხვადასხვა დაწესებულებებთან შეთანხმებით გამოიმუშავა ჯილდოები იმ პირთა და დაწესებულებებისათვის, რომლებიც ყველაზე უკეთ ჩატარებენ და საგაზაფხულო თესვის კამპანიას ხელს შეუწყობენ. მოსავლიანობის გადიდების ჯილდოები დარიგდება მუშაობის შემოწმების შემდეგ.

დასასრულს მომხსენებელმა მოუწოდა კონფერენციას გაამართონ პარტიის და ხელისუფლების იმედები.

შეკითხვებზე მომხსენებელმა ჯეროვანი პასუხი გასცა.

უკანასკნელი მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, სადაც გათვალისწინებულია ყველა ის პრაქტიკული ღონისძიება, რაც უნდა გაატაროს სკოლამ მოსავლიანობის გადიდების საკითხთან დაკავშირებით.

კონფერენციის დასასრულს განათლების სახალხო კომისარიატმა დაავალა დელეგატებს აღგილებზე დაბრუნების შემდეგ მოიწვიონ I და II საფეხურის, სოფ. სკოლების და ტექნიკუმების მასწავლებელთა რაიონული თათბირები კონფერენციაზე მიღებულ დადგენილებათა გასატარებლად, დაურიგა მათ შესაფერი მანდატები და რაიონებში მიმოსვლის ხარჯების დასაფარავად თითოეულს 50 მანეთი მისცა.

## საბჭოთა არჩევნებში სკოლების მონაწილეობის გედეგები.

საბჭოთა გადარჩევების სამზადისი კამპანიის დაწყებამდე განათლების სახ. კომისარიატის მიერ დაგზავნილი იყო აღვილებზე მეთოდური ხასიათის მითითებანი, თუ როგორ უნდა გამოყენებიათ სკოლებს საბჭოთა არჩევნების კამპანია საზოგადოებრივ-სასარგებლობრივის. ჩატარების მიზნით. წერილი ისახავდა ორ მთავარ მიზანს: ბავშების ორგანიზაციულად ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში და აქედან სათანადო დახმარების გაწევა ხელისუფლებისა და პარტორნანიზაციებისათვის მიმღინარე მუშაობაში.

შეასრულეს თუ არა სკოლებმა დაკისრებული მოვალეობა? თუ შეასრულეს, როგორ, რა წესით, რა შედეგები მიიღეს, რა დაბრკოლებები გადაელობათ გზადაგზა და, ბოლოს, ჩვენმა სკოლებმა შეამჩნიეს თუ არა კულაკების, ნებანების, რელიგიური კულტის მსახურთა და სხვათა ფარული თუ აშეარა ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ და როგორ გამოიყენეს ეს მდგომარეობა მიმღინარე მუშაობაში?

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ სკოლების მუშაობაზე მთლიანად სამიერ პერიოდში, უმჯობესია დავიწყოთ ცალკე პერიოდების მიხედვით.

არჩევნებრს სამზადისი. სკოლები, ეცნობიან რა სათანადო მასალებს (საარჩევნო ინსტურქცია, ცირკულარული წერილები და სხვ), აღვილობრივ საარჩევნო კომისიასთან იქერენ კავშირს, შედიან წინადადებებით, რომ მათაც უნდათ ამ მუშაობაში ჩაბმა და სთხოვენ სათანადოდ გამოიყენონ. ადგენენ სამუშაო გეგმას, უთანხმებენ საარჩევნო კომისიას და ამრიგად ებმებიან მუშაობაში პარტიისა და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, რაიც გამოიხატება უკვე გარჩეული საარჩევნო ინსტრუქციის დამატებით განხილვა-შესწავლაში.

გეგმით გათვალისწინებულია: მოხსენების ჩატარება როგორც ცალკე ჯგუფებში, ისე მოსწავლეთა გაერი.იანებულ კრებებზე, მშობლების თანადასწრებით, დაახლოვებით შემდეგ თემებზე: „საბჭოთა არჩევნები და მოწაფეთა როლი ამ არჩევნებში“, „პარტიის პოლიტიკა და საბჭოთა არჩევნები“, „სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და საბჭოები“, „კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხები და საბჭოები“, „არჩევნები ბურუუაზიულ ქვეყნებში“ და სხვ., პრესის თვალყურის დევნება და იქ დასმული საკითხების ფართედ გამოყენება, განსაკუთრებით სხვადასხვა მაზრების გამოცდილებათა გაშუქება და მხედველობაში მიღება.

უფროსი ჯგუფების მოსწავლენი იყოფიან ათეულებად (გორ-ჯომი), ოცეულებად (გორი), ხუთეულებად (ხაშური) და სხვ. მონაწილეობას იღებდენ საარჩევნო კომისიების მარ საინსტრუქციო მოხსენებებში, რის შემდეგაც ემარებიან მოსახლეობას სიების შედგენაში და ამ სიების გადამუშავებაში. ზოგან ასრულებენ მხოლოდ ტექნიკურ სამუშაოს, ზოგან კი მოსწავლეობა უშუალოდ იღებს მონაწილეობას თვით სიების დაპუშავებაშიაც, უმთავრესად სასწავლებლების ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრები ადგილობრივ ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მასწავლებლობა, გამოდის რა ხელმძღვანელის როლში, თვითონაც კისრულობს განსაზღვრულ სამუშაოს სკოლის სამუშაოს დამოუკიდებლად. ბევრი მათგანი შეყვანილია როგორც სამაზრო (გორი), ისე სათემო (სურამი) საარჩევნო კომისიებში.. ზოგიერთ მაზრაში (ზუგდიდი) სიების, უწყებების შედგენა მთელი 100%-ით იკასრა მასწავლებლობამ.

მოსახლეობის სიების შედგენა-დამუშავებაში ზოგაერთ მაზრებში მოშაფეების გამოყენებას პესიმისტურად უყურებდენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი, იმ მოტივით, რომ აღნიშნული საქმე მეტად სერიოზულია და მოწაფეებისათვის მისი დავალება შეიძლება. უხერხეული იყოსო და უმთავრესად ამ სამუშაოსათვის იყენებდენ მასწავლებლებს და სხვა კულტურულ ძალებს. სინამდვილეში კი, სადაც მოსწავლეობა ფართედ ჩაება ამ მუშაობაში, ზოგიერთი ნაკლის გამოსწორება მაინც შესძლეს. მოვიყვან ორიოდე მაგალითს:

გორის პედტეხნიკურის მოსწავლეები, ადგენენ რა საარჩევნო უფლების მქონეთა და უფლებამოქალებულთა სიებს, მუშაობის ღროს ხედებიან ვაჭრების გვარებს, რომელნიც რაღაც მანქანებით არ შეუტანიათ შავ სიაში. ამის შესახებ აკადემიურ საარჩევნო კომისიაში და დაშვებული შეცდომაც გამოსწორებულია.

ხაშურში მასწავლებელს ევალება უწყებების შევსება; უკვე გამზადებული სიიდან მასწავლებელი, თავისი უშუალო ხელმძღვანელობით აკეთებინებს უწყებებს უფროსი ჯკუფის მოწაფეთ, რომელნიც იმის გარდა, რომ სუფთად და კარგად ივსებენ, ერთგვარი კრიტიკული თვალითაც უყურებენ ამა თუ იმ მოქალაქის სათანადო სიაში შეტანას და არკვევენ კიდეც, საარჩევნო ინსტრუქციის მიხედვით, შეიძლება თუ არა ეს.

თელავში სკოლების ინიციატივით ეწყობა კულტის, ვაჭრის, რელიგიური კულტის მსახურის. და აგრეთვე პასური საბჭოს წევ-

რის გასამართლება, რასაც მეტი გარკვეულობა შეაქვს დაწყებულ მუშაობაში.

არჩევნების საანგარიშო კამპანია. იწყება საბჭოთა არჩევნების კამპანიის მეორე პერიოდი და ამასთან დაკავშირებით მუშაობაც თან-დათან ძლიერდება სკოლებში. საჭირო ხდება მეტი ორგანიზაციული მუშაობის წარმოება. მოწაფეთა თვითორგანიზაციის კრებებზე, ზოგან პედსაბჭოს და ზოგან კი პედსაბჭოს და თვითორგანიზაციის გაერთიანებულ კრებებზე იყოფა ცალკე წრეები, ჯგუფები, კომისიები, რომელთაც ევალებათ:

1. კედლის გაზეთის სპეციალური ნომრის გამოშვება, მასში საბჭოთა არჩევნების ფართედ გაშუქება, ჩატარებული მუშაობის ნაკლისა და მიღწევათა აღნიშვნა და მომავალი მუშაობის პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვა;

2. სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე მიღწევათა დიაგრამების დამუშავება და თვალსაჩინო აღვილას გამოკვრა;

3. მოხსენებების ჩატარება როგორც დაბალ, ისე ზედა ჯგუფებში. მშობლების თანადასწრებით და სათანადო ავიტაკიის გაწევით მოსახლეობას შორის, რომ საანგარიშო კრებებს დაესწრონ, მხურვალე მონაწილეობა მიიღონ კამათში და განწერის დამუშავებაში;



ბორჯომის მუშათა უბნის 7-წლედის მფრინავი რაზმი.

4. მოსახლეობის შესატყობინებლად, ანგარიშჩაბარებისა და თვით არჩევნების დღეებში დასასწრებლად და მონაწილეობის მისაღებად ოცეულების, ათეულების, ხუთეულების გამოყოფა;

5. დრამწრებებს და მომლერალთა გუნდებს ევალებათ მოამზადონ სათანადო პიესები, სიმღერები ანგარიშჩატარებისა და არჩევნების კრებების დაწყება: დამთავრებისას დასადგმელად და სამღერად—გორი, კეთიჯვრის 4-წლედი, ბორჯომი და სხვ.);

6. სკოლები, სათანადო უბნების მიხედვით, ავსებენ უწყებებს, არიგებენ ამომრჩევლებზე (ყველა მაზრაში). დამრიგებლებს ევალებათ წაჟუკითხონ, თუ კი ამომრჩეველი წერაკითხვის უკოდინარია (ბორჩალო).

7. მხურებალე მოანწილეობას ილებენ თვით საანგარიშო მოხსენებებზე კამათის, შეკითხვისა და განწერის გამომუშავებაში არა მარტო სკოლის საკითხების გარშემო—სოფლის ყოველგვარ მხარეს აქცევენ ყურადღებას (კონკრეტურა, სასოფლო მეურნეობა, აღმშენებლობა და სხვ.).

არჩევნების პერიოდი. მუშაობა უფრო ცხოველდება და სკოლები უფრო ფართედ ებმებიან არჩევნების კამპანიის შუშაობაში. თებერვლის პირელ რიცხვებში, ე. ი. როცა იწყება ფაქტურად არჩევნები, იწყება მასწავლებელთა, პარტიის, კომუნისტიკის, ქალთა ორგანიზაციის, საარჩევნო კომისიის და მოწაფეთა თვითორგანიზაციის წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირები თემის, ქალაქის, რაიონის მაშტაბით. დღის წესრიგში ისმება გავლილი ორი პერიოდის მუშაობის შეჯამება და თვით არჩევნებში ფართე მონაწილეობის მისაღებად პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავება ამომრჩეველთა ფართე მასის საარჩევნო პუნქტზე გამოსაცხადებლად.

განსაკუთრებით ექცევა ყურადღება დედობის განთავისუფლებას მცირეწლოვანი ბავშებისაგან. პრაქტიკულ ღონისძიებებში მთავარი აღგილი უკავია მცირეწლოვანი ბავშების მოვლა-გართობას ოჯახში და სკოლაში, მფრინავი რაზმების შედგენას ამომრჩეველთა უბნებში დასავლელად და შესატყობინებლად; დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების მიზნით ხელმძღვანელ კომისიის გამოყოფას პლაკატების, ლოზუნგების დასამზადებლად, კუთხეების მოწყობას მიღწევათა შესახებ, კედლის გაზეთში საკითხების ფართედ გაშუქებას და სხვ.

საინტერესოა, თუ ორგანიზაციულად როგორ ჩაატარეს სკოლებმა, ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, არჩევნების პერიოდი.

აუცილებლად მიმართია შეჩერება იმ ნაკლხე თუ მიღწევაზე, რაიც ამ მუშაობაში გამომულავნდა, ორმ მომავალში საშუალება ექნესთ ჩენენს სკოლებს უფრო ორგანიზაციულად დარაზმულნი გამოვიდნენ ამა თუ იმ კამპანიის ჩატარებაში.



ბორჯომის 7-წლედის მოწაფეები ართობენ ბავშვებს ოკაზში.

მიმდინარე კამპანიაში მონაწილეობის აუცილებლობა და მასში ფრიად დიდი საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის სახე ბევრმა სწორად ვერ გაივთ. ბევრი თუ თავიდანვე დიდი ენერგიით მოექიდა და აამძრავა მთელი სკოლა და მოსახლეობა, ზოგი დაქმაყოფილდა მხოლოდ ერთგვარი მოვალეობის მოხდით, საარჩევნო კომისიების მითითებათა შესრულებით (სიების, უწყების, შევსება, დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება და სხვ), საჭირო კი იყო უსათიოდ თავიდანვე სკოლის მოწაფეთა თვითორგანიზაციის საშუალებით მთელი მოწაფეობა ორგანიზაციულად ჩაბმულიყო ამ მუშაობაში მათი ინიციატივისათვის ფართე გახაქანის მიცემით.

აქედან სწორად არ მივვაჩნია ზოგიერთ სკოლაში (გორის მე-III სკოლა) საბჭოთა არჩევნების ჩამტარებელი დამხმარე კომისიების გაუმყოფა მხოლოდ მასწავლებელთაგან, ან და მხოლოდ პეტსაბჭოზე, მოწაფეთა თვითორგანიზაციის გარეშე, არჩევა და მიმაგრება ცალკე კომისიების მუშაობაზე ხელმძღვანელი პირებით და ისიც მხოლოდ მასწავლებლები (ბორჯომის 7-წლედი). ამგვარ საქმეებში საჭიროდ

მიგვაჩნია, როგორც ზემოთაც ვთქვით, თვით მოსწავლეთა ფართე ამოძრავება, მათ მიერ და მათი უშუალო მონაწილეობით როგორც კომისიების არჩევა, ისე სამუშაო გეგმების დამუშავება-შესრულება.

მიმდინარე მუშაობაშ დაგვანახეა, რომ მცირეწლოვან ბავშთა (1-3 წლ.) მოყვანა საბავშო ბალში თუ სკოლაში გართობის მიზნით მიზანშეწონილი არაა, უმჯობესია მათი ოჯახებში შენახვა, უფროსი ჯგუფის მოწაფე გოგონათაგან შემდგარ „მომცელელთა რაზმების“



ბორჯომის 7-წლედის მოწაფეები ართობენ ბავშებს ოჯახში.

საშუალებით და, სადაც კი მოსახერხებელია, მიმაგრება უნდა სწარ-მოებდეს ნათესავრი და მეზობლური პრინციპით. სკოლაში თუ სა-ბავშო ბალში პატარებს მალე სწყინდებათ და მათი შენახვა ძნელ-დება, ასევე ოჯახში ბავში უცნობ გოგონასთან ძნელად ჩება და მალეც კითხულობს დედას.

4—8 წლის ბავშების მიყვანა საბავშო ბალში თუ სკოლაში შესაძლებელია და მოსახერხებელიც. საჭიროდ მიგვმინია აღვნიშნოთ, რომ დიღის მხიარულებით ტარდება ამ ბავშებთან მუშაობა საბავშო ბალში. ამის მიზეზია საბავშო ბალების შინაარსი, სადაც მოიპოვება ამ ასაკის ბავშთათვის სათამაშოები, წიგნები, სურათები და მთელ



ବ୍ୟାକ୍ ପାଇଁ ଯାଏନ୍ତିରୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

მოწყობილობაც საბავშო ელფერს ატარებს. სკოლებშიაც კარგად მიმღინარეობს მათი გართობა, მაგრამ იქ მეტი ენერგიის ხარჯვაა საჭირო და ნივთიერი უსახსრობაც დიდია. სპეციალურად ამ დღეებისათვის შეძენა სათამაშო-გასართობების არც ისე აღვილი ხდება.

დადგებითი შედეგი მოაქვს პატარა ბავშებთან ერთად საბავშო ბალებისა და სკოლების უმცროსი ჯგუფის რამდენიმე მოწაფის მოყვანას. იგინი უფრო აქტიურები არიან. აცნობენ სკოლის, ბალის ცხოვრებას და ამრიგად პირველი გამრთობები და მასპინძლებიც ისინი გამოდიან.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ყველა ზემოხსენებული სახე ოჯახში თუ სკოლაში ბავშების ერთობისა უმჯობესად მიმღინარეობს სოფლად, ანდა სოფლის ტიპის ქალაქებში.

მფრინავი რაზმების მოწყობამ დიდი შედეგი მოიტანა და დამსწრეთა რიცხვი უსათუოდ გაიზარდა ყველგან. მფრინავი რაზმების უბნებზე მიმაგრება უსათუოდ კარგია და უკეთესია, თუ ის გამოყოფილი იქნება კამპანიის დასაწყისიდანვე, რომ თვითონეულმა რაზმმა თავიდანვე ადევნოს თვალყური მის უბანში კამპანიის მსვლელობას და შედეგებს. ამგვარ მუშაობას უმრავლეს შემთხვევაში ადგილი არა ჰქონია და საჭიროა მომავალში უსათუოდ გამოვიყენოთ.

ვაჟ მოწაფეთაგან „ოთხფეხის მომვლელთა“ ჯგუფების გამოყოფა კარგია და დადგებითი შედეგიც მოიტანა, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ეს ზომა გაატარეს მხოლოდ ბორჯომის რაიონის სკოლებმა (ს. ქვაბისხევი და სხვ) და სურამის 7-წლედმა. ამ ზომამ გლეხს საშუალება მისცა საარჩევნო კრებაზე დამშვიდებით წასულიყო. საჭიროა ამ ზომის მომავალში უსათუოდ გათვალისწინება.

პლაკატები, ლოზუნგები ბევრგან ყურადღებას იპყრობს თავისი ორიგინალობით, როგორც: „დედებო, არჩევნების დღეს შოთაყანეთ თქვენი ბავშები სკოლაში“, „გლეხებო, საარჩევნო პუნქტისაკენ, თქვნს ოთხფეხს ჩვენ მოვუვლით“ და სხვ..

სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე მიღწევათა კუთხეების მოწყობა და სათანადოდ გამოყენება ხელს უწყობს მოსახლეობის ფართე მასის ყურადღებას ჩვენი წინმსვლელობის დარგში. სკოლების მიერ ეს ზომა ნაკლებად იყო გამოყენებური (სენაკის და ნაწილობრივ მხოლოდ სხვა მაზრების მიერ), საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს მომავალში.

სკოლაში მშობლების თანადასწრებით კეთდება მოხსენება საბჭოს რომელიმე წევრის მიერ საბჭოს მუშაობის შესახებ. ამას მეტად

დიდი შედეგი მოაქვს და მოსწავლე ახალგაზრდობა შემდეგ კრებებზე უფრო მეტი შეგნებით, მომზადებით, საღი კრიტიკით გამოდის და მოსახლეობაშიც ავტორიტეტს იხვეჭს.

ამომრჩეველთა რიცხვი გაიზარდა და კერძოდ ქალთა დასწრება არაჩვეულებრივი იყო, იმაში უსათუოდ საგრძნობი ღვაწლი მიუძლვის ჩვენი სკოლების მუშაობას იმ ფორმებით და ხერხებით, რომელიც უკვე მოვიხსენიეთ. ზემდგომი ორგანოების მითითებანი პირნათლად იყო შესრულებული და, რაც უმთავრესია, კომკავშირის ხელის შეწყობით დაცულ იქნა პოლიტიკური ხაზიც კულაკის, ნეპმანის და სხვათა აშეარა თუ ფარული თავდასხმა-გაძრომ-გამოძრომისაგან. განა აღსანიშნავი არაა, როდესაც სურამის 7-წლედის ზოგი-ერთი მოწაფე უარს აცხადებს კომისიებში მონაწილეობის მიღებაზე, უფროსი ჯგუფის მოწაფეების გამორჩევა-თ ისინი აღმოჩნდენ ვაჭრების შვილები. მაშინ მათ დასვეს საკითხი ამ ნაკლის გამოსწორების შესახებ. ჯერ კი-დევ მშობლებისა და ბურუუზიული სულისკვეთებით განულენთილთა ფართე გავლენის ქვეშ იმყოფება ჩვენი ახალთაობის ნაწილი და ჩვენ უსათუოდ უნდა შევძლოთ ახალთაობის განთავისუფლება მათი გავლენისაგან. ჩვენი სკოლა შრომის სკოლაა, ოქტომბრის პირმშო შვილია და აუცილებელია აქ აღზრდილი თაობა მთლიანად ემსახუ-რებოდეს ოქტომბრის მონაპოვრის დაკა-განმტკიცებას.

დაბოლოს აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა არჩევნების კამპანიაში უფრო დიდი აქტივობა გაოიჩინა პროვინციის; ვიდრე ქალაქის მას-წავლებლობამ; ამ უკანასკნელის მუშაობა უმეტეს შემთხვევაში სკო-ლის კედლებს ა- გასცილებია. პროვინციის მასწავლებელთა და სა-ერთოდ სკოლების მუშაობა სათანადოთაც იყო თითქმის ყველა მაზ-რებში შეფასებული ადგილობრივი ხელისუფლებისა, პარტორგანი-ზაციებისა და მოსახლეობის მიერ. უკვე არის ოფიციალური ცნობე-ბი, რომ ბევრგან მასწავლებლების პროცენტი საბჭოებში შარშან-დელთან შედარებით ერთი-ორად, სამაც და მეტადაც გაიზარდა; მას-წავლებლებს ირჩევენ საბჭოს პრეზიდიუმის წევრებად და თავმჯდო-მარებად. მეტი რომ არა ვთქვათ, მოვიყვან არამდენიმე პ.-მ. ამხანაგის აზრს: „მართალია, მასწავლებლობა, მცირე გამონაკლისით, ჩვენთან იყო და გვეხმარებოდა, მაგრამ საბჭოთა არჩევნების კამპანიაში მან, უ. ი. მასწავლებლობამ, უდიდესი დახმარების გაწევა შესძლო და არავითარ დაბრკოლებების წინ ქედს არ იხრიდა. 8 9 ვერსის მან-ძილზე ქალი მასწავლებლებიც კი ამ საშინელ ქარბუჭეში დადიან სოფ-ლებში ქვევითად, რომ ხელი შეგვიწყონ ფართედ ჩავატაროთ აღნი-შნული კამპანია“ (ამხ. კალმახელიძე, ხაშურის რაიკომის მდიგანი);

„წრეულს მასწავლებელთა რიცხვი საბჭოში დიდდება წარსულ წლებთან შედარებით, ეს კი იმის თავდებია, რომ იგინი ჩენათ არიან, მუშაობენ თავდადებით და შეღეგასაცუსათუოდ იძლევიან“ (ამხ. ცხადაქ, ბორჯომის რაიონიდან); „ჩვენ რომ მასწავლებლობა არ მოგვხმარებოდა ამ კამპანიაში, აშკარაა, მუშაობა გაგვიძნელდებოდა და დაგვიბრკოლდებოდა კიდეც, თუ სურამის თემში საარჩევნო კრებაზე ცხადდება 85-90% დე, უსათუოდ საგრძნობი ღვაწლი სკოლასაც მიუძლევის“ (ამხ. ლომიძე, სურამის თემალმასკომის თავმჯდომარე). უკანასკნელად უნდა ალინიშნოს ის გარემოებაც, რომ პროვინციების სკოლების მუშაობის გამოცუხლებას შეუწყო მეტად ხელი განათლების სახ. კომისარიატიდან მივლენილმა პ./მ. ამხანაგებმა და ეს გარემოებაც მომავლისათვის უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ,

ი. ზაუტაშვილი.

## ჩვენება სკოლებში გამოცდა დაიზირეს.

„კულტურული ლაშქრობა წუთიერი შუშხუნა როდია, ის ხანგრძლივი, მძლავრი შეტევაა ძელი ყოფა-ცხოვრების უმგვანობის ამოსაფხვრელად“. — ეს აწერია თელავის პირველი ათწლედის ერთერთ პლაკატს და ამ იდეას მოსწავლე ახალგაზრდობა ცისმარე დღე ანხორციელებს.

იმის საქმიანობაში, მის კედლის გაზეთებსა და კლუბში, ქუჩებში თუ მფრინავ მიტინგებზე — ყველგან ელვარებენ შეკითხვები: „შენს სასწავლებელში, შენს ოჯახსა და გარემოში კულტურულ ლაშქრობას როგორ ატარებ?“ პასუხი არც იგიანებს, მოწაფენი თავისი საქმით აღფრთოვანებით უპასუხებენ, თუ ხალხს როგორ აჯანყებენ ლოთობის და ხულიგნობის წინააღმდეგ, თუ რანაირად ემზადებიან საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის, როგორ ირაზმებიან საბჭოთა არჩევნების გაცხოველებით ჩასატარებლად. არჩევნების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება უდიდესი პოლიტიკური სკოლაა და მოწაფეობამ აქ მშვენიერი გამოცდა დაიჭირა. შეუძლებელია პრესის ფურცლებზე იმ საფხეურების აღწერა, რაც სკოლებმა გაიარეს, ვიდრე არჩევნების კამპანიას მოათავებდნენ. მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს აღვნიშნავ, მოწაფეებმა ჩატარეს კონფერენციები, განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელი. თელავის პირველი ათწლედის მოწაფეთა ინიციატივით მოწვეულ იქნა თემის მოწაფეთა თვითორგანიზაციის პრეზიდიუმების, სკოლის გამგეობის და პოლიტიკური რწგანიზაციების ახალ სკოლისაკენ.“

ბის წარმომადგენელთა გაერთიანებული თათბირი, სადაც გამომუშავდა მთელი რიგი ლონისძიებანი.

1. ყველა სკოლის მოწაფეთა გამოყენება საარჩევნო უწყებების დასამზადებლად და დასარიგებლად.

2. დამზადება ლოზუნგებისა და თვალსაჩინო ადგილებზე გამოკვრა.

3. შესწავლა თემის და მაზრის აღმშენებლობის მიღწევებისა, მათი გამოხატვა დიაგრამებით და გამოფენა.

4. არჩევნების წინადლით განზრახულ დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

5. კურდლელაურსა და შალაურში პირველი ათწლედის და პედეკინიკუბის ძალებით მოწყობა კულაკის, მღვდლის და ვაჭრის გასამართლებისა.

6. კედლის გაზეთების გამოშვება.

7. არჩევნების დღეს სასწავლებლებში მოწყობა საბავშო ბაგის და ბალისა, რომ მშობლებს საშუალება მიეცეთ მოვიდენ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახლელად და ბავშები მოსავლელად გადასცენ ერთდღიან ბაგასა და ბალში მომუშავე მოწაფეებს.

8. არჩევნების დღისთვისვე სასწავლებლებში გამოიფენისა იმ მიზნით, რომ ვიდრე არჩევნებს შეუდგებოდენ, მშობლებს საშუალება მიეცეთ გაეცნონ სკოლის მუშაობას, მის მიზნებს, მეთოდებს, შიხწევებს და ნაკლ.

9. ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი კი შეეხება იმ „ნაკაზს“ სკოლების საკითხების თაობაზე, რომელიც პირველი ათწლედის მოწაფეთა თვითორგანიზაციის პრეზიდიუმმა წარადგინა თათბირზე და მცირე შენიშვნებით მიღებს კიდეც.

მოწაფეთა „ნაკაზი“ შემდეგი მუხლებისაგან შესდგება:

1. ახალმა საბჭომ დამდეგი წლიდან გადამჭრელი ზომები მიიღოს ლოთობის წინააღმდეგ.

2. ჩეკენ, გლეხების და მუშების შეიღებს, ჯანმრთელობა გვესაჭიროება. თემების ექიმები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მოწაფე ახალგაზრდობას. ჯანმრთელობა გვინადგურდება. მოგვეცით ექიმიზუ გინდათ, რომ თქვენი მომავალი ჯანმრთელი და ლონიერი იყოს.

ენერგიული ბრძოლა გამოეცხადოს მკითხავებს, და ექიმებაშებს.

4. ტილი რევოლუციის მტერია. უსუფთაობასთან ბრძოლის ერთერთ მნიშვნელოვან პირობას აბანო წარმოადგენს. გადადგმული იქნას ნაბიჯები სოფლად აბანოს მოსაწყობად, ქალაქში კი საჭიროა აბანოში კვირაში ერთი დღე მოწაფეებს საგანგებოდ დაეთმოს.

5. სასწავლებლები სოფლად მეტად უხეირო შენობებშია, ვიწროობაა და სინესტე, ჩვენ კი გვესაჭიროება ფართო შენობა, სადაც საქმაოდ იქნება ჰაერი და მზე. მოსახლეობა ნაკლებადაა ჩამული სასკოლო აღმშენებლობაში. საბჭოს ახალმა წევრებმა მოსახლეობაში უნდა ჩატარონ მუშაობა სკოლის კეთილშორწყობისათვის.

6. ფიზკულტურის ბინა მეტად სავალალო მდგომარეობაშია, მოვითხოვთ მის შეკეთებას და საჭირო იარაღებით უზრუნველყოფას.

7. მოვითხოვთ სკოლაში მოჯამაგირების და ღარიბი მოწაფეების რიცხვის გაზრდას და მათს იმდენად უზრუნველყოფას, რომ სწავლის გაგრძელება შეეძლოთ.

8. მთელ მაზრაში არ მოიპოვება უპატრონო ბავშვთა და მოწაფეთა საცხოვრებელი სახლი, გადადგმულ იქნას ნაბიჯები მის გასახსნელად.

9. სკოლის დამხმარე საბჭოს თაოსნობით მოეწყოს თბილი საუზმეები, დღეში ექვსი-შვიდი გაკვეთილის განმავლობაში უსაჭმელობა დაგვაავადმყოფებს.

10. მიღებულ იქნას ზომები, რომ სახელგამმა ძვირი წიგნები გააიაფოს, თორემ გვიძნელდება სახელმძღვანელოების შეძენა.

11. მოეწყოს სკოლის გარეთ დარჩენილ ბავშთათვის მოედანი და კლუბი.

12. სოფლად იშვიათად იმართება კინო და წარმოდგენა, ისიც დიდებისათვის, საჭიროა ხშირად ბავშთათვისაც მოეწყოს ხოლმე.

13. ქოხ-სამკითხველოში ძალიან ცოტა საბავშო წიგნების განყოფილება.

თათბირის თვითონეული დადგენილება ცოცხალ საქმედ იქცა, განსაკუთრებით მდიდარი იყო სკოლები არჩევნების უკანასკნელ კვირას, როდესაც სკოლა წარმოადგნდა ლაბორატორიას, სადაც იწაფებოდა მოსწავლეთა პოლიტიკური შეგნება, მსოფლმხედველობა, აქტივისტის ნებისყოფა.

„ცოდნის მწვერვალზე ასევლა და მისი გამოყენება მუშათა კლასის კეთილდღეობისათვის — ეს არის ლენინის დიადი მაგალითი, რომლის განხორციელებასაც ყოველდღე უნდა ვესწრაფებოდეთ, გვეუბნებოდა ათწლების პლატფორმით აყვავებული კედლები. სხვა სკოლებშიაც ისეთსავე შემოქმედებითს გაქანებას ვხედავდით. მეტად ლამაზი და შინაარსიანი იყო კარნავალი, რომელიც ყველა სკოლის მიერ გაღებული თანხების საშუალებით მოეწყო, ზაფხილების ცოცხალ მუზეუმს საუცხოოდ. ასახიერებდენ პედოგენიკუმის მსმენელები.

დემონსტრაცია მრავალ ტალღად მიშოიფანტა სოფლებში მშრო-  
მელი გლეხეაცობის თელავის მიტინგზე წამოსაყვანად“. ვარდისუბ-  
ნიდან უკვე ბრუნდებიან კიდეც იქ წასული პედტეხნიკუმების მოწა-  
ფენი და მოპყევთ სოფლელი პატარები, მათ დახატული ყვავილები  
უჭირავთ ზედ წარწერით: „ჩვენ მომავლის ყვავილები ვართ, გზა!“  
ეს რა უშველებელი პლაკატი მოარხევს პარტიას? მოწაფეებს ძლივს  
უჭირავთ, იგი ათწლედისაა. მოსახლეობას ატყობინებს:

„მშობლებო, ჩვენი ცხოვრება საბჭოების შემწეობით გაუმჯო-  
ბესდება, გაეშურეთ არჩევნებისაკენ“. ათწლედში გახსნილია საბავშო  
ბალი და ბაგა. ბავშები მოვარდებარეთ. ჩვენ მოვუვლით.

არჩევნების დღეც გათენდა. ყველა დაწესებულება მორთულია-  
თელავის ათწლედი ერთ-ერთ საარჩევნო პუნქტად არის დანიშნული.  
შორიდანვე შეატყობთ, რომ იგი მზად არის ფხიზელი გუშაგივით.

ბურჯასა და კოშკს შორის გაბმულია მავთული და ზედ ფრიალე-  
ბენ ნახევარმეტრიანი ასოები, რომელიც მეტყველ ფრაზას გამოხა-  
ტავენ: „არჩევნებზე ნუ დაიგვიანებთ“. წინა ლამით თოვლს მოუსევა-  
დებია იგი და გვონია პარტია ზღაპრულად გამოკიდული თოვლის  
ქათქათა მოწოდება. განა რომელიმე მხატვარი შესძლებდა ამ მოწო-  
დების აფერადებას, როგორც შეგვეშველა დიადი და სწორუპვარი  
მხატვარი — ზამთარი? სასწავლებლის ეზოში გვხვდება მოწაფეთა აღ-  
სარება კულტურული რევოლუციის შესახებ: „ჩვენ, ახალგაზრდობა,  
ლონიერი, ჯანსალი ხელებით მალა ავწევთ კულტურული რევოლუ-  
ციის დროშას და ვიბრძოლებთ ხულიგნობის, გარყვნილების, ცრუ-  
მორწმუნეობის, ლოთობის, გინების, ჭუჭყის და სიზარმაციის წინააღ-  
მდეგ. ვამა, ხანგრძლივ კულტურულ ლაშქრობას!“

ათწლედის პედაგოგიური განხრის მოწაფე ქალებიც მზად არიან.

მათაც მთელი რიგი ლონისძიებები მიულიათ, რომ მათი საბავ-  
შო ბაგა და ბალი მოხდენილად იყოს მოწყობილი. ჯერ არის და-  
ისინი რამდენიმეჯერ იყვნენ საბავშო ბალებში პრაქტიკის მისალებად.  
მოიწვიეს ექიმი სოსო ლომოური, რომელმაც ჩვეულებისამებრ ენა-  
წყლიანად გააცნო ბავშების მოვლის წესები. მოწაფეებს ყველა და-  
ვალება აუსრულებიათ, ყოველგვარი სიფრთხილე გამოუჩინიათ, მათ  
ბავშების სანიმუშო საწოლებიც მოუტანიათ ბავშთა და დედათა დაც-  
ვის კონსულტაციიდან. მოწაფენი ამ აკვნებით პროპაგანდას ეწევიან-  
აქაც ნაირნაირი და შინაარსით მდიდარი ლოზუნგები გამოუქრავთ:  
„მოესპორ შეხვევა, ძირს აკვანი, მოესპორ რწევა“, „აკვანი აფერხებს  
ბავშის გულმკერდის სწორ განვითარებას, აძნელებს სისხლის მოძრაო-  
ბას, ხელს უშლის ხელ-ფეხის სწორ ზრდას“. „ნუ არწევთ აკვანს,

აწევეთ ბავშვს არეტიანებს“ . „დედის რძის მაგიერი არაფერია“, „სუთ-თა ჰაერი, სინათლე და მზე საუკეთესო სამკურნალო საშუალებაა“. „ჩვენ მოვითხოვთ: დედის ძუძუს, ჯანმრთელ მშობლებს, ნასწავლ ბე-ბია-ქალებს და არა სოფლის უვიც დედაკაცებს“.

ბაგა მალე ახმაურდა ძუძუთა ბავშებით, მშობლები საარჩევნო დარბაზებისკენ ეშურებიან, მოწაფენი კი მათ შვილებს ნაზად, სათუ-თად ულალავებენ. საბავშო ბალიც მხიარულად აყიუინდა, გაიმართა სიმღერა და თაძაში.

არჩევნების დაწყებამდე მოქალაქენი ათვალიერებენ სასწავლებ-ლის გამოფენას, „ზოგი აგრონომიულ მუხეუმშია, ზოგი რაღიონ და ფოტო-ჭრეში, ზოგი ლაბორატორიუმებშია, უმრავლესობა კიდევ ოთხ-წლედის ჯგუფებში. დიდის ხალისით კითხულობენ სკოლის კედლის გაზეთს „ახალი ზვირთები“, სადაც მოწაფეთა „ნაკაზია“ მოთავსებუ-ლი, ასევე ალტაცებით კითხულობენ პირველი საფეხურის კედლის გაზეთებს, ჩვენი სკოლის მუშაობა მხარეთმცოდნეობის საფუძველზე აშენებული, ამის საუცხოო ილუსტრაციაა მესამე-და მეოთხე ჯგუფე-ბის მიერ დამუშავებული ცნობები თემის და მაზრის მეურნეობის კულტურული დონის, პოლიტიკური ცხოვრების და სხვა დარგში ალ-მშენებლობის შესახებ, მათ ისეთი მასალები მოეპოვებათ კოლმეურ-ნეობათა და განათლების მდგომარეობას შესახებ, რომ მხარეთმცოდ-ნეობის მუხეუმის გამგეობის წევრები ალტაცებაში მოდიან და მოწა-ფეებს სთხოვენ ამ დიაგრამების პირს მუზეუმისათვის.

აგერ, კახეთის მაზრის განათლების განყოფილების გამგე აღარა შორდება პედგანხრის ლაბორატორიაში ერთ კედელს. აქ გაიკრულია უალრესად ორიგინალური დიაგრამა, რომელიც შეიცავს ყოველგვარ ცნობას იმის შესახებ, თუ მთელ მაზრაში რამდენი მცხოვრებია, რა-მდენი თემი, თვითონეულში რა ტიპის და რამდენი სკოლაა, რამდენი მოწაფეა, რამდენად დაკმაყოფილებულია მოსახლეობა სკოლებით, მოწაფეთა და მასწავლებლთა სოციალური მდგომარეობა, პარტიუ-ლობა და სხვა. იქვეა რუკა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა კახეთის მაზრაში. კარგია მესამე დიაგრამაც, სკოლას სადღაც შიუგ-ნია იშვიათი ცნობებისთვის და შეუდგენიამ დიაგრამა მრუდე ხაზე-ბის აღნიშვნით, თუ 1855 წლიდან დღევანდლამდე როგორ იზრდება სკოლების რიცხვი.

აი... მაგრამ... არჩევნებისკენ!.. არჩევნებისკენ!.. ზარი ირეკება, საცაა გაიხსნება კრება, აქაც მოწაფენ თავ-თავის საგუშაგოზე არიან, შავსიელებს არსად აქაშენებენ.

ვილაცა სალახანას განუზრახავს შენობაში შეკრებილ ამომრჩეველთა შორის პანიკა გამოიწვიოს... მორბის და ყვირის:

— ხანძარი, ხანძარი!..

კომკავშირელი რის კომკავშირელია, თუ ასეთ ვაჟბატონებს ლილას არ გაუხერხეს, იგი უმაღლ გააპანლურეს...

— სმენა! არჩევნები დაიწყო...

94. პროცენტი გამოცხადებულა ამ პუნქტზე, ზეიმობს მოსახლეობა. მათთან ერთად ზეიმობენ მასწავლებლები და მოწაფენი.

დ. თურდოსპირელი.

თელავის პედტეხნიკურის გამგე.

## ჩვენი მიღწევები და ნაკლი.

მეორე წელია, რაც საქ. განათლების კომისარიატში მასიურ მასწავლებელთა გადასამზადებლად ისეთი ხაზი აიღო, რაც ნაკლებ ხარჯებთან ერთად უდიდეს დახმარებას უწევს მასიურ მასწავლებლობას პედაგოგიურ საკითხებში გაცნობა-გარკვევით.

ეს ხაზი არის კონფერენციების სისტემა. ამ სისტემის შემოღებამდე წელიწადში ერთხელ, სახელმობრ საზაფხულო არღადებებში, აღგილებზე განათლების განყოფილებები აწყობდენ გადასამზადებელ კურსებს; პირველ ხანებში ამ კურსებზე იგზავნებოდენ უფრო სუსტი მასწავლებელნი, შემდეგ კი საჭიროდ იქნა ცნობილი კურსებზე მიევლინებინად აქტიური, გამჭრიახი და უნარის მქონე პედაგოგები.

დღეს ეს სისტემა უკვე უკუგდებულია და მის ნაცვლად მაზრის ფარგლებში განსაკუთრებით სათემო ცენტრებში ეწყობა კონფერენციები.

ასეთი კონფერენციები კახეთის სამაზრო განათლების განყოფილების მიერ მოეწყო თელავში, სიღნაღმში, ლაგოდებში, პირიქითში და სხვა.

სასწავლო წლის დასაწყისს ჯერ მოეწყო მე-III და მე-IV ჯგუფების მასწავლებელთა კონფერენციები, უკანასკნელ კვირებში კი პირველი და მეორე ჯგუფების მასწავლებელთათვისაც მოეწყო კონფერენციები.

კონფერენციებმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოად და მოსული სოფლის მასწავლებლობა კმაყოფილი წავიდა თავის აღგრძებზე.

კონფერენციებზე დღის წესრიგში შეტანილი იყო უალრესად დიდმნიშვნელოვანი საკითხები:

1) აგეგმვა-ალრიცხვა, 2) ბგერითი მეთოდი ქართული ენის სწავლების ღროს, 3) საწარმოო გეგმების განხილვა, 4) საცდელ-საჩვენებელ სკოლების პრაქტიკული მუშაობის გაცნობა, 5) კულტურული რევოლუცია, 6) მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროები და სხვა.

სანამ საკითხების განხილვას შეუდგებოდენ, სოფლის მასწავლებლობა საცდელ-საჩვენებელ სკოლებში გაკვეთილებს ისმენდა; აქ უმთავრესად ყურადღება ექცეოდა აგეგმვა-ალრიცხვის მთავარ-მომენტებს, შემდეგ კი მოისმენდენ ხელმძღვანელი პედაგოგების მოხსენებებს ჩატარებული მუშაობის ირგვლივ, რის შემდეგ იმართებოდა შეკითხვები, კამათი; აი აქ გამოიჩინა ჩვენმა მასწავლებლობამ თავისი ქტივობა. თუ გუშინ, გუშინშინ სოფლის მასწავლებელი მსმენელის, როლში გამოდიოდა და საკითხებშიაც ვერ ერკვეოდა, ეხლა მას უკვე კარგად აქვს შეთვისებული გეგმები, მეთოდები, სისტემები, შრომის სკოლის პრინციპები და სხვა.

მაგრამ არ კმარა მოხსნა გემი, საჭიროა მისი ტარების გეზი და მესაჭის ყოლა.

ამ შემთხვევაში მესაჭე და გეზის შიმცემი არიან ჩვენი რაიონული და საცდელ-საჩვენებელი სკოლები.

ცხადია, რომ ამუშავებულმა პედაგოგიურმა აზროვნებამ სწორედ იმიტომ შეჰქმნა საცდელ-საჩვენებელი სკოლები, მოიწვია. ცოტად თუ ბევრად გამოცდილი მასწავლებლები, გაუდიდა ხელფასი რომ იქ ზედმიწევნით გამოსცადოს ის ხერხები და გზები, რომლითაც უნდა იაროს განახლების გზაზე შემდგარმა მასიურმა სკოლამ.

მაშასადამე, საცდელ-საჩვენებელი სკოლები განახლების და შრომითი პრინციპების გატარების ძლიერი ფაქტორი უნდა იყოს, მაგრამ ზოგიერთი სკოლა პრაქტიკაში ოდნავაც ვერ ამართლებს თავისი დანიშნულებას; ამ შემთხვევაში ზოგიერთი მორიგი სკოლა თავისი მუშაობის სწორი დაყენებით ხშირად მას სჯობნის კიდევაც.

მართალია, ჩვენს მასწავლებლობას კიდევ ბევრი რამ აკლია, ჩვენი სკოლა ჯერ კიდევ არ გადაქცეულა საზოგადოებრივ-კულტურულ კერად, იგი მთლიანად არ გადაქცეულა აქტიურ თეოთმოქმედორგანიზაციად, ის ჯერ არ შეკრილა იმ რაიონის ყოფა-ცხოვრებაში, სადაც იგი მუშაობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ოდესლაც მკვდარი, უუნარო სკოლა თავისი განლევილი მასწავლებლით უკვე წარსულს ჩაბარდა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა, აყვავდა და გაიფურჩნა შრომის იდეებით გამსჭვალული შრომის სკოლა.

თუ ამ სკოლებში ნაჩვენები ნაქლი (განსაკუთრებით კი საცდელ-საჩვენებელ სასწავლებლებში) გამოსწორდა, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი მიზანი სახალხო განათლების დარგში ნაწილობრივ მიღწეული იქნება, ეს კი მოსახერხებელია ხშირი კონფერენციების მოწვევით, პრაქტიკული მუშაობის ჩატარებით, საზოგადო-სასარგებლო შრომისშესწავლა-გატარებით და კოლექტიურ აღრიცხვა-გამოფენების მოწყობით.

იმედია, ამ მიმართულებით წავა კახეთის განათლების განყოფილება, ამას მოითხოვს მშრომელი მასის ინტერესებიც.

**იფ. დავითიანი.**

სილნალის შრომის სკოლის მასწავლებელი.

# დაუსწრებელი კურსები

პედაგოგიური თვითგანვითარებისათვის

No 4

1929 წ.

# დაუსწრებელი კურსების მსმენელთა საქურადღებოდ

ა. წ. დაუსწრებელი კურსების თითოეულ მსმენელს დაეგზავნა მიმართვა, სადაც აღნიშნული იყო მისი კურსებზე ჩარიცხვა და საკონტროლო დავალების (იხ. ამა წლის უწოდ. № 4) შესრულების აუცილებლობა.

არის შემთხვევები, რომ ჩვენი მიმართვა უკან დაბრუნდა—ალბად მსმენელის მიერ ანკეტაში აღნიშნული მისამართი არ იყო სწორი, ან კიდევ ზოგიერთი მსმენელი ვიდრე ჩვენ მიმართვას არ მიიღებოს, ფიქრობდა, რომ ის არ იყო კურსებზე ჩარიცხული და არ აწარმოებდა მუშაობას. მიმართვის მიღების შემდეგ კი—გვეკითხებიან—არის თუ არა დაგვიანებული საკონტროლო დავალების გადმოგზავნა. პასუხად ასეთი შეკითხვებისა და აგრეთვე უურნალ „ას. სკ.“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ კურსებზე ჩარიცხვისათვის საკმარისია (და აუცილებელი) უურნალის გამოწერა და ამ უურნალის ანკეტის (იხ. № 9, 1928 წ.) შევსება. მუშაობის დაწყება არ არის დაგვიანებული. 1 საკონტროლო მუშაობის მიღებას ჩვენ ვაწარმოებთ აპრილის ბოლომდე და მაისში კი მოვთხოვთ მსმენელებს მეორე საკონტროლო მუშაობის შესრულებას.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების  
ინსტრუქტორი.

# დაწუებითი სკოლის შინაარსი, მეთოდები და ორგანიზაცია

რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა პედოლოგიდან

შესავალი.

ახლა, როცა საბჭოთა პედაგოგიკა განსაკუთრებით ხაზს უსვამს აღზრდის ამოცანებს—ახალი ადამიანის შექმნის ამოცანებს,—საჭირო არ არის პედაგოგისათვის იმის მტკიცება, რომ პედაგოგიური მუშაობის წარმატებისა და ნაყოფიერებისათვის აუცილებელია ბავშის—როგორც აღზრდის ობიექტის—ბუნებრივ თავისებურებათა ცოდნა.

პედოლოგია, მეცნიერება, რომლის მიზანია ბავშის შესწავლა, სწორედ რომ ვთქვათ, ბავშობის ასაკის განსაკუთრებული თვისებების შესწავლა,—გვაძლევს დასაბუთებას პედაგოგიური მუშაობის სწორად აგებისა და ისეთი მიზანშეწონილი აღზრდისა და განათლებისათვის, რომელიც მხედველობაში იღებს და ეყრდნობა ბავშების განსაკუთრებულ თვისებებს მათი ასაკის მიხედვით, ბავშის ინტივიდუალურ თავისებურობას და ბავშთა ჯგუფების სოციალურ განსაკუთრებულებას. ამიტომ უპედოლოგიოდ არ შეიძლბა იყოს მეცნიერული პედოგოგიკა, პედოლოგიის საფუძვლის გაუცნობლი; და არ შეიძლება მასიური პედაგოგის პრაქტიკული მუშაობის სწორად დაყენება.

როგორი ბავში უნდა შევისწავლოთ? რა თქმა უნდა, მასიური ბავში: ჩვენს წინაშე დგას მასიური აღზრდის ამოცანა და, მაშასადამე, ჩვენს პრაქტიკაში ბოლოს და ბოლოს მხედველობაში უნდა გვყავდეს სწორედ მასიური ბავში. ჩვენ ვაგებთ საყოველთაო სწავლების ქსელს 1 საფეხურზე და, მაშასადამე, ჩვენ უნდა ვიცნობდეთ 1 საფეხურის ბავშთა ძალას. ჩვენ ვაშენებთ მოზრდილ მუშათა სკოლებს; უნდა ვიცნობდეთ, მაშასადამე, მასიურ მოზარდ მუშას. მაგრამ საქმე მარტო ამ პრაქტიკულ მოსაზრებაში არ არის. საქმე უპირველეს ყოვლისა ისაა, რომ თუ ბავშთა ცალკე ინდივიდუალობა შევისწავლეთ, ჩვენ თავს ვერ დავალწევთ შემთხვევათა სფეროს. კანონზომიერება ირკვევა მხოლოდ ერთგვარ მოვლენათა მასის შესწავლის დროს. შე-

სასწავლი მასა ბავშებისა უნდა იყოს ერთგვარი მასა და არა სხვა— დასხვაგვარ შემთხვევათა ნაჩევი. ხშირად მკვლევართ სწორედ ეს ავიტყდებათ. სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა და სხვადასხვა მასების ბავშები ხშირად უკრიტიკოდ არის არეული და მოქცეული ერთ გროვაში, რის შედეგიც არის ის, რომ მიღებული ბავშთა მასა წარმოადგენს რამდენიმე სხვადასხვაგვარი მასის შეჯგუფებას. ასეთ „ნაჩევზე“ მეცნიერული დასკვნების მიღება შეუძლებელია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ შეიძლება ბავშთა ფართო მასაზე ლაპარაკი, მაგ. მთელი მსოფლიოს ბავშთა მოსახლეობაზე. როგორც მიღებული და არამეცნიერულია წამდაუწუმ (ხან დროულად და ხან უადგილოდ) ყველა ბავშის საერთო ბავშთა მასაში მოქცევა და „საერთოდ ბავშე“ ლაპარაკი, ისე გულუბრყვილობა მეტაფიზიკურია მუდამ აბსოლუტურად ყოველმხრივ ერთგვარი ბავშების ცალკე ჯგუფებზე მსჯელობა და ლაპარაკი და ყოველთვის თავის შეკავება ბავშებზე საერთო დასკვნის გამოტანისაგან. როგორც მუშათა კლასის შესწავლა კაპიტალისტური საზოგადოების ანალიზის გარეშე ვერ მოვცემს ყველას, რაც საჭიროა, ისე ვერ დაგვაკმაყოფილებს ამა თუ იმ ჯგუფის შესწავლა ფართო მასების ანალიზისაგან დამოუკიდებლად.

როცა პედოლოვია ბავშე ლაპარაკობს, იგი გულისხმობს ადამიანის განვითარების მთელ პერიოდს—მისი ჩასახვიდან მომწიფებამდე.

დედის კვერცხი ნაყოფიერდება მაშის თესლით—აქ არის დასაწყისი ადამიანის სიცოცხლისა.

ბავში იბადება ქვეყნად რომელიმე განსაზღვრულ ადგილზე, სუნთქვას ამა თუ იმ ჰაერს, ცხოვრობს რომელიმე ბინაზე, მას თითქმის განუწყვეტლივ სხვადასხვა ხალხი ახვევია გარს, იგი ხდება წევრი ოჯახისა, კლასის, სახელმწიფოსი, ხალხისა.

აი ორი ძირითადი ფაქტი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ბავშის მთელი შემდეგი ევოლუციისათვის.

მშობლებისაგან მიღებული ცოცხალი მატერია სხვადასხვა თვისებათა მატარებელია. იგი გადასცემს ადამიანს იმას, რაც მის მშობლებში და ამ უკანასკნელთა მეშვეობით წინა თაობებში იყო ჩანერგილი. ადამიანის მინიატურული ჩანასახი დატვირთულია უდიდესი ბარგით, რომელშიც ყოველ წინაპარს თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

დაბადებული ბავში არის განსაზღვრული ნაყოფი დიადი წარსულისა, მისი უდიდესი მიღწევების მემკვიდრე და მისი სხვადასხვა-

ნაირი გადამახრჯების მონაწილე. აქედან — პირველი და თვალსაჩინო ფაქტორი ადამიანის მოზავალი განვითარებისა არის — ფაქტორი ბიოლოგიური.

მაგრამ ბავშვს მარტო კაცობრიობის „წარსული“ არ ასევამს ბეჭედს. „აწმყო“, ისეთივე სიძლიერით აწვება მას და სტოვებს კვალს შველაფერზე, რაც მის გარშემო არის. იგი გავლენას ახდენს ბავშვების იჯახის საერთო ყოფა-ცხოვრებით, მისი კლასისა და ერის კულტურით, მისი თანამედროვე ქალაქისა და სოფლის ცხოვრებით, მიმდინარე დღის დიადი ფაქტებით: ტექნიკური აღმოჩენებით, მხატვრული მიღწევებით. პოლიტიკური მოვლენებით. ეს არის შეორე არა ნაკლებ ძლიერი ფაქტორი მოზარდი ადამიანის განვითარებისა: ფაქტორი სოციოლოგიური.

რა მეთოდებით სარგებლობს პედოლოგია ბავშვის შესწავლის დროს? საერთო მიმოხილვით ეს მეთოდები შეიძლება სამ ჯგუფად გაიყოს: დაკვირვება, გაძოველევა და ექსპერიმენტი.

დაკვირვებაზ პედოლოგიის განვითარებაში უდიდესი როლი შეასრულა და ის მასალები; რომლებითაც პედოლოგები აქამდე სარგებლობენ, უმთავრესად დაკვირვების მეშვეობით არის დაგროვილი. დაკვირვება შეიძლება ბავშვის ზრდისა და განვითარების სხვადასხვა-გვარ თავისებურებებზე, როგორც მისი ფიზიკური თვისებების ცვლილებაზე (სიმაღლე, წონა, თავისებურობა სხეულისა, ჯანმრთელობისა და სხვ.), ისე მის ყოფა-კეცვაზე სხვადასხვა ასაკში და მისი წრის სხვადასხვა პირობებში. თანამედროვე საბჭოთა პედოლოგიური აზრი უფრო და უფრო მეტად იხრება ობიექტური დაკვირვების საჭიროებისაკენ და ბავშვის ყოფა-კეცვის შეფასება-განმარტების დროს, შეძლებისდაგვარად, ერიდება და გვერდს უხვევს სუბიექტურ მიღომას.

გამოკვლევაც შესაძლებელია ეხებოდეს პედოლოგიური მუშაობის სხვადასხვაგვარ მომენტს, ასეთია ბავშვის ყოფელგვარი გაზომვა, რომელიც ბავშვის კონსტიტუციონური თავისებურობის გამორკვევის საშუალებას იძლევა; ასეთია აგრეთვე იმ წრის გამოკვლევა, რომელშიც ცხოვრობდა და ცხოვრობს ბავშვი; სპეციალურად დაწესებულ გამოცდათა მეშვეობით (ტესტი) ბავშვის გონიერობი. განვითარების ხარისხის გამოკვლევა; სასკოლო წარმატების აღრიცხვა და სხვ.

ექსპერიმენტის ამოცანას კი წარმოადგენს სხვადასხვა გადასაწყვეტ კითხვაზე პასუხების გამოძებნა: ამისათვის იქმნება რაციულური, ხშირად ხელოვნური, მოწყობილობა და პირობები, რომლებიც ექსპერიმენტატორის მიერ დასმული კითხვის განცალკევებულად — იზოლაციურსდ შესწავლის საშუალებას იძლევან. განსაკუთრებული ყუ-

რადლების ლინსია ბუნებრივი ექსპერიმენტის მეთოდი, რომელიც საკმაოდ ერიდება ხელოვნურობას და საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ბავში მისი ცხოვრებისა და მუშაობის ბუნებრივ პირობებში.

ჩვენ დროს ბავშის თავისებურობის შესწავლის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დაისვა ყოველი პედაგოგის წინაშე, იმიტომ რომ ახლანდელი მოწაფე-ბავში განიცდის ახალი ფაქტორების გავლენას, რომელთაც ადგილი აქვთ ამ ხანად საბჭოთა კავშირში. ამიტომ ახლანდელი ბავში მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობას და იმ გავლენათა შედეგების აღრიცხვას, რომლებიც მეტად ღრმა კვალს სტოვებენ ჩვენს ბავშზე. მთელი პედაგოგიური პროცესი იგებული უნდა იყოს თანამედროვე ბავშის ამ თავისებურებათა აღრიცხვების საფუძვლებზე: ეს უნდა იქნეს მიღებული წინნამდღვრად, რის მიხედვითაც უნდა აიგოს ბავშის სამუშაო დღე—შრომისა და დასვენების სწორად განაწილებით; ამისვე მიხედვით უნდა იქნეს აგებული მისი მაცადინობის წარმატების აღრიცხვა.

ამიტომ პედოლოგიური ხასიათის ძირითადი საკითხები, რომელთაც უნდა იცნობდენ ყოველი პედაგოგი, შემდეგში უნდა მდგომარეობდეს:

1. ბავშის ბიოლოგიური თავისებურობანი ბავშობის სხვადასხვა სტადიებში მოზრდილ აღამიანთან შედარებით,
2. გარემო წრისა და პირობების გავლენა ბავშზე და თანამედროვე საბჭოთა ბავშის თავისებურობანი.
3. ბავშის შესწავლის ძირითადი მეთოდები,
4. წარმატების აღრიცხვის მეთოდიკა და ტექნიკა.

### მეოთხე დავალება

ბავშის ბიოლოგიური თავისებურობანი მოზრდილ აღამიანთან შედარებით და პედაგოგიური დასკვნები.

#### I. დავალების მიზანი.

ამ დავალების დამუშავებამ უნდა მისცეს მასწავლებელს განსაზღვრული წარმოდგენა ბავშის ორგანიზმის ანაგობა და მოქმედების თავისებურობაზე და მისი ყოფაქცევის თავისებურობაზე მოზრდილებთან შედარებით.

#### II. დავალების დამუშავების გეგმა.

ეს დავალება სამ ნაწილად იყოფა; ა) ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურობანი, ბ) ყოფაქცევის თავისებურობა და გ) პედაგოგიური დასკვნები..

ა) ანატომო-ფიზიოლოგიური თავისებურობანი. ბავში არის მოზარდი, განვითარების პროცესში მყოფი ადამიანი, რომელიც განსხვავდება თვისება-ვითარებით მოზრდილისაგან და რომელსაც ბავშის ასაკის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვაგვარი თავისებურობა აქვს, თუ ბავშის ფიზიკურ განვითარებას შევისწავლით, აღმოჩნდება, რომ მისი ორგანიზმის ანაგობა და მოქმედიანობა მუდამ იცვლება. მაგ. ძვლების გამკვირვება (რომელსაც ძუძუმწოვრობის ასაკში ხრტილის ხასიათი აქვს) ხდება განსაზღვრული წესით და სავსებით დასრულებული არ არის 1 საფეხურის სკოლის ასაკშიც.

იცვლება აგრეთვე კუნთების, სასუნთქი ორგანოების, სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მოსანელებელი და სხვ. ორგანოების მოქმედიანობა. ასე, მაგ. მაჯისცემა და სუნთქვა პატარა ბავშებს უფრო ხშირი აქვთ, ვიდრე უფრო მოზრდილებს, სისხლის შემაღვენლობა (სისხლის წითელი და თეთრი ბუროულების რიცხვთა შეფარდება ერთ-მანეთთან) იცვლება, კუნთების მასა და ძალა იზრდება. პატარა ბავშების ნერვული სისტემა, განსაკუთრებით თავის ტვინის ნახევარსფეროსი (ნერვული მოქმედიანობის უმაღლესი ორგანოსი) საგრძნობლად განსხვავდება უფრო მოზრდილთა ნერვული სისტემისაგან.

ბ) ყოფაქცევის თავისებურობანი. ამასთან დამოკიდებულობით და იმ ხელსაყრელი და არახელსაყრელი სოციალურ-ეკონომიური პირობების გამო, რომლებშიც ბავშს უხდება ცხოვრება, — მისი უმაღლესი ნერვული მოქმედიანობა (ყოფაქცევა) იცვლება ასაკის მიხედვით.

გ) პედაგოგიური დასკვნები. აქედან სრულიად ცხადია, რომ სწორი არ არის და მავნებელია პედაგოგიური თვალსაზრისით, როდესაც ბავშს სთვლიან დიდ ადამიანად, იმიტომ რომ ბავშის ამგვარად გაგების დროს მას ხშირად ეძლევა გაუგებარი და მისი ძალებისათვის შეუფერებელი სამუშაო, რაც არა თუ არ ანვითარებს მას, პირიქით, ჩლუნგაეს და აფერხებს, რადგან ასეთი სამუშაო მოითხოვს მისგან ძალების არაჩვეულებრივად დაჭიმვას, რასაც შედეგად მოჰყვება დალლა და მოღუნება; მისი ორგანიზმი და კერძოდ ნერვული სისტემა ჯერ ნაზი და ახალგაზრდა და ყოველგვარი მავნებელი ზეგავლენა მასზე ძლიერად მოქმედობს.

ამიტომ პედაგოგმა იმისათვის, რომ სწორად დააყენოს თავისი პედაგოგიური მუშაობა, უნდა იცოდეს იმ ბავშთა თავისებურობანის, რომლებთანაც იგი მუშაობს.

ვიზიკური განვითარების თავისებულობანი.

კონსტიტუცია.

ორგანიზმის ძირითად თავისებურობათა ჯამს, რომლითაც განისაზღვრება ორგანიზმის რეაქციის ხასიათი მასზე მომქმედ გამოიზიანებლება, — კონსტიტუცია ეწოდება. ამეამად არსებობს ძირითადი კონსტიტუციონალური ტიპების კლასიფიკაციათა მთელი რიგი. განსაკუთრებით გავრცელებულია ზიგოს და კრეჩმერის კლასიფიკაციები.

ზიგო არჩევს კონსტიტუციის ოთხ ტიპს: საჭმლის მომნელებელი, კუნთებრივი, სუნთქვითი და ნერვული, ანუ ტვინის.

საჭმლის მომნელებელ ტიპს ახასიათებს არაპროპონალურად დიდად განვითარებული მუცლის არე, შედარებით პატარა სხეული, მოკლე და სხევილი კიდურები, მოკლე და სქელი კისერი და კარგად განვითარებული სახის ქვედა ნაჭილი. ამ ტიპის ადამიანები, რომელთაც ფრანგები ხარებს ადარებენ, გამოსადევი არიან ხანგრძლივი, მაგრამ ნელი, მძიმე მუშაობისათვის.

სუნთქვით ტიპს ახასიათებს კარგად განვითარებული სასუნთქი აპარატი, კერძოდ, გულის ყაფაზის დიდი მოცულობა. ამ ტიპის ადამიანებს, ჩვეულებრივ, ჰარმონიული აგებულება აქვს და ისინი განირჩევიან მოძრაობის სიმსუბუქით და მოხდენილობით. მათ აქვთ შედარებით გრძელი კილურები და გრძელი კისერი. მათთვის მეტად შესაფერისია ხანგრძლივი სამუშაო, მაგრამ ისეთი, რომელიც არ მოითხოვს ძალის დაჭიმვას.

კუნთებრივი ტიპი ხასიათდება კუნთების კარგი განვითარებით და სხეულისა და კიდურების ჰარმონიული აგებულობით. ეს ტიპი ისეთი სამუშაოსათვის არის გამოსადევი, რომელიც დიდ ძალას მოითხოვს, მაგრამ შედარებით ცოტა ხასს გრძელდება.

ნერვული ანუ ტვინის ტიპი განსხვავდება კუნთების და სასუნთქი აპარატის სუსტი განვითარებით, ძვლის სისტემის სისუსტით და სამაგიეროდ ნერვული სისტემის ცენტრალური აპარატის — თავის ტვინის — კარგი განვითარებით. ამ ტიპის ადამიანები, ჩვეულებრივ, ადვილად ეგუებიან ცხოვრების ახალ პირობებს, მაგრამ შუშაობენ არა ეკონომიკურად და მაღლ იღლებიან. ისინი გამოსადევი არიან ისეთი სამუშაოებისათვის, სადაც საჭირო არის გონიერი პროცესების მონაწილეობა.

კრეჩმერი არჩევს კონსტიტუციის სამ ძირითად ტიპს: ასტენტიურს, ატლეტიურს და პიკნიურს.

ასტენტიური ტიპის განმასხვავებელი ნიშნებია: სიგამხდრე, ვიწრო სახე, წვრილი ძვალი, გრძელი და ბრტყელი გულის ყაფაზი. გრძელი და წვრილი ხელები. ამ ტიპის წარმომადგენლებისათვის ღამაბასიათებელია ასეთი ოვისებები: გულჩახვეულობა, თავდაჭრილობა, სერიოზულობა, მორცებობა, მარტოობა, შშიშრობა, გაძლიერებული „ნაზი“ მგრძნობიარობა. ხანდაბან შათ ახასიათებს ახილებულ...ბა ან გულგრილობა, ემციონალური სიჩლუნგე, რაც გამოწვეულია შაოი მაოტოობისადმი მისწრაუებით.

ატლეტურ ტიპის ახასიათებს ფართო ბეჭები, დიდი გულის ყაფაზი, მაგარი მუცელი, შედარებით გრძელი კიდურები, ზომიერი ცხიმოვანი ფენა, კარგად განვითარებული კუნთები და გარკვეულად ძოხაზული ძვლის რელიეფი. ამ ტიპის ადამიანები, როგორც ასტენიკებს, მიღრეკილება აქვთ გულჩახვეულობისადმი.

პიჯიური ტიპი განსხვავდება ფიგურის სიმკვრივით, ფართო სახით, მოკლე სქელი კისრით, სხეულის შინაგანი არეების (თავის, მკერდის, მუცლის) ძლიერი განვითარებით. ცხიმოვანი მუცლით, მორგვალებული ბეჭებით, მოკლე და ფართო ხელებით. ამ ტიპის ადამიანებს ახასიათებს მხიარული, ხანდაბან ცოცხალი ყოფაქცევიდან გადასვლა წყნარ, დამშვიდებულ ყოფაქცევაზე, რომელსაც ხანდაბან ნაღვლიანობისა და დაჩაგრულობის ხასიათი აქვს, მათ ახასიათებს აგრეთვე საზოგადოების მოყვარულობა, სულიერი სითბო და ალერსიანობა სხვებთან ურთიერთობის დროს.

საკითხი ასაკზე დამოკიდებულებით კონსტიტუციონალურ თავისებურებათა შეცვლის შესახებ ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს საესებით გადაწყვეტილად, მხოლოდ ზოგიერთი მითითება გვიჩვენებს, რომ ზიგოს ტიპთა შორის ძეგლს ასაკში ცველაზე ბშირად ადგილი აქვს ნერვულ ტიპს ( $24\%$ -ს, იმ დროს კი, როცა უფროს ბავშებში ამ ტიპისა გვხვდება  $4 - 5\%$ ). დანარჩენი ტიპები უფრო ხშირად აშეარავდებიან უფროს ასაკში.

ბევრად უფრო დამუშავებული არის საკითხი ორგანიზმის ცალკე თავისებურობათა დამოკიდებულების შესახებ ასაკზე ზრდა, წონა, შინაგანი ორგანოების მოქმედება და სხვ..

### ორგანიზმის ზრდა.

პირველი, რაც აქ თვალში ხვდება კაცს, არის სიმაღლეზე ზრდა ორგორც მთელი ორგანიზმისა, ისე მისი კერძო ნაწილების. ადამიანის სიმაღლე განვითარების პროცესში იცვლება  $0,2$  მილიმეტრიდან (ჩანასახის სიმაღლე)  $49 - 50$  სანტიმეტრამდე (ახლად დაბა-

დღებულის სიმაღლე) და შემდეგ 158—172 სანტიმეტრამდე (25 წლი-  
ანი ასაკის სიმაღლე). ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ სიმაღლის ზრდა  
ერთნაირი არ არის სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდში.

აღმიანის ზრდის ხაზის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზრდის დაჩ-  
ქარებასა და დაყოვნებას ადგილი აქვს პერიოდულად, ისინი რიგ-  
რიგობით ცვლიან ერთმანეთს. პირველ წელს საგრძნობი ზრდის შემ-  
დეგ იწყება სამი წელი (2, 3, 4) დაყოვნებული ზრდისა, რომელ საც-  
მოსდევს ხანგრძლივობით თანასწორი პერიოდები — ჯერ სამი წელი-  
წადი ისევ ზრდის დაჩქარებისა (5, 6, 7) და მერე ახალი დაყოვნე-  
ბისა (8, 9, 10). თერთმეტი წლის ასაკიდან ჩვენ ისევ ზრდის დაჩქა-  
რებას ვამჩნევთ. მაგრამ იმ დროს, როცა ზრდის პირველ პერიოდში-  
(5—7 წლამდე) წლიური ზრდის მაქსიმუმს ადგილი პქონდა პერიო-  
დის ბოლოს, აյ მას აქვს ორი მწვერვალი: დიდი (ვაჟებისათვის 15-  
წელი, ქალებისათვის 13 წ.) და უმცროსი (ვაჟებისათვის 13 და ქალე-  
ბისათვის 11). დასასრულ, 14 წლიდან ქალებს და 16-დან ვაჟებს ეჭჩ-  
ნევათ ისევ ზრდის დაყოვნება, რომელიც ირლვევა მხოლოდ 18—20 წ-  
პერიოდს შორის.

ამ პერიოდულობის გარდა, ზრდის მრუდე ხაზის ანალიზი გვი-  
ჩვენებს ქალებისა და ვაჟების ზრდის განსხვავებას სხვადასხვა პერი-  
ოდებში. იმ დროს, როცა 10 წლას ასაკამდე მათი სიმაღლე დაახ-  
ლოვებით ერთნაირია, 10 წლიდან დაწყებული ქალები ზანდათან  
უსწრებენ ვაჟებს, 13 წლის ასაკში მაქსიმალურად არიან გასწრებუ-  
ლი და შემდეგ 15 წლის ასაკში ისევ ერთ სიმაღლეზე არიან ვაჟებ-  
თან, ხოლო 17 წლიდან საბოლოოდ უკან ჩებიან ვაჟებს სიმაღლის  
მხრივ, საშუალოდ 10—11 სანტიმეტრით.

მეორე მომენტი, რომელიც მეტაზ მკაფიოდ ხვდება თვალში-  
ყელას, ვინც ბავშის განვითარებას თვალყურს ადევნებს, არის სიგა-  
ნეზე, ზრდა, განსაკუთრებით გულმკერდის ყაფაზის გაფართოება. იმ  
დროს, როცა ახლადდაბადებულის მკერდის წრე უდრის 36 სანტი-  
მეტრს, მოზრდილის მკერდის წრე აღწევს 100 სანტიმეტრს, ე. ი.  
დიდდება  $2\frac{1}{2}$ -ზე მეტჯერ.

### პროპორციების შეცვლა.

ორგანიზმის ორი მიმართულებით (სიგრძე-სიგანეზე) ზრდის სა-  
ერთო ჯამი შესდგება სხეულის კალკ ნაწილებისა და ცალკე ორ-  
განოების განვითარებისაგან. თუ მოვახდეთ ამის შესახებ მოცემულ-  
თა ანალიზს, მეტად საინტერესო შედეგებს მივიღეთ: სხვადასხვა-  
ნაწილების და ორგანოების ზრდის სიჩქარე ერთნაირი არ არის.

სხეულის ცალკე ნაწილებისაგან ყველაზე მეტად გრძელდება (თავის პირვანდელ სიგრძესთან შედარებით) კისერი (9-ჯერ), შემდეგ ფეხები (5-ჯერ), ტანი ( $2\frac{1}{2}$ -ჯერ) და ყველაზე ნაკლებ თავი (ნაკლებ, ვიდრე ორჯერ). თუ ავილებთ არა შედარებით, არამედ აბსოლუტურ გადიდებას, მაშინ პირველ ადგილს დაიჭირს ფეხები, რომლების მომატება უდრის 70 სანტიმეტრს, ე. ი. ადამიანის მთელი ფიგურის გაგრძელების 60%, ს.

ამგვარად ჩვენი სხეულის პროპორციები განვითარების პერიოდში საცემით იცვლება და თანდათანობით ჩვენ თავკომალისაგან გარდავიქმნებით „ბუნების მეფედ“, რომლის ფეხები მთელი სიმაღლის ნახევარს შეადგენს.

პირვანდელი პროპორციის დარღვევის ანალიგიურ სურათს ვნახავთ ჩვენ შინაგანი ორგანოების განვითარების დაკვირვების დროსაც. ასე, მაგ., კუჭის ტევა ძხოლოდ სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში დიდდება რვაჯერ. გულის ბოლულობა ორჯერ იზრდება ორი წლის ასაკში, შემდეგ ისევ ორჯერდება 7-8 წლებში; 15—17 წლებში ხელახლა სამკეცდება და შემდეგ კი იმატებს მეტად უმნიშვნელოდ. ფილტვების მოცულობა 1 წლიდან 25 წლამდე დიდდება თითქმის სამჯერ.

მაგრამ, მიუხედავად სხეულის ცალკე ნაწილების და შინაგან ორგანოთა ზრდის სიჩქარეში განსხვავებისა, დაკვირვების დროს ჩვენ აქაც შეგვიძლია შევამჩნიოთ ერთგვარი პერიოდულობა. ასაკის ზოგი საფეხური იძლევა სხეულის უზიდეს მომატებას, იმ დროს კი სხვა საფეხურებში, პირიქით, სხეულის ზრდას დაყოვნება ან სოული შეფერხება ეტჩნევა.

### წონის მატება.

სხეულის გაგრძელებასთან შედარებით მთელი ორგანიზმის წონის მატება უფრო დიად სურათს იძლევა: დაწყებული 0,000003 (სამი მემილიონედი) გრამიდან (ჩანასახის წონა) და 3000 გრამიდან (ახლად დაბადებულის წონა) ადამიანი აღწევს საშუალოდ 69000 გრამს. ამგვარად, ჯერ კიდევ დაბადებამდე იგი შილიარდჯერ იმატებს; ადამიანის წონაში მთელი ბაზება (ჩასახვიდან სრულ მომწიფებამდე) უდრის 23 მილიარდჯერ გადიდებას.

წონის წლიდან წლამდე ცვლილებაში უფრო ძნელია იმ პერიოდულობის შეტანევა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ზრდის მრუდე ხაზის დაკვირვების დროს.

## ცვლილებანი ორგანიზმის შემადგენლობაში.

შემდეგი მომენტი, რომელიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშის ფიზიკური ორგანიზმის ჭაცნობის დროს, არის სხეულის ცალკე ნაწილების სხვადასხვა შემადგანლობა ასაკის სხვადასხვა საფეხურზე.

მაგალითად, ჩონჩხის განვითარება გაივლის ხოლმე მთელ რიგ თანამიმდევრობით სტადიებს: ძვლის სისტემა პირველად (ნაყოფის განვითარების პერიოდის დასაწყისში) წარმოადგენს ფშვნილ შემართებელ ქსოვილს, შემდეგ — ხროილს, უხვად განვითარებული სისხლის მილებით და მხოლოდ შემდეგ აღწევს სათანადოდ გამკვრივებულ მდგრამარეობას.

ამ თანდათანობით გამკვრივების პროცესის პარალელურად იცვლება ჩვენი სხეულის ქიმიური შემადგენლობაც: ჩანასახის სხეული შეიცავს  $94,5\%$  წყალს, ძუძუს ბავში —  $74,7\%$ , წყალს და  $2,24\%$  მინერალურ ნივთიერებას, მოზრდილი —  $58,5\%$  წყალს და  $7,29\%$  მინერალურ ნივთიერებას.

მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება სისხლის შემადგენლობაშიც. თუმცა სისხლის წითელი ბურთულები (ერიტროციტები) ახლად დაბადებულს აბსოლუტურად მეტი აქვს, ვიდრე მომწიფებულს ( $6000000$  1 კბ. მილიმეტრზე —  $5000000$  მაგიერ), მაგრამ სისხლის თეთრ ბურთულებთან შედარებით მათი რიცხვი ნაკლებია, ვიდრე მომწიფებულის სისხლში: 1 ლეიკოციტზე (თეთრი ბურთული) ახლად დაბადებულის სისხლში  $230$  ერიტროციტი, მოზრდილი ადამიანის სისხლში კი ერთ ლეიკოციტზე  $350$  ერიტროციტი მოდის.

ბოლოს ყველაზე უფრო საინტერესოა ის ცვლილებანი, რომლებიც ხდება ნერვულ სისტემაში. მართალია ტვინის ნერვული უჯრედების და ლარების რიცხვი უცვლელი რჩება დაბადების შემდეგ, მაგრამ სამაგეროდ ხდება თვით უჯრედების გადიდება და მათი აგებულების გართულება, რადგან თანდათანობით იმათვან გამოდის განსაკუთრებული დახლართული კოწოლები (დენდრიტები), რომლებიც აადვილებენ ნერვულ აღგზნების გადაკვემას.

გარდა ამისა თეთრ (გამტარებლურ) და ნაცროსფერ (უჯრედულ) ნივთიერებათა შეფასება ერთნაირი არ არის მომწიფებული ადამიანის და ბავშის ნერვულ სისტემებში: იმ დროს, როცა პირველი, ე. ი. თეთრი ნივთიერება, ასაკთან ერთად დიდდება  $3\frac{1}{2}$ — $4$  ჯერ, მეორე, ე. ი. ნაცრისფერი ნივთიერება, მხოლოდ  $1\frac{1}{2}$ -ჯერ. დასასრულ ნერვული გზების მეტად მნიშვნელოვანი ნაწილები, ეგრეთწოდებული ფლექსიგის

ასოციაციური ბოჭკოები, რომლებიც, ზოგიერთების აზრით, უმაღლეს გონიერების მიღწევათა საფუძველს წარმოადგენენ, — განსაკუთრებულად დიდი დაგვიანებით ვითარდებიან.

### ფუნქციონალური ცვლილებანი.

ამ ანატომიური ხასიათის ცვლილებებთან ერთად, ჩევნ თრგანიზმში, მისი ხანგრძლივი განვითარების დროს, ხდება არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციონალური ცვლილებანი.

სუნოქვის მოქმედებაში ჩევნ ვნახულობთ უპირველეს ყოვლისა სუნთქვითი მოძრაობის რიცხვის მნიშვნელოვანად შემცირებას ერთსა-დაიმავე ხნის განმავლობაში. ახლად დაბადებულს წუთში აქვს სუნ-თქვითი მოძრაობა 40-დან 45-მდე, მოზრდილს კი მხოლოდ 15—18-მდე. ამასთანავე იცვლება სუნთქვის „სილრმეც“, რაც განსაკუთრებით თვალ-საჩინოდ ემჩნევა ჰაერის იმ რაოდენობას, რომელსაც ადამიანი ისუნ-თქავს ერთი შესუნთქვით: ახლად დაბადებული დაახლოვებით — 25—40 კუბ. მ. და 3300—3400 — მოზრდილი.

სისხლის მიმოქცევის მოქმედებაში ჩევნ უპირველეს ყოვლისა ვამჩნევთ მაჯისცემის რიცხვის შემცირებას, ე. ი. გულის შეკუმშვის შემცირებას სისხლის არტერიაში გაღასროლის დროს: ახლადდა-დებულს შემჩნეული აქვს 95-დან (მინიმუმი) 156-მდე (მაქსიმუმი), მოზრდილს — 65-დან 70-მდე, გულისა და არტერიების არათანაბარი განვითარების გამო (უკანასკნელი უფრო ნაკლებად ფართოვდებიან, ვიდრე პირველი) ასაკთან ერთად იცვლება სისხლის წნევაც სისხლის მილებში. მოზრდილების სისხლის წნევა უდრის 140—150 მმ. სინ-დიყის სვეტის წნევას, ახლადდაბადებულთა — დაახლოვებით 65 მმ. მაგრამ მიუხედავად ამ სუსტი წნევისა, სისხლის მიმოქცევის სიჩქარე-ბავშვს ორჯერ მეტი აქვს, ვიდრე მომწიფებულს, იმიტომ რომ ტანი პატარა აქვს და სისხლის მილები შედარებით ფართო: ბავშის სისხ-ლის სრული მიმოქცევა ხდება 12 წუთში, მოზრდილის — 22 წუთში.

კუნთების აპარატის მოქმედებაში (გარდა საერთო კორდინა-ციისა, რომელზედაც ლაპარაკი ქვემოთ იქნება) შეიძლება მივუთი-თოთ შემდეგ ცვლილებებზე: 1) კუნთების შეკუმშვა მოზრდილებს უფ-რო ჩეარი აქვთ  $1\frac{1}{2}$ -ჯერ, ვიდრე ბავშებს, 2) კუნთების დაჭიმვის ოდენობა საზურგე კუნთებთან იზრდება 20 კგ. (6 წლის ასაკის ბავშს) 10 კილოგრამაზე (16 წლის ასაკის); ხელის კუნთებთან 9 კგ. (6 წლიანის) 39 კილოგრამაზე (16 წლისას).

მნიშვნელოვან ცვლილებებს აქვს ადგილი აგრეთვე ჯირკვლების: მოქმედებაშიც. უკანასკნელ ხანგბში დამტკიცებულად არის მიჩნეული,

რომ დიდი მნიშვნელობა აქვთ ფარისებრი ჯირკვლების სექტეციებს, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ტვინის სართი ფარისებრი ჯირკვლები, ჩიყვისა და სხვ.

გარდა ამისა, ზოგიერთი ჯირკვლები, რომლებიც თავის წვენს გარეთ უშვებენ, იმავე დროს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს წარმოადგენენ. ასეთებია, მაგ., სქესობრივი ჯირკვლები, კუტექვეშა ჯირკვალი და სხვ.

უკანასკნელ ხანებში მეცნიერთა უმრავლესობა იმ აზრისაკენ იხრება, რომ ყოველი ორგანო, ორგანიზმის ყოველი ქსოვილი შეიძლება ყოველი უჯრედიც გამოყოფს განსაკუთრებულ ნივთიერებას; რომელიც ხელება სისხლში, ვრცელდება მთელ ორგანიზმში, სადაც იწვევს სხვადასხვა ქიმიურ რეაქციას. ამ ორგანოებისა და ქსოვილების მიერ ვამოშვებულ სითხეებს გორმონები ეწოდება. ამ გორმონების შემაღებენლობა და მოქმედება განსხვავდება ერთმანეთისაგან იმისდამიხედვით, თუ რომელი ჯირკვალისაგან ან ქსოვილისგან არის გამოყოფილი.

გარდა ამისა, სხვადასხვა ჯირკვლების გორმონები ურთიერთ-ზე გავლენას ახდენენ — ან აძლიერებენ, ან ასუსტებენ ერთი-მეორეს, რისი შედეგიც არის ორგანიზმის აგებულების და მოქმედების რთული და სხვადასხვაგარი თავისებურობა. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში ჩვენ ვხდებით მათი მოქმედების გაძლიერებას ან შესუსტებას — სიცოცხლის სხვადასხვა პერიოდების მიხედვით. ფარისებრი ჯირკვალი, მაგ., გაძლიერებულად მოქმედობს ასაკის შემდეგ პერიოდებში: 1/2, წლიდან — 2 წლამდე, სქესობრივი მომწიფების პერიოდში და მის წინა ხანაში.

ჩიყვის ჯირკვლების ზრდა გრძელდება მხოლოდ სიცოცხლის პირველ წლებში; სქესობრივი მომწიფების დასაწყისიდან კი იწყება. ამ ჯირკველის უკულმა განვითარება (ინვოლიაცია). პირიქით, სქესობრივი ჯირკვლების გაძლიერებულ მოქმედებას ადგილი აქვს სწორედ სქესობრივი მომწიფების დაწყებიდან.

### პრაქტიკული დასკვნები.

ამ ცელილებათა პრაქტიკული მნიშვნელობა მეტად დიდია.

ზრდის და წონის გადიდების ტემპის განსხვავება იწვევს მეტად მნიშვნელოვან შედეგს: ცვლილებას ორგანიზმის მიერ გამოცემულ სითბოს რაოდენობაში. სითბოს ოდენობა დამოკიდებულია არა მარტო სითბოს ზედაპირზე, არამედ წონაზეც, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, იგი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ზედაპირის ზომასთან, რომელიც

წონის თითო ერთეულზე მოდის. ამ მიმართულებით მოხდენილმა გა-  
მოანგარიშებამ გვიჩვენა, რომ, იმ დროს, როცა მოზრდილს წონის  
ურთ კილოგრამზე მოდის სხეულის ზედაპირის. მხოლოდ 200 კვ. სან-  
ტიმეტრზე ცოტათი მეტი, ახლადდაბადებულს მოდის 700-ზე მეტი.  
აქედან კავალია, რომ აშუქებით დაკარგული სითბოს აღსაღენად,  
ბავში საჭიროებს მასაზრდობელი მასალის და მის მოსანელებლად  
საჭირო-მეტადის სრულიად სხვა შედარებით რაოდენობას (ანდა  
ზელოვნური ზომების გაძლიერებას სითბოს დაკარგვის წინააღმდეგ:  
თბილ ტანისაცმელს, მაღალ ტემპერატურას ბინაში და სხვ.). ამას-  
თანავე ეს იწვევს ბავშის ჩქარა დალალვას. ტუმცა, მეორე მხრივ,  
ბავშის სისხლის მიმოქცევის თავისებურობა იწვევს დაკარგული ძა-  
ლის უფრო ჩქარ აღდგენას: მომუშავე კუნთის მიერ გამოყოფილ  
შხამიანი ნივთიერებანი (კენოგენები) სისხლის ჩქარ მოძრაობას მაღე-  
გად ააქვს ზედა თირკმელის ჯირკვლებთან, საღაც ხდება მათი ნეი-  
ტრალიზაცია უკანასკნელთა მიერ გამოყოფილი სითხით — ადრენა-  
ლი ნით.

საძელო-კუნთებრივი სისტემის განვითარებაც სრულიად ცვლის  
ასაკის მიხედვით ადამიანის როგორც მუშის ტიპს: უმწეო არსებიდან  
მას გარდაქმნის ცოცხალ მანქანად, რომელსაც საფუძვლად აქვს მა-  
გრი, წინააღმდეგობის გადამტანი ჩონჩხა და სხვადასხვა მიმართუ-  
ლებით მოძრავი ოწინარებით (კიდურები).

დაბოლოს, ღრმა ცვლილებები ნერვულ სისტემაში და შინაგანი  
სეკრეციის ჯირკვლების მოქმედებაში იწვევს მოზარდის ფსიქიური  
პიროვნების ძირითად შეცელას: თანდათანობით მას ფართო შესაძ.  
ლებლობას უხსნის გარემო წრის აქტიურად შეჩვევა-შეგუებისათვის  
და ხდის მას თავისი მუშა მექანიზმის ავტორეგულიატორად.

ამგვარად, ადამიანის ფიზიური განვითარების პროცესი ჩვენ  
უნდა განვიხილოთ არა როგორც ოდენობრივი გადიდება მისი სხეუ-  
ლისა, ცალკე ორგანოებისა და მათთ მოქმედებისა, არამედ, როგორც  
ღრმა თვისებრივი შეცვლა მთელი ანატომიური სტრუქტურისა და  
მისი ფუნქციონალური მომენტებისა: ჩვენ უფლება წგვაძვათ,  
რომ, როცა ბავშს მისი ცხოვრების სხვადასხვა ჰერიოლში მივუდგე-  
ბით, ყოველთვის ვხვდებით ორგანიზმის არსებითად სხვა ტიპს.

### განვითარების პერიოდი.

ამჟამად ცხოვრებაში თანდათან ვრცელდება შეხედულება, რომ  
ჰბილების ამოსვლა მეტად სიმპტომატიური არის იმ ღრმა ცვლილე-  
ბათა გამოაშკარავების მხრივ, რომელთაც აღვილი აქვთ ორგანიზმი

და რომელნიც, შეიძლება, ზრდის მოვლენისათვის ძირითად ცვლილებას წარმოადგენდენ. ამ აზრის მიხედვით ბავშობის ხანა აღვილად იყოფა შემდეგ სამ პერიოდათ:

1) უკბილო ბავშობა, 2) სარძეო კბილიანი ბავშობა და 3) მუდმივკბილებიანი ბავშობა. თითოეული ეს პერიოდი თავის მხრივ შეიძლება გაყოფილ იქნეს რამდენიმე სტადიად. მაგ., უკბილო ბავშობის პერიოდი შეიძლება გაიყოს სტადიებად: а) აღრიანი უკბილო ბავშობა (პირველი უბილების ამოჭრამდე დაახლოვებით 6—8 თვით აღრე) და ბ) გვიანი უკბილო ბავშობა (სარძეო კბილების საბოლოო განვითარებამდე და ამოჭრამდე, მაგ., 2—2 $\frac{1}{2}$  წლისათვის). სარძეო კბილიანი ბავშობა თავის მხრივ შეიძლება გაიყოს ორ პერიოდად:

ა) აღრიანი სარძეოკბილიანი ბავშობა (მესამე საძირო კბილისან პირველი მუდმივი კბილების ამოჭრამდე — 4 $\frac{1}{2}$ , — 6 $\frac{1}{2}$  წლებს შორის, და ბ) გვიანი სარძეო კბილიანი ბავშობა (სარძეო კბილების გაცვლამდე 6—8 წლებში). მუდმივკბილიანი ბავშობაც შეიძლება გაიყოს სტადიებად კბილების ზრდის მიხედვით (სარძეო კბილების დაცვლა) მეორე უკანა კბილების ამოჭრა, სიბრძნის კბილის ამოჭრა). მაგრამ პრაქტიკულად ბევრად უფრო მნიშვნელობა აქვს სხვაგვარ დაყოფას, რომელიც საერთოდ შეეფარდება პირველ დაყოფას, სახელდობრი მუდმივკბილიანი ბავშობა შეიძლება გაიყოს 3 ხანად: 1) პერიოდი სქესობრივი მომწიფების დაწყებამდე (ვაჟებისათვის ჩვეულებრივ 13—14 წელიწადი), 2) სქესობრივი მომწიფების სტადია (ვაჟებს უგრძელდება 3 წლამდე), 3) სქესობრივად მომწიფებული, მაგრამ ჯერ კიდევ მოზარდი (თუმცა ძალიან ნელი) ორგანიზმის მდგომარეობის სტადია.

### სიცოცხლის პირველი წელიწადი.

საერთო დახასიათება. პირველ პერიოდს ოთხი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი აქვს: ბავში ამ ხანაში იკვებება თედის რძით ან მისი შემცვლელი სუროვატებით; მას არა აქვს კბილები, იგი არ დადის და არ ლაპარაკობს; მაშასადამე, ეს პერიოდი შეიძლება დაბასიათდეს, როგორც ძუძუს, უკბილო, მცირედობრავი და უენო პერიოდი.

რამდენადც ჩვენი თანამეტროვე ცოდნის მდგომარეობა ამაზე ძალისადეგია ჩიყვის ფარისებრი და ფარისებრი ჯირკვლების ახლო მდებარე ჯირკვლები.

ფარისებრი ჯირკვლის აპარატი საქმაოდ განვითარებული აქვს ფუნქციონირობისათვის უკვე ექვსი თვის ნაყოფს; 8—9 თვისათვის მისი განვითარება მთავრდება. სეკრეტის (წვენი, ომელიც გორმონს შეიცავს) შემუშავება საგრძნობლად მატულობს ხნოვანებასთან ერთად, სიცოცხლის პირველ თვეებში კი უფრო სუსტად არის გამოხატული.

რაც შეეხება საჩიუვე ჯირკვალს, ომლის მოქმედების შესახებ ჩვენი ცნობები განსაკუთრებით ნაკლებად არის სარწმუნო,— მაინც შეიძლება ითქვას, რომ იგი არის უმთავრესად ნაადრევი ბავშობის ჯირკვალი, საერთო არადიფერენციული ზრდისა და განვითარების ჯირკვალი. მისი გავლენა ორგანიზმზე უმთავრესად იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოზარდ თრგანიზმის ეკონომიკაზე განსაზღვრულ გავლენას ახდენს, განსაკუთრებით ძვლების ზრდაზე, ჩონჩხის გამკვრივებაზე; იგი ასუსტებს სისხლის წნევას და წარმოადგენს იმ თრგანოს, რომელიც აძლიერებს სისხლის თეთრი ბურთულების (ლიმფოციტების) შემუშავებას. ჩიუვის ჯირკველი მცირდოდ არის დაკავშირებული ორგანიზმის კვებასთან. ორგანიზმის დამასუსტებელი ქრონიკული სნეულებანი, ხანგრძლივი შიმშილობა იწვევენ ამ ჯირკველის ატროფიულ პროცესებს.

ფარისებრი ჯირკვალის ახლო მდებარე ჯირკვლები უმთავრეს როლს ასრულებს ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაში, კერძოდ კირისებური მარილის გამოყოფაში (ძვლების გამკვრივება).

გარდა ამ ჯირკვლებისა, უნდა აღნიშნოთ ჯალლუზისებრი ჯირკვალი, რომელიც ზრდის ჯირკვალს წარმოადგენს და აქვეითებს და ასუსტებს სქესობრივი ჯირკვლების მოქმედებას.

ყველა ეს ჯირკველი ურთიერთზე ზეგავლენას ახდენს. ჩიუვის ჯირკვალი, ჯალლუზისებრი და ფარისებრი ახლო მდებარე ჯირკვლები შეადგენენ ურთიერთ განმამტკიცებელ ჯირკვლების სისტემას და ამავე დროს შემაფერხებელ გავლენას ახდენენ ფარისებრ ჯირკვალზე, ამიტომ თეორიულად აღვილი დასაშეგია, რომ, მოქმედ ჯირკვალთა ასეთი განწყობილების გამო. ძუძუს ბავშის თვალსაჩინო განსაკუთრებულებას წარმოადგენს—საერთო არადიფერენციული ზრდა—ზემოდასახელებული სამი ჯირკველის სისტემატიური ზეგავლენის გამო, და ფარისებრი ჯირკვლის არასაკმაო მოქმედებიანობის გაზო—შინაგანი შომწიფების (მეტამორფოზა) პროცესის სისუსტე.

სინამდვილეში ჩვენ ასეთ სურათს ვხედავთ: ძუძუს ბავში ენერგიულად იზრდება პირველი წლის განმავლობაში; მაგ., დაბადებისას მისი სიგრძე საშუალოდ 50 სმ. უდრის, წლის დასასრულის—75 სმ.

ე. ი. 50% ემატება; წონა კი უფრო საგრძნობლად იზრდება: ახალ-დაბადებული საშუალოდ იწონის 3,5 კილოგრამს, წლის დასასრულს კი—9 კილოგრამს.

ამასთანავე ბავშვს მეტად ორიგინალური ფიგურა აქვს: შელარებით გრძელი ტანი და მოკლე ფეხები; მოზრდილი აღამიანის ფეხები უდრის დაახლოვებით მისი სიმაღლის ნახევარს, ახლადდაბადებულის ან უსუსური ბავშისა კი—მთელი სიმაღლის მხოლოდ ერთ მესამედს.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს დიდი თავი, მოკლე კისერზე დასმული; ახალდაბადებულის თავი უდრის მისი სიმაღლის ერთ მეოთხედს, მოზრდილი აღამიანის თავი კი—სიმაღლის მხოლოდ ერთ მერვედს.

რომ გავზომოთ არა მარტო სიმაღლე ბავშისა, არამედ მისი მკერდის წრეც, აღმოჩნდება, რომ უკანასკნელი, ე. ი. მკერდის წრე, სიმაღლის ნახევარზე მეტი არის; ამასთანავე მკერდს აქვს კონუსისებური ფორმა და მისი სიგანის დიამეტრი თითქმის ეთანაბარება სიმაღლის დიამეტრს, ასე რომ მრგვალია და არა შებრტყელებული შეკუმშული, როგორც მოზრდილის მკერდი.

მაგრამ ჩიყვის ჯირკვალი, რომელსაც უმთავრესი მდგომარეობა უჭირავს ამ ხანაში მომქმედ ენდოკრინულ ჯირკველთა შორის,—დიდ როლს ასრულებს სისხლის ლიმფატიური ელემენტების, ე. ი. თეთრი ბურთლების; განვითარებაში. თუ შევადარება ერთმანეთს ამ მხრივ მოზრდილ აღამიანს და ძუძუს ბავშს, აღმოჩნდება, რომ იმ დროს, როცა მოზრდილი აღამიანის 1 კუბ. მილიმეტრ სისხლში 5000000 სისხლის წითელ ბურთულზე 5—8 ათასი თეთრი ბურთული მოდის, ძუძუს ბავშს, განსაკუთრებით ახალდაბადებულს, ამავე რაოდენობის წითელ ბურთულებზე 22000-მდე სისხლის თეთრი ბურთული მოდის.

ამ გარემოებას დიდი კონსტიტუციონალური მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ, თუ ბავშს სისხლის წითელი ბურთულები შედარებით ცოტა აქვს და თეთრი ბურთულები ბევრი,—ამას შედეგად ჰყვება გამჟავების პროცესის შესუსტება ორგანიზმში, შესუსტება ნივთიერებათა საერთო გაცვლა-გამოცვლის, რის გამო შეუთვისებელი მასაზრდოებელი ნივთიერება გრივდება ცხიმად, სითხე არასაკმაოდ ენერგიულად გამოდის ორგანიზმიდან და ამ სითხით იულენთება ქსოვილები.

ამით აიხსნება ის, რომ ახალდაბადებული მდიდარია ცხიმით.

მიუხედავად სისხლის თეთრი ბურთულების დიდი რაოდენობისა, მრავალბირთვიანი ლეიკოციტების რიცხვი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ გადამდებ სწორებასთან ორგანიზმის ბრძოლაში, ძუძუს ბავშს ბევრად ნაკლები აქვს, ვიდრე მოზრდილს, რის გამო

ბავშები, აღრიან ასაკში, ნაკლებ წინააღმდეგობას უწევენ გაღამდებ სნეულებას.

რაც შეეხება ძუძუს ბავშის ორგანიზმის სხვა ფუნქციონალურ თავისებურობათ,—მათ შორის მნიშვნელოვანია: გულის გახშირებული მოქმედება (140 კვეთება 1 წუთში) სისხლის სუსტად წნევის დროს; სასუნთქი ცენტროს არასაკმაო განვითარების და არარეგულარული მოქმედების გამო—გახშირებული სუნთქვა (40-დან 50-მდე 1 წუთში, ექვსი თვის ასაკის ბავშს კი—30-35).

ძელები გამკვრივების დასაწყისშია: ახალდაბადებულის წინა-ტერფის ძელები, კუდუსებრი მალები, მუხლის ფირფიტა და ზოგი სხვა ხრტილისაგან შესდგება. გრძელი ძველების ეპიფიზები—ჟველა ბოლო ფირფიტებია. მხოლოდ ბარძაყის ქვემო ნაწილში არის ძვლის გამკვრივების ბირთვი.

ძვლის გამკვრივების პროცესი ძალიან ნელია.

ჟველაფერი, რაც ახლა ითქვა, გვიჩვენებს, თუ რა მჭიდრო კავ-შირი არის საასაკო კონსტიტუციონალურ თავისებურებათა და შინა-განი სეკრეტის ჯირკვალთა ამა თუ იმ ჯგუფის მოქმედებას შორის.

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის გასაგები ხდება ზოგიერთი ავად-მყოფური გადახრები ბავშის განვითარებაში; ეს გადახრები საკმაოდ ხშირად გვხვდება ბავშის ნააღრევ ასაკში და მათი გავლენა ბავშს დიდხანს, ხშირად მთელი სიკოცხლის განმავლობაში ატყვია.

აი, მაგ. ჩვენს წინაშე არის ბავში მკრთალი, ნაზი კანით; კან-ქვეშა უჯრედი იძლევა მკაფიოდ გამოხატულ დაცხიმოვანებას, სიმ-სუქნეს. მისი ქსოვ-ლები იღვილად იკავებენ წყალს და ამის გამო ხშირად ასეთი ბავში ჩქარა მატულობს და წონაში უსწრებს თავის ტოლებს. მაგრამ ასეთი მომატება, რა თქმა უნდა, არ არის კარგი ჯანმრთელობის ნიშანი: იგი მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ნივთიერებათა ცვლის პროცესი მოღუნებულია.

კუნთები არის სუსტად განვითარებული, ლიმფატიური ჯირკვლები გადიდებულია—და ბავში საერთოდ მიღრეულია დაავადებისაკენ.

სასქესო ჯირკვლები ჩვეულებრივ სავსებით ვერ უვითარდება ასეთ ბავშებს, მეორედი სასქესო ნიშნები სუსტად აქვთ გამოხატული, მენსტრუაცია ქალებს ეწყებათ სალიან გვიან და ძალიან მტკიცნეული აქვთ, სქესობრივი გრძნობა სუსტად აქვთ განვითარებული.

ჩვეულებრივ, ესენი არიან მხდალი, არადამოუკიდებული, მცონა-რი და აპატიური; სასიკოცხლო ტონუსი დაწეული აქვთ და მათი უსუსურობა და მოთენთილობა თვალში გვხვდება. ფსიქიურად ვერ არიან ხშირად საკმაოდ განვითარებული და ზოგიერთი სტატისტი-

კური ცნობებით თვითმკვლელთა 48%-ს ასეთი ტიპის ხალხი შეადგენს.

ჩიყვის ჯირკვალის ზემომყვანილი დახასიათება გვაფიქრებანებს, რომ აქ საქმე გვაქვს ამ ჯირკვლის გაძლიერებულ მოქმედებასთან. მეღიცინის ცნობები ამას სავსებით ადასტურებს: ასეთ შემთხვევებში ყოველთვის შემჩნეულია ჩიყვის ჯირკვლის გადიდება და მისი მოქმედების გაძლიერება. გარდა იმისა, გაძლიერებულია, რა თქმა უნდა, ფარისებრი ჯირკვალის ახლო მდებარე ჯირკვლების მოქმედებაც; ამის გამო ხდება ორგანიზმში კირის (კალციუმი) მარილების გაძლიერებული გამოყოფა, ამ მარილების იონები კი, როგორც დამტკიცებულია, აქვეითებენ ნერვული და კუნთებრივი ქსოვილების აღგზნებულებას.

ხშირად გვხვდებიან ბავშები ავალმყოფური მოშლილობის სრულიად საწინააღმდეგო ფორმით. ასეთი ბავშები ჩვეულებრივ გამხდრები არიან, ნერვული სისტემის რეაგირება გაძლიერებული ან დაქვეითებული აქვთ; ეს ხანდახან გამოიხატება მანიაკალურ მდგომარეობაში.

ისინი ვითარდებიან ფუნქციონალურად თავის ნორმალურ ტოლებზე აღრე: აღრე სწევენ თავს, აღრე იწყებენ ჯდომას, სიარულს, ლაპარაკს. ხშირად დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს — მათი მიღრეკილება კრუნჩხვისადმი.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ფარისებრი ჯირკვლის ახლო მდებარე ჯირკვლების დაქვეითებულ მოქმედებასთან და, მაშასადამე, კალციური მარილის სისხლში არასაქმაო გამოყოფასთან. ამის გამო ძვლების გამკვრივების პროცესი მეტად ნელა და სუსტად მიღის და რაღვან ასეთი ბავშები ძალიან მოძრავი არიან, აღრე იწყებენ წამოდგომას, ამიტომ ხერხემლის დნ ფეხების სუსტი ხრტილოვანი ძვლები ვერ იჭერენ სხეულის სიმძიმეს, რასაც შედეგად ჰყვება ყოველგვარი გაღუნვა ხერხემლის, გულის ყაფაზის და ფეხებისა. ამ ყველასათვის ცნობილ არანორმალობას რახიტი, ანუ ინგლისური ავალმყოფობა ეწოდება:

### ჩვილი ბავშის ნერვული სისტემა.

მეცნიერთა შორის განმტკიცებულია აზრი, რომ ახლადდაბადებული ზურგის ტვინის არსებაა. ეს არ არის სავსებით მართალი. უმცვოა, რომ მოგრძო ტვინი საკმარისად მოქმედობს, ვინაიდან ცენტრები, რომლებიც აწესრიგებენ სუნთქვას, სისხლის მიმოქცევას, ყლაპვას, წოვას და სხვ. ფიზიოლოგიურ ფუნქციებს, ურომლებისოდ ახალდაბადებულს არ შეუძლია ცხოვრება,— მოთავსებულია მოგრძო.

ტვინში; ნაწილობრივ მოქმედობს საშუალო ტვინიც, მაგრამ თავის ტვინის ჰემისფეროები ჯერ კიდევ არ ფუნქციონირობენ.

და მართლაც, ახალდაბადებულის ყოფა ქცევის დაკირვება გვაჩვენებს, რომ მას ჯერ კიდევ არა აქვს გარკვეული კოორდინალური მოძრაობანი, პირიქით, ყოველ ცალკე გაღიზიანებაზე იგი სხვადასხვაგვარი მოძრაობის სახით.

რაც შეეხება ხერხემლის ტვინს და მოგრძო ტვინს, ისინი საკმაოდ მომწიფებული არიან და ამ დარგში რეფლექსებს აქვს ადგილი, ისე, როგორც თავმოკვეთილ ბაყაყში ან სხვა ცხოველში. კერძოდ განვითარებული არის, როგორც დამტკიცებულია, კანის მგრძნობიერობა. ბავშვს რომ ხელის გულზე მოვუხიცინოთ, იგი ხელს მოკუმშავს. თუ ფეხის გულზე მოვუხიცინებთ — იგი ფეხის თითს მოკუმშავს, ხოლო დიდ თითს მაღლა გადალუნავს. განსაკუთრებული მგრძნობიარობა აქვს სახის კანს: საკმაოა შეეხოთ ბავშის ტუჩებს, და იგი მაშინვე წოვის მოძრაობას დაიწყებს; თუ შეეხეთ ლოყას, ბავში სწრაფად მოაბრუნებს სახეს თქვენები და ცდილობს პირით დაჭრას.

ტემპერატურულ გაღიზიანებას ბავში შედარებით სუსტად ითვისებს. თუმცა ტემპერატურის მკაცრად შეცვლას ბავში, უკეთესია, ასე თუ ისე უპასუხებს. კერძოთ, ახლადდაბადებულის პირველი ყვირილი, როგორც ეტყობა დაკავშირებულია ტემპერატურის მკაცრ შეცვლასთან.

უკეთესია, რომ ბვშს აქვს გემოვნებით ხასიათის გაღიზიანების თვისებაც. ძალიან ფრთხილად მოხდენილი სპეციალური გამოკვლევები გვაჩვენებს, რომ ბავში სხვადასხვა რეაქციის იძლევა ტკბილსა და მწარეზე, მუავესა და მარილიანზე. მაგ. დააწვეთებენ ბავშს ენაზე შაქრის ხსნილს; იგი მაშინვე იწყებს ყლაპვითს მოძრაობას; თუ დავაწვეთებთ ქინაქინის ხსნილს, იგი დაიწყებს განშორებითს მოძრაობას. ჩვენ აქ საქმე გვაქვს უდავო რეფლექსებთან, რომელიც დაკავშირებულია ამ გვარის გაღიზიანებებთან.

ყნოსვითი გაღიზიანებების რეაქციაზე მოხდენილ იქნა ცდები, რომელიც გვაჩვენეს, რომ დაბადების პირველ დღეებშივე, თუ დედის მკერდს წავუსვით რაიმე ცუდი სუნის ნივთიერება, ბავში ალარ მიეკარება ძუძუს და ზურგს შეაქცევს. ასეთი გაღიზიანება, იწვევს განსაზღვრულ რეფლექტორულ მოძრაობას. ამგვარად, ბავშის შეხება, გემოვნება და ყნოსვა ფუნქციონირობენ.

რაც შეეხება უმაღლეს ინალიზატორებს — სმენისა და მხედველობისა, — აქ მდგომარეობა უფრო როტლია; უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არვიცით, რა მდგომარეობაში აქვთ ისინი. ახლადდაბარ

დებულთ. ჩვეულებრივ სთვლიან, რომ ბავში იბადება ყრუდ, მაგრამ რაში მდგომარეობს ეს სიყრუე—ჯერ კიდევ არ არის სწორედ და სავსებით გამორკვეული. ამბობენ, რომ მიზეზი მექანიკური ხასიათისაა, რომ სმენის გარეგანი მიღი ამოვსებულია საშვილოსნოს სითხის ნა-ლეკებით და როგორც კი გაიბანება კარგად ეს მიღი, ბავში იწყებს სასმენი გალიზიანების, ათვისებას. უფრო სწორია, როგორც ეტყობა, ის აზრი, რომელიც ახალდადებულის სიყრუეს აკავშირებს ყურის აგებულებასთან, ვინაიდან სასმენი პირველ ხანებში მიიმართება ვერ-ტიკალურად და ყურის დაფი სავსეა ლორწოთი. სმენის მიღის მდე-ბარეობის შეცვლის და ლორწოს შეწოვების გამო, ბავში, უეჭვოა, გამოუხმაურება სმენის გალიზიანებას.

მხედველობის ანალიზატორი ან ძალიან ცოტად ვარგა ან სრუ-ლიად უვარვისია მოქმედებისათვის. ბავშს ხშირად არ შეუძლია თვა-ლის კაკლის კონტაქტის მოძრაობა: ერთი თვალი ერთ მხარეს იხედება, მეორე—შეორე მხარეს. ცხადია, რომ ამ პირობებში მას არ შეუძლია დანახვა. გარდა ამისა, არ არის მომწიფებული ის გამტა-რებელი გზები, რომლებიც აერთებენ მხედველობითი ანალიზატორის პერიფერიულ ბოლოს ქერქის ბოლოსთან. ამიტომ, პირველ ხანებში, მხედველობითი ხასიათის რეფლექსები, როგორც ეტყობა, დაკავში-რებულია ოთხგორიაკის წინა ბორცვის მოქმედებასთან. საქმე ისაა, რომ მხედველობითი ტრაქტი, რომელიც მიიმართება ჰემისფეროების ქერქისკენ, იძლევა განტოტებას წინა ბორცვებისაკენ, რომლებშიც მოთავსებულია იმ თვალის მამოძრავებელი ნერვის ბირთვები, რომე-ლიც ახდენს კუნთების ინერვაციას და ატრიალებს თვალის კაკლებს. ამიტომ საკმაოდ მაღა შეიძლება იმის დაკვირვება, რომ ბავშები ძლიერი გალიზიანების ფიქსაციას იწყებენ. მაგ. თუ ავიყვანთ ბავშს ხელში და მიგალთ ფანჯარასთან, იგი დაიწყებს ფანჯარაში ცქერას; თუ იქვე ლამპას ავანთებთ, ბავში თავს მისკენ მოაბრუნება.

### პირობითი რეფლექსების გამომუშავება.

სხვადასხვაგვარი ბავშები სხვადასხვა პირობებში ვითარდებიან ან ნელა ან დაჩქარებით. ამასთან დამოკიდებულებით პირობითი რეფ-ლექსების შემუშავება შესაძლებელია ბევრად უფრო აღრეც დაიწ-ყოს. და მართლაც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვუკვირდებით ახალი დომინანტების გამომუშავების პროცესს, კერძოდ მხედველობითი და სმენითი დომინანტებისას. უკვე, მაგ. მეთორმეტე დღეს შეიძლება შე-ვამჩნიოთ დმგვარი მოვლენა: ბავში ტირის, მის მახლობლად იწყებენ ხმამალლა ლაპარაკის, ან ჯოხით ან სხვა რაიმეთი კაკუნს, და ბავში

ცოტა ხნით დაჩუმდება. ან ასე: ბავში ტირის, მას აჩვენებენ რაიმე: ბრჭყვიალა საგანს, ან უცებ აანთებენ სინათლეს, და იგი ისევ დაჩუმდება. რასთან გვაქვს აქ საქნე? უკველია—გარეგნული შეფერხების პროცესთან. ჩვენ გამოვიწვიეთ ახალი აღგზნების შემუშავება; ახალი დომინანტი, მხედველობითი ან სმენითი ხასიათისა და, ცხადია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ამ დომინანტების ბრძოლასთან პირველობისათვის: ცხადია, თუ ბავში შიგშილს ან ტკივილს გრძნობს, მაშინ ვერავითარი ელარუნით მას ვერ გაართობ. მაგრამ თუ საკვები დომინანტი ძალიან ძლიერი არ არის, მაშინ შეიძლება იგი დროებით გააყრუო, შეაფერხო. მაგრამ, შესაძლებელია აღგზნების კერათა შორის დამყარდეს კავშირიც და, მაშასადამე, შეიძლება შემუშავდეს პირობითი რეფლექსები. და მართლაც, ამას ადასტურებს დაკვირვებები, რომელიც გვიჩვენებს, რომ ბავში, როცა იგი აკვნიდან ამოჰყავთ, ჩუმდება და იწყებს წოვითი მოძრაობის კეთებას, თუნდაც ძუძუს არ აწოდებდენ. აქ რასთან გვაქვს საქმე? უკველია,— პირობით რეფლექსთან. როცა, მაგ. თერთმეტი დღის განმავლობაში ბავშს ხუთჯერ აჭმევენ დღეში ძუძუს, მაშინ, ორმოცდათჯერ აქვს ადგილი კავშირს—ბავშის განსახლერულ მდგომარეობასა და მისი კვებას შორის—წოვის უპირობო რეფლექსს შორის. ამის შედეგი ის არის, რომ საქმაოა ბავშს მისცეთ ისეთივე მდებარეობა (როგორც ძუძუს წოვის დროს), და მას ეწყება იგივე რეფლექსი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ იქნება უპირობო რეფლექსი, რადგან სათანადო გალიზრანება, ძუძუთი გალიზიანება ჯერ კიდევ არ დაწყებრლა. ამგვარად, მეორე კვირის დასასრულს და მესამე კვირის დასაწყისს ჩვენ უკვე შევანჩნევთ პირველადი პირობითი რეფლექსების შემუშავებას; მართალია, ჯერჯერობით ეს რეფლექსები უკველად სწორი არ არის, ამ დომინანტებს არა აქვს დიდი ინერცია და შალე იკარგება. მექანიზმების ბოლოს, მეოთხეს დასაწყისს პირობითი ოფლექსების შემუშავება უფრო გარევეული ხდება: ბავში იწყებს „ცნობას“. ასე, მაგ. როცა მასთან მისულ დედას დაინახავს, ბავში მისკენ მიიწევს, ხელებს გაუშვერს და ილიმება; ასევე გაულიმებს იმ ბოთლს, საიდანაც რძეს აჭმევენ, მიილტვის მისკენ და ცალილობს ჩაებლაუჭოს; მას შეუძლია „იკნოს“ ყოველგვარი გამლიზიანებელი, რომელიც ასე თუ ისე დაკავშირებულია მცირ კვების პროცესთან, კვების უპირობო რეფლექსთან.

შემდეგ, ასე ოთხ; ოთხ-ნახევარ თვეზე შეიძლება შეცმიჩნიოთ ამგვარი მოწლენა: ბავშს ყოველდღე წყალში ამოვლებული ბამბით ჰქმდენ, ეს იწვევს მოგერების რეფლექსს; რამდენიმე ხნის შემდეგ

საქმაოა მიხვიდეთ ბავშთან გამბით ხელში, და იგი დაიწყებს მოგერებითი მოძრაობის კეთებას (არიამოვი). აქ, რა თქმა უნდა, ჩვენ საქმე გვაქვს პირობითი რეფლექსთან, რომელიც დამუშავდა უპირობო მოგერებით რეფლექსზე. შემდეგ, სიცოცხლის პირველი წლის მეორე ნახევარში, პირობითი რეფლექსების განვითარება (დროებითი კავშირისა ყველა აღმგზნებ ზედაპირთან—თვალი, ყური, ცხვირი და სხვ.) წარმოებს უფრო ინტენსიურად, თუმცა არა ისეთი სისწრაფით, როგორც სიცოცხლის უგვიანეს პერიოდში. რა თქმა უნდა, პირველ ხანებში, როგორც ყველა რეფლექსი, ბავშის პირობითი რეფლექსიც გაივლის გენერალიზაციის სტადიას, ე. ი. ეს ცნობა, ჩვეულებრივ, სრულებით არ არის დიფერენციაქმნილი. დედის სახე ან ბოთლი პირველად შეიძლება ბავშს ეჩვენებოდეს განუსაზღვრელ ნათელ ლაქად, და მხოლოდ შემდეგ, მრავალჯერ განმეორების გამო, გამოიყოფა დეტალები—ფორმის, მოხაზულობის, ფერის და სხვ. ამიტომ, განსაზღვრულ ასაკმდე, ბავშები ჩვეულებრივ ვერ არჩევენ თავისიანებს უცხოსაგან და, თუ ხელის გაშვერა უკვე იციან, ერთნაირად მიდიან ყველასთან, ვინც კი ხელში იყვანს; მაშინ ისინი დაწყნარდებიან და ყველას ალერსით ეპყრობიან.

გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ მხოლოდ მერვე თვიდან იწყება იმ ბოთლის ფერისა და ფორმის გარჩევა, საიდანაც ბავშს რძეს აძლევენ, ე. ი. ამ დროს ბავში არჩევს მას—ფერითა და ფორმით განსხვავებულ, ბოთლებისაგან.

ცდები ხდება ამგვარად: ბავშის რძის ჭურჭელს ჩამოაცმევენ ხოლმე ერთ-ერთ ძირითადი ფერის, რომელიმე გეომეტრიული ფორმის ხის ან კარტონის ბუდეს.

ფერისა და ფორმის გარჩევის უნარის გამოსარკვევად კვების წინ ბავშს პერიოდულად უჩვენებენ, როგორც რძის ბოთლს, ისე სხვა ჭურჭლებს, რომლებიც განსხვავდებიან ფორმით, ფერით და სიდიდით.

ამასთანავე ჭურჭლისდა მიხედვით რეაქცია მტკიცდება ან არა; პირველი განმტკიცება გრძელდება 1 წუთამდე, შემდეგი კი—ნაკლებ: 5—10 წამი; კვება კი გრძელდება ჩვეულებრივ სრულ დაქმაყოფილებამდე, ე. ი. მანამდე. სანამ ბავში ბოთლს პირიდან არ გამოაგდებს.

ამის შედეგი ის არის, რომ ცხრა თვის ბავში არჩევს ფერებს: ლურჯს, ყვითელს, მწვანესა და წითელს და შემდეგ ფორმებს: კუბს, სფეროს, პრიზმას, ცილინდრსა და კონუსს.

ამგვარად, დაახლოვებით 8 თვის განმავლობაში ჩვენ საქმე გვაქვს გენერალიზაციაქმნილ რეფლექსებთან; მე 8—9 თვეზე იწყება

დიფერენციაციის პროცესები. ეს პროცესები ბავშვს შეიძლება მაღალ გაუქრეს საკმაოა, მაგ., სარძევე ბოთლი შეიცვალოს: წითელი—ლურჯით, და შემუშავებული რეფლექსი იწყებს ჩქარა გაქრობას. ეს სრულიად გარკვეულად უნდა გვექნეს მხედველობაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხანებში მუშავდება დიდიალი რეფლექსები. ბავშის პირველი წლის ცხოვრება დიდად საინტერესოა მეთვალყურისათვის, განსაკუთრებით ყელა ექსპერიმენტორისათვის, ვინაიდან აქ ჩვენ საქმე გვაქვს პირობითი რეფლექსების შექმნის წმინდა მეთოდისათან. ბევრად უფრო ძნელია პირიქითი რეფლექსების შესწავლა მოზრდილ აღამიანზე, რადგან იქ ხელს შეგვიშლის მეტყველების უნარი, ვინაიდან კაცს შეუძლია შეიმუშაოს პირობითი რეფლექსები—უშუალოდ პირობით რეფლექსებზევე, მას შეიძლება აეხსნას, თუ რა უნდა გააკეთოს, მის განკარგულებაშია პირობით რეფლექსთა დიდი მარაგი, მას შეუძლია მოისახროს, მიხვდეს, რასაც მისგან მოითხოვენ, გამოიგონოს და შეთხხას და სხვ. და სხვ. ძუძუს ბავშის პირობითი რეფლექსების შემუშავების სურათი ძალიან ელემენტარული და ნათელია, იმიტომ რომ მას ლაპარაკი არ შეუძლია და წინანდელ აღგზნებათა მარაგი მცირე აქვს. აი რატომ წარმოადგენს ეს ასაკი დიდ ინტერესს დაკვირვებისათვის: აქ ეყრება საფუძველი აღამიანის ყოფა-კცევის ძირითად ელემენტარულ ფორმებს.

ეს პერიოდი დიდ ინტერესს წარმოადგენს ყოველი მეთვალყურისათვის და კერძოდ პედაგოგისათვის, იმიტომ რომ იგი საშუალებას იძლევა მივწვდეთ ბავშის პიროვნების განვითარების საფუძველს; მასზე დაკვირვება კი სრულიად მისაწვდომია და არ მოითხოვს სპეციალურ ლაბორატორიებს და ხელსაწყოს (ინსტრუმენტებს).

### სოციალურ-ეკონომიური პირობების გავლენა.

წრისა და კერძოდ სოციალურ-ეკონომიური პირობების გავლენა ბავშის განვითარებაზე მეტად დიდია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ მხრივ კვების მნიშვნელობა. ამას შეიძლება კიდევ დავუმატოთ, რომ ბავშთა სიკვდილიანობა, ცხოველების რძით მათი კვების ღროს 7—8-ჯერ მეტია, ვიდრე დედის რძით გამოკვების ღროს.

და ამ ხანად კი, დიდ ქალაქებში დედების 70%, სხვადასხვა მიზნების გამო, ბავშებს თავისი რძით არა ჰქონდავს.

შენიშვნულია აგრეთვე, რომ რაზიტი უფრო ხშირად გვხვდება ხელოვნურად გამოკვებილ ბავშთა შორის. ამასთანავე ცოტა მნიშვნელობა არა აქვს არასაკმაო ან არაწესიერ კვებას. 1912 წელს ბერ-

ლინში ობოლ-ბავშთა გამოკვებამ აჩვენა, რომ მათი 37% რახიტით იყო დაავადებული.

გარდა ამისა დამტკიცებულია, რომ რახიტით დაავადების მიზებთა შორის დიდი მნიშვნელობა აქვს სინათლისა და ჰაერის უქონლობას.

ამგვარად, სათანადო კვება და სხვა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დიდ როლს ასრულებს ბავშის განვითარებაში.

ქვემომყვანილი ცხრილი გვიჩვენებს სხვადასხვა სწეულებისა-გან ბავშთა სიკედილიანობის დამოკიდებულებას სხვადასხვა სოცია-ლურ-ეკონომიურ პირობებში—ინგლისში 1911 წელს:

#### ავადმყოფობა

სიკედილიანობა 1000-ზე.

თანდაყოლილი სისუსტე . . . . .	12,9	უზრუნველყ. ოჯახებში და	48,9	მუშათა ოჯ.
გადამდები სენი . . . . .	1,2	" "	— 10,7	"
ტუბერკულოზი . . . . .	—	" "	— 5,3	"
კუჭის ავადმყოფობანი . . . . .	6,9	" "	— 40,7	"
სხვა ავადმყოფობანი . . . . .	14,0	" "	— 57,3	"

ოჯახის ეკონომიურად უზრუნველყოფის გავლენას ბავშებზე ძალიან ნათლად ასურათებს 1921 წელს ლენინგრადში შეკრებილი სტატისტიკური ცნობები შუშათა ოჯახების გამოკვლევის დროს. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფებში, საღაც მამების შემოსავალი თვეში 20 მან. ნაკლები არის, ბავშთა სიკედილიანობა შეადგენს 28,4%, სადაც 21—30 მანეთამდე შემოსავალი, სიკედილიანობა 25,4%-ზეა დაწეული, 31—50 მ. შემოსავალზე ბავშთა სიკედილიანობა შეადგენს 19,1% და დასასრულ, იმ მუშათა ჯგუფებში, რომელიც თვეში 50 მანეთზე მეტს იღებენ, ბავშთა სიკედილიანობა 11,5%-ს არ აღმატება.

დამტკიცებელია აგრეთვე ბავშთა სიკედილიანობის დამოკიდებულება ბინებში მჭიდროდ ცხოვრებისაგან. ასე, მაგ. ლენინგრადში 100 გადაცვლილ ბავშებ მოღის ბინაზე

0—1	მცხოვრებით — ერთ ოთახში —	11,11
1,5—2	" " "	25,87
2,3,5	" " "	34,40
3 და მეტი	" " "	41,89

ეს დამოკიდებულება, როგორც ეტყობა, ამჟამად ჩვენს საბინაო პირობებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს.

დასასრულ, ერთგვარ ეკონომიურ პირობებში დიდ როლს ასრულებს ძუძუს ბავშთა წესიერი მოვლა. ჩვენ ვიცით, რა ბევრი ბავში მცუოცება ჩვენში, განსაკუთრებით სოფლად, ფალარათისაგან და იმ

შემთხვევაში ხშირად მიზეზი არის არაწესიერი მოვლა: უსუფთაო შენახვა, ბავშის შეუფერებელი საჭმლით გამოკვება, მაგ. დალეჭილი პურით და სხვ.

### მეტყველების განვითარება.

ჩვენს მიერ დახასიათებული პერიოდი მეტყველების წინა პერიოდია, ე. ი. როცა ბავშს ჯერ კიდევ არ შეუძლია მეტყველება, ვერ ლაპარაკობს, მაგრამ შეცდობა იქნებოდა გვეთქვა, თითქოს ეს ის ასაკია, როცა ბავშს საშუალება არა აქვს ასე თუ ისე აგვისტის რაიმე ხმების საშუალებით. თუ ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ამ პერიოდის განაწევრებულ მეტყველებაზე, ყოველშემთხვევაში საერთოდ მეტყველების ნიჭის, უკუკელია, შეგვიძლია ლაპარაკი. რა არის მეტყველების ნიჭი? ეს არის ამა თუ იშ ხმების საშუალებით თავის განცდათა და თავის სურვილთა გამოხატვის უნარი, ამავე ხმების შემწეობით სხვებთან აზრის გაზიარების უნარი.

თუ ამ თვალსაზრისით მივუღებით ბავშის მეტყველებას, დავინახავთ, რომ დაბადების მომენტიდან იგი ფაქტიურად სარგებლობს მეტყველებით. ბევრი ცხოველი — ძროხები, ძალები, ფრინველებიც — ამა თუ იმ ხმების საშუალებით ერთმანეთთან ურთიერთობას იჭერენ. ეს უნარი აქვს ბავშსაც დღიდან მისი დახმარებისა, რაც ყვირილით გამოიხატება. ყვირილის შემწეობით, ე. ი. ძლიერი ამოსუნთქვით, რასაც თან სღევს სახმო სიმების რხევა, ბავში ცნობას იძლევა თავისი ორგანიზმის მდგომარეობის შესახებ: მოშივდება — დაიწყებს ყვირილს, შესცივდება — ყვირილს, დიდხანს წევს ერთ გვერდზე და მოუხერხებლობა იგრძნო — ისევ ყვირილს დაიწყებს. ეს არის ბავშის ურთიერთობა გარემოებასთან, პრიმიტიულ ფორმაში გამოხატული. მეტყველების ასეთი ფორმა — ყვირილის სახით — ბავშს აქვს, დაახლოვევით, 2-3 თვეს.

ორი-სამი თვის შემდეგ ბავშს რაღაც ახალი ემჩნევა. ეს ახალი არის — ტიტინი, ე. ი. მცირედ დიფერენცირული ბევრები, რომლებიც მოისმის არა მარტო მაშინ, როცა ბავში გამოხატავს თავის ასეთს თუ ისეთ მდგომარეობას, არამედ ხანდახან მაშინაც, როცა ბავში გამოკვების შემდეგ კარგ საერთო მდგომარეობაშია, ანდა ნააღრევად, გაიღვიძა, მაგრამ მშეირი არ არის; მაშინ ბავში იწყებს მრავალი სხვადასხვა ბევრის გამოცემას საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ჩვენ ვამბობთ, რომ ბავშმა ტიტინი დაიწყო.

მეტყველების ეს ფორმა — ტიტინი — დაახლოებით 7-8 თვეს გრძელდება. მე-7-8 თვეზე უკვე ემჩნევა სრულიად გარკვეული ბევრი-

თი შეთანხმების გამოცემა, ამასთანავე ჩვეულებრივ განსაკუთრებით ხშირია ბეგრითი შეთანხმებები: მა, პა, და; ბა. უკველია, ამ ხანას ეკუთვნის განსაკუთრებული მეტყველების განვითარების პროცესის დასაწყისი.

ეს პროცესი იწყება სხვისი სიტყვით გაგებით. ბავშვს უმუშავდება პირობითი რეფლექსები არა მარტო კონკრეტულ საგნებზე, უშუალოდ გამღიზიანებელზე, იგი არა მარტო მაშინ ეპოტინება დედას, როცა მას ხედავს, არამედ საკმაო შეეკითხოთ ბავშვს: „სად არის დედა? — რომ მან თავი იქით მიიბრუნოს, საითაც ეს გამღიზიანებელი (დედა) იქნება. ამგვარად აქ პირობით გამღიზიანებლებზე შემუშავებულია უკვე ახალი პირობითი რეფლექსები. როცა თქვენ შეეკითხებით: — „სად არის ბოთლი? — „ბავშვი იმაზე მიგითითებთ და, თუ ბოთლი ახლოს დგას და ბავშვი კარგად ხედავს, იგი სასიხარულო ხმებით ყვირის. ანდა თქვენ ეტყვით, რომ დედა მოვიდა; ბავშვი შეხედავს მას და სიხარულის ყვირილით გამოხატავს განსაზღვრულ მდგომარეობას. შემდეგ მეტყველების განვითარების ეს ფორმა — სხვისი ნათქვამის გაგება საკმაო სიჩქარით ვითარდება და წინ უძლვის იმ მდგომარეობას, როცა ბავშვი უკვე სიტყვებს წარმოსთქვამს განსაზღვრულ გამღიზიანებელთან დაკავშირებით.

პირველი ამგვარი ცდები რვა თვის შემდეგ იწყება. მაგრამ აქეე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცდებს ხშირად შეცდომაში შევყევართ. ბავშვი ხედავს დედას და ამბობს სიტყვას „დედა“. ყველას ჰკონია, რომ მან ეს სიტყვა სადღაც იკარგება; ბავშვი აღარ ამბობს სიტყვას „დედა“ და იწყებს სხვა ახალი სიტყვების წარმოთქმას. „ბაბა“, „მამა“. ეს სიტყვები შეიძლება შეეფარდებოდეს გამღიზიანებელს და შესაძლებელია არ შეეფარდებოდეს. ბავშვი დაუსრულებლად იმეორებს სიტყვა „მამა“. ს, მაგრამ, როცა მიუთითიბენ მასზე და შეეკითხებიან — ეინ არის იგი? — ბავშვი ამაზე არაფერს ამბობს ან წარმოსთქვამს სრულიად შეჩითხვევით სიტყვას. შემთხვევებით სიტყვის შედების პერიოდი საკმაოდ დიდხანს გრძელდება. ყოველ შემთხვევაში, პირველი წლის დასასრულს და მეორე წლის დასაწყისში ამ პროცესებს ვხვდებით. ასე რომ, თუ ბავშვს  $1\frac{1}{2}$  წლამდე არ შეუძლია ამა თუ იმ საგნების დასახელება, — ეს საკმაოდ ბუნებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე უდიდესი მნიშვნელობა აქვს მიმბაძველობით მოქმედებას, ე. ი. ბავშვის მიერ გაგონილი ხმების ალდეგნას და მათ დაკავშირებას ხმების გამომშევებ საგანთან. ასე იწყებს იგი იმ სიტყვების წარმოთქმას, რომელსაც მრავალჯერ გაუმეორებენ; ასე

სწავლობს ზოგიერთი ცხოველების დასახელებას, მაგ. ძალლი — “ჰამ”, „ძროხა“ — „მუ“ და სხვ.

მთელი ეს პერიოდი, თუნდაც ბავში სიტყვებს წარმოსთქვამდეს საგნებთან დაკავშირებით, არის ერთსიტყვიანი წინადაღების პერიოდი, ე. ი. როცა ბავში ერთი სიტყვით არა თუ ასახელებს ამა თუ იმ საგანს, არამედ ამ სიტყვითვე გამოსთქვამს მრავალ სხვადასხვაგარ განცდასა და სურვილს. ასე, მაგ., სიტყვით: „ჯოქი“ (ჯოხი). ბავშს შეუძლია გამოსთქვას: „მომეცით ჯოხი“, „მე შემომკრეს ჯოხი“ და სხვ. ბავშის მოვლელთ შეუძლიათ ახსნან და გაარჩიონ, თუ რას მოითხოვს ბავში ამ ერთი სიტყვით სხვადასხვა შემთხვევაში.

ყოველ შემთხვევაში, ეს ერთსიტყვიანი წინადაღება ბავშს იმდენად აკმაყოფილებს, რომ  $1\frac{1}{2}$  წლამდე, და ხანდახან 2 წლამდეც, იგი ამ ერთი სიტყვისაგან შემდგარ წინადაღებას ხმარობს. მაგრამ, სიტყვის მრავალჯერ გამეორების გამო და დიფერენცირების პროცესის განვითარების ზეგალენით, სიტყვების მნიშვნელობა თანდათან ციწროვდება და უკავშირდება მხოლოდ საგნებს. ამასთანავე ერთი სიტყვა გამოხატავს არა ერთს, არამედ რამდენიმე ცოტად თუ ბევრად ერთგვარ საგანს. მაგ. სიტყვა „კატა“ ბავშის ენაზე შეიძლება გამოხატვდეს არა მარტო კატას, არამედ ბეჭვის ქუდს, ქურქს და სხვ. მაშასადამე, აქ ჩეენ საქმე გვაქვს გენერალიზულ გაერთიანებულ რეფლექსებთან. ცხადია, აქ საქმე გვაქვს ისეთ პირობითს რეფლექსებთან, რომლებიც შემუშავდა რთულ გამლიზიანებლებზე და რომელთაც ჩეენ რთულ-პირობით რეფლექსებს ვუწოდებთ. მთავარ გამლიზიანებელს, რომელზედაც დამუშავდა პირობითი რეფლექსი, ერთერთი ძირითადი ნიშანი წარმოადგენს; ამ შემთხვევაში, მთავარი დომინანტური ნიშანი ბეჭვია.

შემდე იწყება უფრო მეტი დიფერენცირობა: ბავში გარკვეულად აკავშირებს სიტყვას განსაზღვრულ გამლიზიანებელთან და, გარდა ამისა, იწყებს ზმნების ხმარებას. ეს ზმნები ან ბრძანებით კილოში იხმარება ან სახელზმნის ფორმაში და ამასთანავე უკანასკნელს ბრძანების ხასიათი აქვს. ბავში დაუკინებით ლაპარაკობს „პური კამა“, ან „პური მომე“, ხშირად ხელს გაიშვერს და მხოლოდ ზმნის ამბობს „მომე“. ეს პერიოდი საშუალოდ მეორე წლის დასრულებამდე გრძელდება. მე-17 თვიდან იწყება ხმარება არა მარტო ზმნის ფორმებისა, არამედ ზოგი ისეთი სიტყვებისაც, რომელნიც კუთვნილებას გამოხატავენ. „ქუდი დედისა“ ან „ჩემი ქუდი და სხვ. როცა ბავშს აქვს ასეთი მეტყველების უნარი, იგი თავის უსაჭიროეს მოთხოვნილებებს საკმარის და დაკავშირებს ლაპარაკის საშუალებით.

მეორე წლის დასასრულს, ჩვეულებრივად, ნორმალურ პირობებში, ბავში ხმარობს საშუალოდ 300 სიტყვას და მნიშვნელობა კი ეს-მის დაახლოვებით 700 სიტყვისა. მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშები სხვადასხვაგვარი კონტიტუციონალური თავისებურობით, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ერთნაირი სისწრაფით არ განვითარდებიან. თუ ერთ ბავშს 2 წლის ასაქში 300 სიტყვის მარაგი აქვს, მეორეს შესაძლებელია ჰქონდეს მხოლოდ 40 სიტყვისა; ეს დამოკიდებულია გარემო წრის გავლენაზე. ამ მხრივ დიდ ნაკლს, საუბედუროდ, ძალიან გავრცელებულს, წარმოადგენს მოზრდილთა მიერ ენის მოჩვენება და ბავშის ენით ლაპარაკი. ამგვარი მისწრაფება მეტად აფერებს მეტყველების განვითარებას. თუ ბავშს ისე ნორმალურადვე ველაპარაკეთ, როგორც მოზრდილებს, მხოლოდ უფრო ნე-ლა და გარკვეულად,—მას განუვითარდება სწორი მეტყველება.

მესამე წელს, ხანდახან უფრო ადრეც, ბავში იწყებს მთელი წინადადებების ხმარებას, რომელნიკ შესლგებიან ქვემდებარე-შემა-სმენლისაგან და ზოგიერთი დამატებითი სიტყვებისაგან, მაგრამ მას დიდად უძნელდება პიროვნებითი ნაცვალსახელი, განსაკუთრებით კი პირველი პირისა. ძალიან დიდხანს ბავში „მე-“ს ვერ ამბობს და თა-ვის თავშე მესამე პირში ლაპარაკობს, მაგ. „ნუკას რძე უნდა და სხვ.

ასეთი წინადადებებით (რომელთაც მთავარი წინადადების ხა-სი თი აქვს) ბავში დიდხანს ცხოვრობს, ყოველშემთხვევაში  $2\frac{1}{2}$  წლამ-დე და უფრო ვეინაც. მხოლოდ შემდეგ მას გამოერევა წინადადე-ბათა დაკავშირება, თუმცა ძალიან უჭირს ფრაზის აგება რამდენი-მე წინადადებისაგა. კერძოდ ძალიან უძნელდება ბრუნებისა და მიმო-ხრის ყოველგვარი ფორმები და ხშირად ურევს მათ.

ოთხი-ხუთი წლის ბავშს უკვე იმდენად აქვს გაწაფული ენა, რომ შეუძლია გამოხატოს თავისი პრიმიტიული სურვილები და იმს-ჯელოს ყველაფერზე, რაც მისთვის საინტერესოა.

რაც შეეხება მეტყველების შემდეგ განვითარებას,—იგი გამოი-ხატება იმაში, რომ ბავშის ლექსიკონი თანდათან მდიდრდება და წინადადებათა აგება თანდათან როთულდება. ეს პროცესი ძალიან ხანგრძლივია: 8 წლის ბავში სხვანაირად ლაპარაკობს, ვიდრე 11 ან 14 წლისა, და ორივენი სხვანაირად ლაპარაკობენ, ვიდრე მოზრ-დილნი.

აქ ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს სოციალური წრის მნიშვნე-ლობა. ინტელიგენტი მშობლების ბავშებს, ჩვეულებრივ, მეტი მარა-გი აქვთ სიტყვებისა და მეტი უნარი მათი მოხმარებისა. მაგრამ ეს შეეხება მოზრდილებსაც: წერაკითხვის მცირებულდნეს ხშირად უჭირს.

თავისი აზრის გამოთქმა, განათლებული კაცისათვის კი ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ეს მოკლე მიმოხილვა ადამიანის მეტყველების სრულ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ აქ საქმე გვაქვს წმინდა რეფლექტორული ხასიათის პროცესებთან და რომ მიმბაძველობას დიდი აღგილი უჭირავს. ამიტომ ჯერ კიდევ დიდხანს არ შეიძლება ლაპარაკი „გაგებაზე“, „შეგნებაზე“ და სხვ.

ამ წიგნის დაწერის დროს მე დავუკვირდი ამ მხრივ ერთ საინტერესო მოვლენას.

ვალოდიას (1 წლისა და 7 თვის) აჩვევდენ მადლობის თქმას: როცა რაიმე ტებილს მისცემდენ. ეკითხებოდენ: „შენ რას იტყვი?“ და იქვე უკარნახებდენ: „გმადლობთ“. მალე შემუშავდა ძლიერ მტკიცე რეფლექსი. ერთხელ მასთინ ერთად ლეფორტის ბალში ვიყავი და როდესაც ვბრუნდებოდით, გზაში შევეკითხე: „როცა შინ მივალთ და ძირა შეგეკითხება, სად იყავი, შენ რას იტყვი?“. ბავშვმა მომიგო: „გმადლობთ“. ჩემს მიერ ნათქვამიდან მან „გაიგო“ მხოლოდ მტკიცე პირობითი გამლიზიანებელი: „შენ რას იტყვი?“

ბიულერს ასეოი მაგალითები მოჰყავს: ბავშვს (1 წლისა და 4 თვის) შეასწავლეს ორი სიტყვის გაგება და შესრულება: „Принеси масло“. ერთხელ ლაპარაკის დროს მამამ სოქვა: (Это наполеоновская маслянина я рушиа), ბავშვი კი გაიქცა საკარაქეს მოსატანად. მეორე ბავშვი თავს მოიბრუნებდა ხოლმე, როცა შეეკითხებოდენ,—სად არის ფანჯარა, როცა მას შეეკითხენ უცხო ენაზე, მაგრამ იმავე ინტონაციით,—მან ისევე მოაბრუნა თავი.

უეპველია, ეს მაგალითებიც გვიჩვენებს, რომ საქმე „გაგებაში“ კი არ არის, არამედ დროებითი კავშირების შექმნაში ჰემისფეროთა ქერქში.

#### IV საკონტროლო კითხვები.

I. რატომ არის საჭირო მასწავლებლისათვის პედოლოგიის ცოდნა?

2. ბავშთა და მოზრდილთა შორის განსხვავება რაში გამოიხატება? განიხილეთ სტრუქტურა (ალნაგობა) და მოქმედიანობა ძვლების, კუნთების, სისხლის, სუნთქვის და სხვა.

3. რადარა თავისებურობა ახასიათებს ბავშთა ნერვული სისტემისა და თავის ტკივილს ალნაგობა-მოქმედიანობაში?

4. დააკვირდით ჩვილი ბავშის მეტყველების განვითარებას. ჩაწერეთ მისი ლექსიკონის თანდათანობითი განვითარება (სასურველია ასეთი დაკვირვებანი გაღმოგზავნილ იქნას ცენტრში).

**შენიშვნა.** ამ დავალების საკითხების უფრო ღრმად დამუშავებისათვის ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურიდან სასურველია გაეცნოთ:

კორნილოვი—ფსიქოლოგია.

” სკოლის ასაკამდე აღზრდის ბავშის თავისებურებანი.

დევდარიანი—„პედოლოგია“  
კაპანაძე—„პედოლოგია“.

## შ ი ნ ა პ ა რ ს ი

83-

6. კრუპსკაია და განსახუმი ა. ლუნაჩარსკი . . . . .	3
განათლების კომისარიატის დეპეშა ამს. კრუპსკაიას მ. ორა- ხელაშვილი . . . . .	6
სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გადიდება და სკოლის მონაწილეობა ამ ხაქმეში დიმ. გურგენიძე . . . . .	6
პარიზის კომუნის პედაგოგიური იდეები დ. ფირცხალავა მემარჯვენე გადახრები პედაგოგიურ აზროვნებაში შ. სიხა- რულიძე . . . . .	15
ანტირელიგიური აღზრდა ჩევნეს სკოლებში ნ. ძიძიგური .	29
რა აძნელებს მშობლიური ენის და ლიტერატურის სწავლებას და როგორ დახმარებაა საჭირო მერი ადამია . . . . .	36
სასოფლო-სამეურნეო განათლება ვიქტორ კანდელაკი .	39
სოფლის ახალგაზრდობის სკოლების და აგრო-ტექნიკურების აგრონომ-ზასწავლებელთა კონფერენციის ანგარიში . . . . .	45

### ჩვენი ხელიშის გუბარბილან.

საბჭოთა არჩევნებში სკოლების მონაწილეობის შედეგები ი. ზაუტაშვილი . . . . .	56
ჩევნება სკოლებში გამოცდა დაიჭირეს დ. თურდოსპირელი	65
ზასჭავლებისათვა კრალიშვილის აგალლებისათვის ჩევნები ზოლწევები და ნაკლი ივ. დავითიანი . . . . .	70

### დაუსწრებელი კურსები

რა უნდა იცოდეს ზასწავლებელმა პედოლოგიიდან (მე-4 ტავალება).

პასუხისმგებელი რედაქტორი შარიაშ. ორახელაშვილი  
პასუხისმგებელი მდივანი რ. ნიკოლაძე.

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პროს. № 91.

მთავარლიტი № 515. შეკვეთი № 1158. დაიბეჭდა 4000.